ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი №3 (15), 2012, მარტი ფასი 2 ლარი

ისტორიები

KU-KLUX-KLANის მეორედ მოსვლა

1812 წლის რუსეთ-საქართველოს მიჩქმალულ ომს 5000 კაცი შეეწირა

ჯუხა ნადიხაძე და საუკუნის ალმოჩენები ყვირილის ხეობაში

მეჭამედ ანი და ჯო ფრეზერი საუკუნის ჩინგის მტრები

ქართველების გმირული ეპოპეა
ლევან გოთუა
გმირთა ვარამი
8 წიგნად
წიგნი V
ფასი 3 ლარი
წიგნი „ისტორიანთან“ ერთად – 5 ლარი

ბაბილე ჩაჩანიძე – ძნელბედობისას ეპლესიის განმამტკიცებელი

ალდის დასახლდნენ ოსები საქართველოში

ლვინო, ქალები და სისხლის ზღვა ნეირონის ბასაითოგ სასახლეში

სარჩევი

ახალი ამბები

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დასაბრუნებლად მუშაობა იწყება? ---------- 6

სურათებს ჰიტლერის პირადი კოლექციიდან ჩეხეთში, დედათა მონასტერში მიაკვლიეს ---------- 8

ღვინო, ქალები და სისხლის ზღვა, ანუ სიმართლე ნერონის გასართობ სასახლეზე ---------- 9

გიორგი ნადირაძე — „პოეტური სულის მეცნიერი“ ---------- 11

საქართველო-რუსეთის ომები

რუსეთ-საქართველოს 1812-1813 წლების ომი ---------- 12

კახეთის 1812 წლის გმირული ეპოპეა თანამედროვეთა თვალით ---------- 18

ქართველები უცხოეთში

სიმონ სოლაღაშვილი — რუსეთში გადახვეწილი ქართველი გენერალი -------- 26

ისტორიის სამეცნიერო ფურცლები

საქართველოს მკვლელები — კიდევ ერთხელ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ვერსიებზე... ---------- 28

ხვალი ნათელი

გაბრიელ ჩაჩანიძე — ძნელბედობისას ეკლესიის პირადად განმამტკიცებელი ---- 36

სარჩევი

ხალხური დღესასწაულები
ბერიკაობა საქართველოში ---------- 42

ეთნოსთა ისტორიიდან
როდის დასახლდნენ ოსები
საქართველოში ---------- 48

არქეოლობია
ჯურხა ნადირაძე და საუკუნის
აღმოჩენები ყვირილის ხეობაში ---------- 53

ამეხიანული დღიურები
კუ-კლუქს-კლანის მეორედ მოსვლა -------- 60

სპორტის ისტორიიდან
სიძულვილი ამერიკულად: საუკუნის
რინგის მტრები ---------- 67

ცხოვრება
საკუთარ თავზე გამმარჯვებელი კაცი ---- 72

ერუდიტი
ემერ თათარაიძე: საშობლოს ისტორიის
სიყვარული ჩემმა წინაპრებმა
ჩამინერგეს... ---------- 78

„ისტორიანი“ ბავშვებისთვის
500 ფაქტი ისტორიიდან ---------- 82
სკანვორდი ---------- 90

ᲩᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

200 წელიწადი გავიდა კახეთის 1812 წლის აჯანყებიდან. სამწუხაროდ, ქართველ საზოგადოებას ამ თარიღის აღნიშვნა არ გახსენებია. არადა თავისი მასშტაბით ეს არ ყოფილა მარტოოდენ აჯანყება. სავსებით სამართლიანი ვიქნებით, თუ ამ მოვლენას საქართველო-რუსეთის 1912 წლის ომად მოვიხსენიებთ.

200 წლის წინ, 31 იანვარს ახმეტაში დაწყებული გამოსვლა თითქმის მთელ წელიწადს გაგრძელდა. დასაწყისში კახელებმა ერეკლე მეორის შთამომავალი გრიგოლ პირველი გამოაცხადეს მეფედ და მისი მოხსენიება დაიწყეს ეკლესიებში. 1812 წლის შემოდგომიდან კი რუსების წინააღმდეგ ბრძოლას ალექსანდრე ბატონიშვილი თავკაცობდა. მართალია ქართველობა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხდა, მაგრამ ეს გახლდათ „დამარცხებაში მოპოვებული სინდისი“.

წინამდებარე ნომერში გაეცნობით ასევე ინფორმაციას იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც ჯვრის მონასტრის გარშემო დაიწყო ქართულმა მხარემ, თუმცა ამის შესახებ ისრაელის მხარემ არაფერი იცის. საერთოდ, უცხოეთში არსებული ქართული ისტორიული მემკვიდრეობა აშკარად უპატრონოდაა დატოვებული, არადა საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვა მათი მოვლა-შესწავლის საქმეში გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს. ჯვრის მონასტერი იერუსალიმში, ივირონი — ათონის მთაზე, პეტრიწონი — ბულგარეთში... ქართული სახელმწიფოს მუდმივი ყურადღების ქვეშ უნდა იყოს. რამდენი სამეცნიერო ექსპედიცია გაიგზავნა ამ მონასტრებში სახელმწიფოს ხელშეწყობით? ალბათ სულ ერთი ან ორი... დამეთანხმებით, ქვეყანას აუცილებლად უნდა გააჩნდეს გამოკვეთილი პოლიტიკა ამ მიმართულებით და ეს ასე რომ ყოფილიყო, იქნებ თავიდან აგვეცილებინა რუსთველის ფრესკის განადგურება და ქართული კვალის წაშლის მცდელობა ამ საკანეებში.

ჯვრის მონასტერი იერუსალიმში, ივირონი – ათონის მთაზე, პეტრიწონი – ბულგარეთში... ქართული სახელმწიფოს მუდმივი ყურადღების ქვეშ უნდა იყოს...

ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი
„ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშია

რედაქტორი
გელა გურგენიძე

სტილისტი-რედაქტორი
ელენე სალარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
რეზო თხილიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ალექსანდრე ბოშიშვილი
ოქროპირ ჯიქური
ნინო ჯაფარიძე

კორექტორები:
ნანა მაჭავარიანი
ნინო აბესაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ.: 238-13-72, 238-02-45

სარეკლამო განყოფილება
ტელ.: 237-78-07, 238-78-70

e-mail: istoriani@palitra.ge

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალის გამოწერისთვის მიმართეთ პრესისა და
წიგნების გავრცელების სააგენტოს **„ელვა.ჯი“**.
ტელ.: 238-26-73, 238-28-74, 214-09-91

ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲘᲡ ᲯᲕᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ?

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲡᲛᲔᲜᲘᲐᲗ...

საქართველოს ხელისუფლება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაბრუნებაზე ზრუნვას იწყებს. ისრაელში მდებარე ქართული კულტურის ერთ-ერთი უძველესი კერის გამოსყიდვის შესახებ მოლაპარაკებები რომ დაიწყება, ეს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად დაადასტურა. მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა, რომ ამ საკითხზე მუშაობა დიდი ხანია მიმდინარეობს, მოლაპარაკებებში კი ჩართული არიან როგორც საგარეო საქმეთა სამინისტრო, ასევე ისრაელში საქართველოს საელჩო და საკონსულო.

ისრაელში, პალესტინაში მდებარე იერუსალიმის ჯვრის მონასტერი ამჟამად საბერძნეთის საპატრიარქოს დაქვემდებარებაშია. ისტორიული ცნობების თანახმად, ბერძნები ქართულ მონასტერსა და მის ქონებას ჯერ კიდევ 1749 წლიდან დაეუფლნენ. შესაბამისად, მონასტრის დაბრუნებისთვის ქართულ მხარეს არცთუ მარტივი სამუშაოების წარმართვა მოუწევს როგორც ისრაელის, ასევე ბერძნულ მხარესთანაც. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს უჭირს იმის თქმა, თუ რა ეტაპზეა ამჟამად მოლაპარაკებების პროცესი.

„ეს საკითხი ძალიან ღირებულია როგორც ისრაელის, ასევე საბერძნეთისთვის. რაც შეეხება სირთულეებს მოლაპარაკებათა პროცესში, ამ თემაზე საუბარი ნაადრევია, რადგან საჭიროა მოლაპარაკებების ინტენსიფიკაცია და თუ სირთულეები იქნება, დარწმუნებული ვარ, წარმატებით ვითანამშრომლებთ“, — აღნიშნა ნინო კალანდაძემ.

მინისტრის მოადგილე ამბობს, რომ ამ საკითხზე სპეციალური სამუშაო ჯგუფი იმუშავებს, რომელიც არა მხოლოდ საგარეო უწყების წარმომადგენლებით, არამედ დარგობრივი სპეციალისტებითა და მეცნიერებით შეივსება.

განსხვავებული ვერსია წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტმა. მან აღნიშნა, რომ სამუშაო ჯგუფი უკვე შექმნილია, თუმ-

ცა მის შემადგენლობაზე არაფერი უთქვამს.

„რამდენიმე ხნის წინ შევქმენი ჯგუფი, რომელიც მუშაობს ჯვრის მონასტრის დაბრუნებაზე, გამოსყიდვაზე ისრაელში. ამის შესახებ ჩვენს საელჩოს დავალებული აქვს, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდეს ისრაელის მთავრობასთან. მადლობელი ვართ მათთან თანამშრომლობით, ჯვრის მონასტერში დაცული სიწმიდეების გადარჩენისათვის“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის ამ განცხადების შემდეგაც სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას რატომღაც ასაიდუმლოებს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი.

„საქართველოსთვის იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაბრუნება ადვილი საქმე არ არის, ეს რთული პროცესია. ნაადრევი დასკვნების გაკეთება რეზულტატისთვის სასარგებლო არ იქნება. სამუშაო ჯგუფის წევრების ვინაობას და ტექნიკურ საკითხებს კონფიდენციალურად ვტოვებ, რეზულტატი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი სასწორზე დადება არ მიღირს“, — ამბობს ნიკა რურუა.

ხელისუფლების წარმომადგენელთა ამ განცხადებების შემდეგ ჩნდება ეჭვი, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაბრუნებაზე მომუშავე ჯგუფი სინამდვილეში ჯერ არ შექმნილა და პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ 25 თებერვალს გორში, სამხედრო აკადემიაში სტუმრობისას გაკეთებული განცხადება სინამდვილეში მხოლოდ ქართული მხარის სურვილის გამოხატვა იყო. ამ სურვილზე ისრაელში ვიზიტის შემდეგ კიდევ ერთხელ ისაუბრა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმაც.

„ჯვრის მონასტერი, თქვენ იცით, რომ ქართული მონასტერია. ჩვენ იმედი გაგვიჩნდა, რომ დაბრუნდება ის ძველი დრო, როცა ქართველები მოღვაწეობდნენ წმინდა მიწაზე“, — აღნიშნა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

ჯვრის მონასტრის ქართული მხარისთვის გადმოცემის შესახებ მოლაპარაკებების მიმდინარეობასთან დაკავშირებით ინტერნეტმედიით გავრცელდა ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერის კომენტარიც.

„ეს ჩვენთვის სიახლეა. არაფერი მსგავსი ჩვენ არ გვსმენია“, — აღნიშნა იჰალ პალმორმა ინტერნეტპორტალ IzRus-თან საუბრისას. მსგავსი კომენტარი გაკეთდა ისრაელის პრემიერის კანცელარიაშიც.

ნინო ჯაფარიძე

რუსთველის ფრესკა დაზიანებამდე

ქართულ-ბერძნული წარწერა ტაძრის პორტალზე

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲙᲝᲚᲚᲔᲥᲪᲘᲘᲓᲐᲜ ᲩᲔᲮᲔᲗᲨᲘ ᲓᲔᲓᲐᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲨᲘ ᲛᲘᲐᲙᲕᲚᲘᲔᲡ

დიდი ხნის წინ დაკარგულ სურათებს, რომელიც მესამე რაიხის ბელადის, ადოლფ ჰიტლერის კოლექციის ნაწილს წარმოადგენდა, ჩეხეთში, პატარა დასახლება დოკსანიში მდებარე დედათა მონასტერში მიაკვლიეს. ინფორმაცია ამის შესახებ ჩეხეთის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გაავრცელა.

შვიდ სურათს ჰიტლერის პირადი კოლექციიდან ისტორიკოსმა ჟირი კუჩარმა მიაკვლია მონასტრის იმ ნაწილში, რომელში მოხვედრაც ჩვეულებრივი ვიზიტიორებისთვის ხელმიუწვდომელია. მათ შორისაა ფერწერული ტილო „მოგონებები სტალინგრადზე“. მასზე გამოსახულია ტრანშეას შეფარებული დაჭრილი გერმანელი ჯარისკაცები და მათ ირგვლივ მიმდინარე გააფთრებული ბრძოლა. ეს ტილო ჰიტლერის ერთ-ერთ ფავორიტ ხელოვნების ნაწარმოებად ითვლებოდა. იმის მიუხედავად, რომ გერმანელებმა სტალინგრადთან კატასტროფული მარცხი იწვნიეს.

როდესაც ომი დასასრულს უახლოვდებოდა, ჰიტლერმა გასცა განკარგულება, რომ მიტაცებული ან შეძენილი ტილოები სამხრეთ ბოჰემიაში, მონასტერში გადაემალათ. თუმცა ამერიკულმა ძალებმა ეს ტილოები აღმოაჩინეს და ომის პერიოდში ნაცისტების მიერ ნაძარცვი არტეფაქტების კოლექციის ცენტრალურ პუნქტში გადაიტანეს. ამის შემდეგ სურათები მალევე დაიკარგა.

ჯერ უცნობია, როგორ მოხვდა დოკსანის დედათა მონასტერში ნაცისტური გერმანიის ფიურერის პირად კოლექციაში შემავალი სურათები. მონასტრის წინამძღვარმა განაცხადა, რომ სურათების წარმომავლობის შესახებ მონასტერში არავინ არაფერი იცოდა და ისიც აღნიშნა, რომ მათ შენახვას აპირებს.

ნაპოვნი ტილოები 50 მილიონ ჩეხურ კრონად, ანუ დაახლოებით 2,8 მილიონ დოლარად შეფასდა. თუმცა როგორც ისტორიკოსები ამბობენ, ამ ტილოების ისტორიული ღირებულება ბევრად აღემატება მათ მხატვრულ ღირებულებას.

ეს აღმოჩენა შესაძლოა სულაც არ იყოს ამბის დასასრული. ისტორიკოსი ჟირი კუჩარი განმარტავს, რომ გაუჩინარებული კოლექცია თექვსმეტი ტილოსგან შედგებოდა. მხოლოდ შვიდის აღმოჩენა კი ნიშნავს, რომ ცხრა ტილო ჯერ კიდევ არ არის ნაპოვნი. ისტორიკოსი ვარაუდობს, რომ წარსულის საიდუმლოდ შენახვის სურვილის გამო მათი აღმოჩენა მარტივი არ იქნება.

დოკსანის მონასტერი, რომელიც პრაღის ჩრდილოეთ-დასავლეთით, დედაქალაქიდან 70 კილომეტრში მდებარეობს, XII საუკუნეშია დაარსებული.

The Telegraph-ის მასალების მიხედვით

ღვინო, ქალები... და სისხლის ზღვა

ანუ სიმართლე ნერონის გასართობ სასახლეზე

ცნობებს რომის იმპერატორ ნერონის ორგიებსა და სასახლეზე, სადაც იგი ამ ორგიებს აწყობდა, გადაჭარბებულად მიიჩნევდნენ, ვიდრე რომში ლეგენდარული სასახლის ნანგრევებს არ მიაკვლიეს.
სწორედ ამ სასახლეში იმპერატორი თავის სტუმრებს „ართობდა“ ისეთი სანახაობით, როგორიც ქრისტიანების ცოცხლად დაწვაა. მომაკვდავთა განწირული კივილი ნახევრად შიშველი ქალების ცეკვას ერწყმოდა, — წერდა ამ აღმოჩენის შესახებ თავის დროზე ბრიტანული Daily Mail-ი.

გასართობი დარბაზი მდებარეობდა ე.წ. ოქროს სახლში. ისტორიკოსი გაი სვეტონი წერს, რომ სასადილოები სპილოს ძვლით იყო მოჩუქურთმებული. პანელების გადაწევის შემდეგ შესაძლებელი იყო სტუმრებისთვის ყვავილების ფეხქვეშ გაფენა ან სუნამოს დაფრქვევა. მთავარი დარბაზი მრგვალი ფორმისა იყო და ციური სხეულების მსგავსად, 24 საათის განმავლობაში შეუწყვეტლად ბრუნავდა.

ასეთი კონსტრუქციის არსებობის ისტორიკოსებიდან ბევრს არ სჯეროდა, მაგრამ პა-

ნერონის „ოქროს სახლის“ კომპლექსი თუ მთლიანად აშენდებოდა, როგორც დაგეგმილი იყო, ქალაქ რომის თითქმის ერთ მესამედს დაიკავებდა



„ოქროს სახლის“ ნანგრევები

ლატინის ბორცვზე „ოქროს სახლის“ გათხრებისას მიაკვლიეს მრგვალ კედელს, ქვების ოთხმეტრიან კოლონასა და ქვის რამდენიმე უზარმაზარ ბურთს, რომელზეც შესაძლოა მოძრავი იატაკი ყოფილიყო განთავსებული. მრგვალი დარბაზის დიამეტრიც 15 მეტრზე მეტი იყო. სპეციალისტთა ნაწილის ვარაუდით, ქვის ბურთებს წყლის ჭავლით ატრიალებდნენ. სხვა ვერსიით, ამას მონები აკეთებდნენ.

ეს დარბაზი სავარაუდოდ ნერონის მრავალი ორგიისა და სადისტური ქმედების მომსწრე გამხდარა. სისხლისმსმელი და მოღალატე ხასიათი ნერონს მემკვიდრეობით დედის, აგრიპინასგან ერგო, რომელმაც გადმოცემის თანახმად, ორივე ქმარი მოკლა. ერთ-ერთი იმპერატორი კლავდიუსი იყო და ასე გაუთავისუფლა გზა ნერონს ტახტისკენ.

ნერონმა მოწამლა ნახევარძმა, შემდეგ კი დედა მოაკვლევინა, იმ მიზეზით, რომ საქმეებში მუდმივი ჩარევით თავი მოაბეზრა.

ნერონის სისასტიკეს ემსხვერპლა მისი პირველი ცოლიც. იმპერატორმა მას თავი მოკვეთა და თავის საყვარელს, პოპეას საჩუქრად გაუგზავნა. თუმცა ხანგრძლივი არც პოპეასთან მისი ურთიერთობა აღმოჩნდა. ფეხმძიმე ქალი სასიკვდილოდ სცემა იმ მიზეზით, რომ ცხენოსანთა შეჯიბრებიდან დაბრუნება დააგვიანა.

გადმოცემის თანახმად, ნერონმა გადაწვა რომი, რომ „ოქროს სახლის“ მშენებლობისთვის ადგილი გაეთავისუფლებინა. მის შესასვლელთან 36,5 მეტრის სიმაღლის ნერონის ოქროს ქანდაკება დაიდგა. ბაღებში კი ეგზოტიკური ცხოველები დასეირნობდნენ.

მბრუნავ დარბაზში სტუმრებს ფარშევანგისა და გედის ხორცით უმასპინძლდებოდნენ.

კუჭში საკმარისი ადგილი რომ ჰქონოდათ, ხელოვნურად იწვევდნენ გულისრევას. ამისთვის სპეციალური თასებიც კი ჰქონდათ.

ნერონი თავს ნიჭიერ მუსიკოსად და პოეტად მიიჩნევდა. როცა ის თეატრში გამოდიოდა, კარს კეტავდნენ, რომ წარმოდგენის დასრულებამდე დარბაზი არავის დაეტოვებინა. იგივე ხდებოდა მბრუნავ დარბაზშიც: ვიდრე ნერონი ბრძანებას არ გასცემდა, დარბაზის დატოვება არავის შეეძლო. „ოქროს სახლის“ მშენებლობის დასრულებიდან მალევე რომაელები აჯანყდნენ და ნერონი იძულებული გახდა, თავი მოეკლა. სასახლე გაძარცვეს და დაანგრიეს. მის ნანგრევებს პირველად XV საუკუნეში მიაკვლიეს.

მომზადებულია
Associated Press-ის მიხედვით

ᲑᲘᲝᲠᲒᲘ ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲫᲔ

„ᲞᲝᲔᲢᲣᲠᲘ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ“

ახლახან საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში გაიმართა ცნობილი ისტორიკოსის, პროფესორ გიორგი (ასანა) ნადირაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებულის პრეზენტაცია.

„პოეტური სულის მეცნიერი“ — ასეა დასათაურებული კრებული, რომელიც გამოსცა საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნულმა კომიტეტმა. კრებული მოიცავს თანამედროვე ქართველ მეცნიერთა საინტერესო ნაშრომებს საქართველოს ისტორიის, მსოფლიო ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, წყაროთმცოდნეობის, ეკლესიის ისტორიის, კავკასიოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის, ეთნოლოგიისა და თეოლოგიის სფეროში, რომელთა ავტორებიც არიან: მანანა გაბაშვილი, ნიკო ჯავახიშვილი, დიმიტრი შველიძე, ერეკლე ასტახიშვილი, გოჩა საითიძე, ვახტანგ გურული, რევაზ სირაძე, ელდარ ნადირაძე, ნინო შიოლაშვილი და სხვები. აქვეა მოგონებები ცნობილი მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

„ასან ნადირაძე არ იყო სკკპ ისტორიის სპეციალისტი. იგი საქართველოს ისტორიკოსი იყო... მისი ლექციები არ შემოიფარგლებოდა ვიწრო თემატიკით. ლექციებისას თავს უფლებას აძლევდა, სხვადასხვა ტიპის შედარება მოეხმო. ერთხელ საყვედურიც მიიღო კათედრის გამგისგან“, — იხსენებს აკადემიკოსი როინ მეტრეველი.

აქვე მოვიყვანთ ნაწყვეტს მწერალ გურამ დოჩანაშვილის მოგონებიდან, რომელიც მიეძღვნა მეცნიერის წიგნს „მე სტუმარი ვარ დედამიწაზე“:

„ბატონო გიორგი და ჩემო ასან...

ბატონო გიორგი იმიტომ, რომ კარგი სწორგზიანი მეცნიერი და სიმართლისათვის შემართული, გულადი კაცი ბრძანდები; ჩემო ასან კი — მეგობრები ვართ, რაც ახლა, ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ, კიდევ უფრო და მეტად მეამაყება...

...შენს წიგნს, ჩემო ასან, სკოლის გარეთა და ოჯახის გარეთა კი არა, არამედ ბავშვების მშობლებისათვის ოჯახში ყოველდღიურად წასაკითხ წიგნად შევრაცხდი. დიდი მადლობა ასეთი ღვაწლისათვის, ბატონო გიორგი და ჩემო ასან“.

ᲔᲚᲓᲐᲠ ᲨᲝᲨᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ

talizi

ᲗᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘᲡ 27. ᲢᲔᲚ: 2141515

WWW.TALIZI.GE

რუსეთ-საქართველოს 1812-1813 წლების ომი

დამარცხებაში მოპოვებული სინდისი

2012 წლის 31 იანვარს 200 წელი შესრულდა რუსეთ-საქართველოს 1812-1813 წლების ომიდან, რომელიც დღემდე კახეთის 1812 წლის აჯანყების სახელითაა ცნობილი. 1999 წელს გამოცემული „ადამიანთა უფლებების დაცვის ლექსიკონის“ მიხედვით „აჯანყება, ეს არის ბუნტი, როგორც წესი, კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ“. ომი კი, „პირდაპირი, ფიზიკური ძალადობის გამოყენებაა, როცა ბრძოლის ველზე წლიურად იღუპება არანაკლებ 1000 ადამიანი“.

1812 წლის კახეთის ე.წ. აჯანყება, რომელიც ნამდვილად არ ყოფილა კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა, წელიწადსა და სამ თვეს გაგრძელდა და 5000 კაცზე მეტი შეიწირა.

ასე რომ, დროა, 1812 წელს კახეთში დატრიალებულ მოვლენებს 200 წლის შემდეგ მაინც დაერქვას თავისი სახელი და მას რუსეთ-საქართველოს ომი ეწოდოს.

ამის საფუძველს თავის დროზე თვით იმპერიაშიც აღიარებდნენ. მთავარმართებელი პაულუჩი მას ქართველი ხალხის უძლიერეს პოლიტიკურ გამოსვლად მიიჩნევდა, რომლის შედეგად, რუსული ჯარი ლამის მთლიანად გაწყდა საქართველოში.

თავისი ხასიათითა და მასშტაბით ეს ბრძოლა ბევრად აღემატება იმპერიის წინააღმდეგ მიმართულ ყველა მოძრაობას. კარგად ორგანიზებული და მრისხანე ხასიათის გამო თანამედროვენი მას „საფრანგეთის რევოლუციას“ ადარებდნენ და აღიარებდნენ: „აჯანყების ორგანიზაცია ეჭვგარეშე ხდის, რომ აქ იფარებოდა შეგნებული შეთქმულება, რომლის შემდეგაც კავკასია მთლიანად ეკარგებოდა რუსეთს“.

კახეთის 1812 წლის აჯანყების ორგანიზებულობა და საფუძვლიანი მომზადება იმაშიც გამოიხატა, რომ იგი დაიწყო ურთულეს საგარეო ვითარებათა ფონზე, როცა საქართველო თავისი მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ფუნქციის გამო კვლავ მოექცა დიდ სახელმწიფოთა — რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის, ირანისა და ოსმალეთის ინტერესების სფეროში და მათ შორის წარმოქმნილ

წინააღმდეგობათა ჯაჭვში. საქართველოში მოქმედი ძალები შეეცადნენ, ამ სიტუაციით ესარგებლათ. ალექსანდრე ბატონიშვილი უშუალოდ მონაწილეობდა ირან-ოსმალეთის დაზავებათა შესახებ მოლაპარაკებებში. თეიმურაზ ბატონიშვილთან ერთად უგზავნიდა წერილებს ნაპოლეონს და რუსეთთან ომის შემთხვევაში კავკასიის მხარდაჭერას პირდებოდა. იმავდროულად, ირანის ტახტის მემკვიდრე აბას-მირზასთან ერთად გეგმავდა და ახორციელებდა რუსთა საწინააღმდეგო ლაშქრობებს კავკასიაში. ახლო კონტაქტებს ამყარებდა ინგლისელ და ფრანგ დიპლომატებთან.

ურთულეს ვითარებაში მყოფმა საქართველომ ძლიერი წინააღმდეგობის წამოწყებით რუსეთის წინააღმდეგ ომებში ჩაბმულ სახელმწიფოთა მხარდაჭერა და მოკავშირეობა გამოხატა.

ომის წინაპირობებს საერთო უკმაყოფილებაც ემატებოდა. ბაგრატიონებმა სამეფო ტახტი დაკარგეს, თავადაზნაურობამ – პრივილეგიები, ეკლესიამ — ავტოკეფალია, გლეხობამ შეგუებული ყოფა და ბევრად უკეთესი მდგომარეობა. ყველა მათგანს კი აერთიანებდა მთავარი უკმაყოფილება, რაც სახელმწიფოებრიობის დაკარგვას მოჰყვა.

ომის წარმართვა, როგორც ისტორიულად ხდებოდა, ახლაც ბაგრატიონებმა და ქართულმა არისტოკრატიამ ითავა. შეიარაღებული გამოსვლები რამდენიმე ადგილას ერთობლივად დაიწყო და უცებ მოედო მთელ კახეთს. ქართველებმა თავადების, სვიმონ და ადამ ბებურიშვილების, ნინია ანდრონიკაშვილის, ოთარ ქართველიშვილის, იოსებ სიდამონიშვილის, ივანე მაყაშვილის, პაატა ჯანდიერის, დავით ქართველიშვილისა და სხვათა მეთაურობით დაიკავეს ყველა მნიშვნელოვანი ქალაქი, ციხე თუ პუნქტი. გადაიკეტა რუსთა დამაკავშირებელი კომუნიკაციები. რუსთა დანაკარგი ასეულებით ითვლებოდა.

ქართველი მეომრები ავჭალას მოადგნენ. ომის ალი გადასწვდა არაგვის ხეობას, ფშავს, ხევსურეთს. მათ დასახმარებლად გამოეშურა ლეკთა, ოსთა და ჩერქეზთა დიდი ნაკადი. შეშფოთებული მთავარმართებელი იმპერატორს მოახსენებდა, რომ „აჯანყება, რომელიც დაიწყო კახეთში, უკვე არყევდა მთელ აღმოსავლეთ საქართველოს. მისი გავლენით დაიწყო შეიარაღებული გამოსვლები დაღესტანსა და შირვანში, აჯანყებას უკვე შეუერთდა 1000

გრიგოლ ბაგრატიონი

ლეკი, ყაზახის თათრებიც იარაღს ისხამდნენ“.

მდგომარეობა რუსებისთვის განსაკუთრებით შემაშფოთებელი გახდა მას შემდეგ, რაც თებერვლის მეორე ნახევარში ქართველებმა ოფიციალურად გამოაცხადეს საქართველოს მეფედ ბატონიშვილი გრიგოლ ბაგრატიონი (1789-1830). იგი იყო შვილთაშვილი მეფე ერეკლე II-ისა, შვილიშვილი მეფე გიორგი XII-ისა და ერთადერთი ვაჟი იოანე ბატონიშვილისა, ანუ პერსპექტივაში ლეგიტიმური მემკვიდრე ქართლ-კახეთის სამეფოსი, ვინაიდან ოფიციალურ მემკვიდრეს, დავით ბატონიშვილს (იოანეს უფროს ძმას) შვილი არ ჰყავდა.

მეორე ბატონიშვილი, ალექსანდრე დამხმარე ძალთა მობილიზაციისა და ომში ირანელთა ჩართვის გამო აყოვნებდა ჩამოსვლას.

გადამწყვეტ მომენტში რუსებს მხსნელებად ისევ ქართველები გამოუჩნდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებული მონდომებით გამოირჩეოდნენ კონსტანტინე მუხრანბატონი, გაბრიელ ყაზბეგი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ზაზა ანდრონიკაშვილი, ელიფთარ ზუკაკაშვილი და სხვანი. მათი ჩარევითა და მონდომებით მოხდა რუსეთიდან გადმოსასვლელი დარიალის გზის გახსნა, რის შემდეგაც რუსებს ახალი დამხმარე ძალები შეუერთდნენ.

მტერმა დაატყვევა გრიგოლ I, ბაგრატოვანთა ათასწლოვანი დინასტიის წარმომადგე-

რუსეთის იმპერიის არმიის ჯარისკაცები და შეიარაღება XIX საუკუნის დასაწყისისთვის

ნელი უკანასკნელი მეფე, რომლის სამეფო ხელისუფლებაც ყველაზე გვიან ვრცელდებოდა საქართველოს ტერიტორიის განსაზღვრულ ნაწილზე (კერძოდ, კახეთსა და ქართლის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთზე).

მარტის დასაწყისისთვის ომი დროებით მინელდა. თუმცა 15 აპრილიდან იგი კვლავ განახლდა და უსწრაფესად მოედო თელავის მაზრასა და ქიზიყს.

რუსული მმართველობა დიდ საგონებელში იყო ჩავარდნილი. ჯარს პურის მარაგიც ელეოდა უკვე. დამპყრობელმა უკანასკნელი ძალები მოიკრიბა და გენერლების, ორბელიანისა და სტალის მეშვეობით სისხლიანი საბრძოლო ოპერაციები მოაწყო კახეთში.

იმის გამო, რომ გარეშე ძალების დახმარება აგვიანებდა, ქართველმა მეომრებმა დროებით შეჩერება ამჯობინეს.

ამ დროიდან იწყება კახეთში ალექსანდრე ბატონიშვილის წერილების გავრცელება, რომელიც არნახულ საბრძოლო ჟინსა და განწყობას ბადებდა ხალხში. იმავე გავლენით მოქმედებდა სოლომონ II-ის წერილები.

მთავრობის მაქსიმალური ცდის მიუხედავად, აქამდე ირანში მყოფმა ალექსანდრე ბატონიშვილმა 1812 წლის 1-ელ სექტემბერს მაინც შეძლო საქართველოში შემოღწევა, რაც ომის ახალი ენერგიით გაშლის საფუძველი გახდა. მთელი კახეთი და ფშავ-ხევსურეთი ფეხზე დადგა, აღელვებამ იმატა ქართლშიც, გავრცელდა ცნობები, რომ აწყურის ციხეში იმყოფებოდა სოლომონ II.

შეშფოთებულმა მთავარმართებელმა საერთო მობილიზაციითა და დამხმარე ძალებით სცადა მდგომარეობის განმუხტვა. აქეთ გადმოისროლეს დრაგუნთა, ეგერთა, ნიჟეგოროდის, ასევე იმერეთში განლაგებული პოლკები. ცნობილი სარდლები სიმანოვიჩი, ტიხანოვსკი, ორბელიანი, უშაკოვი და სხვანი დიდი ძალებით ცდილობდნენ ალექსანდრეს განეიტრალებას, მაგრამ რადგან ბატონიშვილმა წვრილ რაზმებად

XIX საუკუნის რუსეთის არმიის ქვედანაყოფი — თანამედროვე რეკონსტრუქცია

მანავის ციხე

დაყო თავისი ნაწილები, მათთვის მისაღები დიდი საბრძოლო ოპერაციების წარმართვას ვერ ახერხებდნენ. ალექსანდრე კი ქართველი მეომრებითა და ლეკთა დამხმარე ძალებით მცირე შეტაკებებით ჟლეტდა დამპყრობლებს. მაშინ რუსები კიდევ ერთ სამარცხვინო მეთოდზე გადავიდნენ და იმ საბაბით, რომ „მეამბოხეები“ ქართულ სოფლებში მხარდაჭერით სარგებლობდნენ, მშვიდობიან მცხოვრებთა ხოცვა-ჟლეტა დაიწყეს. სოფლები აოვსო სახრჩობელებით. ხშირი იყო სოფლების მასობრივად გადაწვის, ასევე ქალთა და ჩვილ ბავშვთა დახოცვის შემთხვევებიც. დიდი მცდელობის მიუხედავად, ბოლომდე არ დაიმალა ხაშმის შემზარავი ტრაგედია, როცა „შეესივა და მოასვრევინა უბრალონი ქრისტიანენი მარკიზმან ვიდრე ასამდე ჩვილითურთ მსგავსად იროდისა. მუნვე მოკლეს მონაზონი აბაშიძის ქალი მარიამ ოთხმოცისა წლისა დედაკაცი“ (დავით ბატონიშვილი).

ბატონიშვილმა ქართული სოფლების საბოლოო განადგურების თავიდან აცილების მიზნით გადაწყვიტა, პირისპირ შებმოდა ორბელიანის ჯარებს. სისხლიანი ბრძოლები გაიმართა სიღნაღსა და მელაანთან, რის შემდეგაც ქართველები ჩალაუბნის ხეობაში გამაგრდნენ, სადაც ორბელიანი შესვლას ვერ ბედავდა. 20 ნოემბერს მის დასახმარებლად თბილისიდან ფიოდორ სიმანოვიჩის ჯარები გამოვიდნენ. ალექსანდრემ, მათი შეერთება რომ არ დაეშვა, გომბორის გადმოსასვლელის დასაკავებლად ჯარის ნაწილები გაგზავნა. თვითონ კი 23 ნოემბერს ხეობიდან გამოვიდა და ორბელიანს შეება.

ამ შეტაკებაში რუსებს 300-მდე კაცი დაუკარგავთ. ბატონიშვილმა კი საგარეჯოსკენ დაიხია და თამარის ეპოქაში აგებულ მანავის ციხეში გამაგრდა, რომელსაც „უკანასკნელი პატრონობა უნდა გაეწია წამებული ქართველებისთვის“.

28 ნოემბერს ციხისკენ 2 000 მეომრითა და რამდენიმე ზარბაზნით გაემართა ორბელიანისა და პოლკოვნიკ ტიხანოვსკის გაერთიანებული ჯარი.

ალექსანდრემ მათ შეტევა დაასწრო და ქართველთა და ლეკთა ცხენოსანი რაზმით

სიღნაღის ციხის გალავანი, რომელიც აჯანყებულებმა ბრძოლით აიღეს

ალექსანდრე ბაგრატიონი

მტრის რიგებში შეიჭრა, რასაც 200-ზე მეტი რუსის გაჟლეტა მოჰყვა.

ლეკთა და ქართველთა კავშირით შეშფოთებულმა ორბელიანმა ღამით თავისი კაცები მიუგზავნა ლეკთა ბელადს და დაარწმუნა ალექსანდრეს ბრძოლის უიმედობაში. ამასთან, დიდ საჩუქრებს აღუთქვამდა, თუკი ისინი ომს მიატოვებდნენ.

ღამით ლეკთა მოწინავე რაზმმა ბელად ალისკანტის მეთაურობით ციხე მიატოვა და ჭერმისხევის გავლით გავაზისკენ გაემართა. ფაფრის მინდორზე მას ტიხანოვსკის ჩასაფრებული რაზმი ელოდა, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა მწარედ მოტყუებულ ლეკებს.

ალექსანდრე დანებებას არ აპირებდა. მან გომბორის ქედი გადაკვეთა და თიანეთს ავიდა, სადაც შეუერთდა 80-მდე კახელი და ქართლელი თავადი და აზნაური.

ნაპოლეონის მარცხმა, საფრანგეთისგან, ინგლისისგან, ოსმალეთისგან თუ ირანელთაგან მიუღებელმა დახმარებამ დაარწმუნა ალექსანდრე, რომ ომის გაგრძელება ქართული გენოფონდისა და მოსახლეობის ამოჟლეტას გამოიწვევდა მხოლოდ. თუმცა არ აპირებდა ქვეყნის დატოვებას და ხევსურეთს შეხიზნული, ხელსაყრელი მომენტის დადგომას ელოდებოდა, ამასთან, ირანთან წარმართავდა მოლაპარაკებებს.

რუსებს კარგი მიზეზი მიეცათ დაუმორჩილებელი ფშავ-ხევსურეთის გასანადგურებლად. ერთი მუჭა ხევსურების წინააღმდეგ გადაისროლეს კავკასიაში მდგარი მთელი რუსული გენერალიტეტი უზარმაზარი ჯარითა და არტილერიით.

ხევსურები, ძალთა დიდი უთანასწორობის მიუხედავად, ალექსანდრეს მეთაურობით ხმალდახმალ გადაეშვნენ ბრძოლაში და საგრძნობი ზიანიც მიაყენეს მტერს. ბრძოლა 36 საათს გაგრძელდა. ზედიზედ ეცემოდნენ გმირი ხევსურები. დანარჩენებმა შატილისკენ დაიხიეს. რუსები გზად პირწმინდად წვავდნენ და ანადგურებდნენ სოფლებს. განადგურდა ხევსურთა ოცი და ქისტების ცხრა სოფელი.

შატილისთვის ბრძოლაში ხევსურებს ქისტებიც ამოეშველნენ. დიდი იყო რუსების დანაკარგი. ხევსურები და ქისტები კი თითქმის ამოწყდნენ ამ ბრძოლაში, რომელსაც რუსები ძირითადად არტილერიის გამოყენებით წარმართავდნენ.

ამის შემდეგ რუსებმა „მეამბოხეთა ბუდე“ ახმეტა ისე გაანადგურეს, რომ იგი 1813 წლის საბუთებში უკვე დაუსახლებელ ნასოფლარადაა მოხსენიებული. ასეთივე დღე დაადგა საბუეს, თიანეთს, მატანს...

სადამსჯელო რაზმები კახეთს შეესივნენ. მასობრივი ხასიათი მიიღო ტყვეთა ჩამოხრჩობამ, სოფლების გადაწვამ, ვენახებისა და ბაღების გაკაფვამ, „მოსახლეობა ძალიან შემცირდა. ათასობით ადამიანი ბრძოლაში დაიღუპა, ბევრი კი დასჯის შიშით სამშობლოდან გადაიხვეწა“.

* * *

კახეთის 1812 წლის ომის მნიშვნელობას დიდად ზრდის ის გარემოება, რომ ამ დროს კავკასია ძალიან ახლოს მივიდა საერთო ომის გაჩაღების შესაძლებლობასთან. თვით საბჭოთა ისტორიკოსებიც კი ადასტურებენ, რომ „კახეთის აჯანყება“ სტიმული ხდებოდა რუსეთის წინააღმდეგ დიდი კავკასიური ომის წამოსაწყებად, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართული ამიერკავკასიის სამფლობელოები, დაღესტნელები, ოსები.

აჯანყების უდავო გავლენას მიეწერება 1812 წლის სისხლიანი გამოსვლები ყარაბაღში, ყაბარდოსა და დაღესტანში.

სამწუხაროდ, 1812 წელს ქართველთა გათვლილი მიზნები არ გამართლდა. მოვლენები ყველაზე უარესი გზით წარიმართა. რუსეთმა წარმატებით დაასრულა აღმოსავლეთში წარმოებული ბრძოლები და რუსეთის სამამულო ომი ნაპოლეონის წინააღმდეგ.

რაც შეეხება მარცხის საშინაო მიზეზებს, ეს ომის არეალის ტრადიციული გაუვრცელებლობა იყო. დაპყრობილი ქვეყნის სხვა კუთხეებმა მხარი არ აუბეს მეომარ კახეთს. არ იყო ერთსულოვნება არისტოკრატიასა და გლეხობაში. ეს უკანასკნელი ხშირად გაუმართლებელ არასერიოზულობას იჩენდა ომისადმი. უმძიმესი იყო ომის შემდგომ განხორციელებული რეპრესიები, რომლის შედეგად ამოწყდა ქვეყნის მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი. მოსახლეობას დაეკისრა უდიდესი ფულადი და ნატურალური გადასახადი.

განსაკუთრებული სისასტიკით დაისაჯნენ სასულიერო პირები, რამდენადაც ომში მონაწილეობით მათ ფაქტობრივად აკურთხეს იგი და დამპყრობლის წინააღმდეგ მიმართული, მამულისა და სარწმუნოებისთვის წმინდა ომის სახე მისცეს.

ასობით გლეხმა დაამთავრა სიცოცხლე სახრჩობელაზე. დაიღუპა უამრავი მშვიდობიანი მოსახლე, გადაიწვა და გაუდაბურდა ათობით სოფელი.

ქონება, მამული, წოდება ჩამოერთვა აჯანყების ყველა მონაწილეს. მათგან 62 კაცი გადაასახლეს ციმბირს, მათ შორის იყვნენ ორი გმირი ქალი ეკატერინე ჩოლოყაშვილი და გულქან ნათალიშვილი. გზაში ან გადასახლებაში დაიღუპნენ უდიდესი პატრიოტები გიორგი ციციშვილი, ასლან ვაჩნაძე, არსენ მაყაშვილი, სიმონ ანდრონიკაშვილი, დავით ჯანდიერი, დიმიტრი ჭავჭავაძე, ნინია ჩერქეზიშვილი, ფილიპე შატბერაშვილი, ეკატერინე ჭავჭავაძე, სასულიერო პირები ჩიხტაური, დემეტრაშვილი, ხირსელიშვილი, მეჭურჭლიშვილი, ექვთიმე ქრისტესიაშვილი და სხვები.

მაგრამ 1812 წლის ომმა არა მარტო მატერიალური გაჩანაგება და ზიანი მოუტანა ქვეყანას, არამედ სახელი და დიდებაც. როგორც მიხაკო წერეთელი ბრძანებდა, ქართველობამ დაამტკიცა, რომ „მაშინ ჯერ კიდევ თურმე კაცები ვყოფილვართ და ქუდი გვხურებია. ვიბრძოლეთ, როგორც შეგვეძლო. დამარცხებაში მაინც მოვიპოვეთ საუკუნო სინდისი შთამომავლობის წინაშე“.

აკაკი გელაშვილი

შატილი

კახეთის 1812 წლის გმირული ეპოპეა თანამედროვეთა თვალით

წლეულს, 31 იანვარს შესრულდა ორი საუკუნე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიის იმ უდიდესი მოვლენიდან, რასაც ოფიციალურად ეწოდებოდა „კახეთის 1812 წლის აჯანყება“, ხოლო ფაქტობრივად წარმოადგენდა რუსეთ-საქართველოს ომს.

1812 წლის კახეთის ეპოპეამ ღრმა კვალი დააჩნია როგორც თანადროულ ეპოქას, ასევე საქართველოს ახალ ისტორიას. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის მებრძოლმა ქართველობამ კიდევ ერთხელ მტკიცედ გამოხატა თავისი კანონიერი უფლება და სურვილი — საქართველოს სამეფოს აღდგენა ბაგრატიონთა ათასწლოვანი დინასტიის ხელმძღვანელობით.

საგულისხმოა, რომ ქართველი ერის ღირსეულმა ნაწილმა 1812 წლის თებერვალში მეფედ გამოაცხადა საქართველოში იმხანად შემორჩენილი ერთადერთი წევრი ქართლ-კახეთის სამეფო სახლისა, ერეკლე II-ის შვილთაშვილი, გიორგი XII-ის შვილიშვილი და უფლისწულ იოანე გიორგის ძის ერთადერთი ვაჟი — გრიგოლ ბაგრატიონი (1789-1812), რომელიც 20 თებერვლიდან 6 მარტამდე (დატყვევებამდე) აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილში მეფობდა. გრიგოლის, როგორც მეფის სახელს, ეკლესიებში იხსენიებდნენ და მისი დროშის ქვეშ დარაზმული ხალხი ამ ხელმწიფისთვის სიცოცხლესაც კი არ იშურებდა. იგი იყო რუს ოკუპანტთა წინააღმდეგ მებრძოლი ერთადერთი მეფე ქართლ-კახეთში (და იმავდროულად, უკანასკნელი მონარქი ბაგრატიონთა დინასტიიდან), რომლის ლეგიტიმური უფლებებიც აღიარა რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლმა ქართველობამ და ვისი ძალაუფლებაც რეალურად ვრცელდებოდა საქართველოს ტერიტორიის განსაზღვრულ ნაწილში.

* * *

რუსეთის იმპერატორის მიერ „მთავარსარდლად“ დანიშნული გენერალი, იტალიური

წარმომავლობის მარკიზი ფილიპ ოსიპოვიჩ პაულუჩი, რომელიც იმხანად საქართველოს განაგებდა, რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებისთვის (კერძოდ, რუსეთის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის ნიკოლაი რუმიანცევისადმი) გაგზავნილ საიდუმლო მოხსენებებში, რომლებიც შემდეგ გამოქვეყნდა „აქტების“ მრავალტომეულის V ტომში, აღიარებდა, რომ პატარა კახის ნაშიერის კახეთში გამოჩენა ავჯანყებულთათვის უდიდეს სტიმულად იქცა, მათ გრიგოლი თავიანთ წინამძღოლად მიიღეს და მეფედ გამოაცხადეს, ხოლო მისი სახელი, როგორც მეფისა, ეკლესია-მონასტრებში მოიხსენიებოდა.

საიმპერიო ადმინისტრაციის მოხელენი აცნობიერებდნენ, რომ ზემოხსენებულმა მოვლენამ თანდათანობით მასშტაბური ხასიათი მიიღო, კერძოდ, საქართველოს საზღვრებს გასცდა და საერთოკავკასიური ომის საფრთხეში გადაიზარდა.

1812 წლის 22 თებერვლით დათარიღებულ დოკუმენტში პაულუჩი შეშფოთებით აღნიშნავდა: „არაგველ მეამბოხეებთან გაქცევა მოსკოვში მყოფი უფლისწულ იოანეს ვაჟის, გრიგოლისა, რომელიც ცდილობს ავჯანყებულთა რიგებს შეუერთოს ქსნის ხეობისა და სრულიად ქართლის მოსახლეობა, სადაც ზოგიერთი სოფელი ავლენს მხარდაჭერას ღალატისა, არ გვიტოვებს მცირეოდენ ეჭვსაც კი, რომ აქ მზადდებოდა საგანგებო შეთქმულება, რომლის მეშვეობითაც მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სამფლობელო, კავკასიით დაწყებული უნდა დაკარგულიყო“.

მოგვიანებით პაულუჩი რუმიანცევს მოახსენებდა: „მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ უფლის შეწევნით მოვასწარი ჩამეხშო ავჯანყების ხანძარი, რომელიც საქართველოში განსაკუთრებული სისასტიკით გაჩაღდა... შევძელი, რომ ხელთ მეგდო უფლისწული გრიგოლი, რომელიც კახეთის ავჯანყებულებმა საქართველოს (იგულისხმება ქართლ-კახეთის — ნ. ჯ.) მეფედ აღიარეს. ეს უფლისწული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არა თავის პირად ღირსებათა გამო, რითაც საბედნიეროდ არ გახლავთ ბუნებისგან დაჯილდოებული, არამედ იმ პატივისცემით, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას გააჩნია მისი წარმომავლობისადმი და უფლებებით, რომელსაც თუმცა ამაოდ, მაგრამ გარკვეულწილად მაინც მიაწერენ მას ქართველები. ისინი ამტკიცებენ, რომ ვინაიდან საქართველოს ამჟამინდელი მემკვიდრე უფლისწული დავითი უშვილოა, მისი მომდევნო ძმის, მოსკოვში მყოფი უფლისწულის, იოანეს ვაჟს აქვს უფლება სამეფო ტახტზე“.

ციტატიდან ნათლად ჩანს, როგორ ცდილობდა მარკიზი პაულუჩი, ზემდგომი ხელისუფლის წინაშე დაეკნინებინა გრიგოლ ბაგრატიონის პიროვნება და მის მიერ მოპოვებული წარმატებები აეხსნა მხოლოდ ქართველი ერის პატივისცემით ბაგრატიონთა დინასტიისადმი. იმავდროულად, პაულუჩი მოერიდა იმის აღნიშვნას, რომ კახეთში მიმდინარე მოვლენებს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სწორედაც რუსული ადმინისტრაციის დანაშაულებრივმა საქმიანობამ, რამაც მოსახლეობაში ყოველივე რუსულისადმი დაუფარავი სიძულვილი დათესა.

რასაკვირველია, გრიგოლის ბაგრატიონობა მართლაც ბევრს ნიშნავდა, მაგრამ სწორედ მის პირად ღირსებებზე მეტყველებს მისივე გაბედული ნაბიჯები, კერძოდ, ავჯანყების დაწყებისთანავე მასში ჩაბმა, ორგანიზატორული უნარის გამოვლენა და ფართო პროპაგანდისტული საქმიანობის წარმართვა, რამაც რუსი ხელისუფალნი დიდ საგონებელში ჩააგდო.

1812 წლის 11 მარტით დათარიღებულ პა-

გენერალი ფილიპ პაულუჩი

დავით ბაგრატიონი

ბაგრატ ბაგრატიონი

ტაკში პაულუჩი აღნიშნავდა (ეს დოკუმენტი, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, საგანგებოდ მოგვყავს როგორც პირვანდელი სახით, ასევე თარგმნილი): „Царевич Григорий, сын царевича Иоанна, в Москве пребывающего, провозглашенный кахетинскими мятежниками царем Грузии и издавший от имени своего возмутительные прокламации, также коего имя в церквах бунтовщиками поминаемо было как царя Грузии и который, собрав мятежную толпу, дрался против войск В.И.В., но был мною разбит, бежал было в Дагестан, к анцухским лезгинам, но средствами, мною изысканными, находится теперь в моих руках. Сей царевич, к коему столь охотно прилепились кахетинские бунтовщики... важнее... и вреднее для Грузии, потому что немалая часть легковерных грузин признают его имеющим законное право на Грузию, основываясь на том, что прежде бывший настоящий наследник Грузии царевич Давид бездетен, что потому сей Григорий, как сын первого по нём брата, царевича Иоанна, находящегося в отсутствии, должен быть наследником Грузии. Итак, для спокойствия сего края, я не умедлю сего царевича... препроводить в Россию чрез несколько дней“.

„უფლისწული გრიგოლი, ვაჟი მოსკოვში მყოფი უფლისწულ იოანესი, კახელ მეამბოხეთა მიერ საქართველოს მეფედ გამოცხადებული, რომელიც თავისი სახელით ავრცელებდა აღმაშფოთებელ პროკლამაციებს, ასევე რომლის სახელსაც აჯანყებულნი ეკლესიებში მოიხსენიებდნენ როგორც მეფისას და რომელმაც თავი მოუყარა მრავალ მეამბოხეს და იბრძოდა საიმპერატორო არმიის წინააღმდეგ, ჩემგან ძლეული, გაიქცა დაღესტანში, ანწუხელებთან. გატარებული ზომების შედეგად, იგი ამჟამად ჩემს ხელთაა. ეს უფლისწული, რომელსაც ასე მონდომებით მიეტმასნენ კახელი მეამბოხენი, წარმოადგენს მნიშვნელოვან და იმავდროულად სახიფათო ფიგურას საქართველოსთვის, რადგან საკმაოდ დიდი ნაწილი მალემრწმენი ქართველებისა ცნობს მას საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრედ იმის გათვალისწინებით, რომ ნამდვილი მემკვიდრე დავითი უშვილოა, და ამიტომ მემკვიდრეობა ეკუთვნის მისი მომდევნო ძმის, იოანეს ვაჟს. იმისთვის, რომ ამ მხარეში დაისადგუროს სიმშვიდემ, ამ უფლისწულს სულ რამ-

დენიმე დღეში გამოვგზავნი რუსეთში“.

ქართველთა და რუსთა ბრძოლის ეპიზოდებს საყურადღებოდ მოგვითხრობს უფლისწული დავით გიორგის ძე ბაგრატიონი, რომელიც წერს: „იქმნა შფოთი შორის რუსთა და ქართველთა. ხოლო პირველად მისცეს მიზეზი შფოთისა რუსთა მით, რამეთუ დაკოდეს თიანეთს ამბოხსა ამას თიანელნი რაოდენნიმე. იხილეს რა ესე თიანელთა, მოსწყვიტნეს ყოველნი რუსნი ვიდრე ას ორმეოცდა ათამდე და მუნით შთავიდნენ მატანს. მაშინ არაგვისპირმანცა აღადგინა შფოთი პირისპირ რუსთა. შთაეხმარნენ ფშაველნი და მოსწყვიტნეს ყოველნივე მუნ მყოფნი რუსნი ფასანაურსა და ანანურსა... ჟამსა ამას მოვიდა ბულაჩაურზედ სხუა ახალი სამასი კაცი რუსთა მხედრობა. იქმნა მუნ ბრძოლა. იძლივნენ რუსნი ბულაჩაურელთაგან... სცნეს რა ესე ყოველივე კახთა, აღდგა შფოთი დიდი სრულიად კახეთს შინა, და იწყეს სვრა ყოველთა სოფელთა რუსთა, რომელიცა იდგა მათ შორის იასაულად, ეგზეკუცია წოდებულად. მივიდნენ და მოადგნენ თელავსა. მაშინ გარდაიყვანეს მეფის ძის იოვანეს შვილი გრიგოლ ქართლით კახთა. და მოკრბნენ ლეკნიცა ვიდრე ოთხი ათასამდე შველად კახთა და ჰყვეს თვის ზედან კახთა თავადი ქობულოვი ოთარ“.

დავით ბატონიშვილის ზემოხსენებული ცნობიდან ირკვევა, რომ რუს ოკუპანტებთან მებრძოლ ქართველობას მხარში ამოუდგა დაღესტნელთა მრავალრიცხოვანი ლაშქარიც, რასაც ადასტურებენ დავითის ძმებიც — ბაგრატი და თეიმურაზი.

უფლისწული ბაგრატი მოგვითხრობს: „მხილველთა თიანელთა ამა ტირანობისათა აღადგინეს ამბოხი და მოსწყვიტნეს მუნ მყოფნი რუსნი, წარიყვანეს ქართლით ყრმა, მეფის გიორგის შვილიშვილი, იოანეს ძე გრიგოლ და ჩაიყვანეს კახეთს. მოკრბნენ კახნი მის თანა, სრულებით მოჰსწყვიტნეს რუსთა დიამბეგნი თელავს და ქიზიყ-სიღნაღს და იასაულნი მათნი და გამოყარეს მხედრობაი რუსთა კახეთით“.

1-ელ მარტს, სოფელ ჩუმლაყთან გამართულ სისხლისმღვრელ ბრძოლაში, ბაგრატიონთა დროშის ქვეშ დარაზმული ოთხიათასკაციანი ლაშქარი რუსთა ჭარბ სამხედრო ძალას შეერკინა. ოკუპანტების მხარდამხარ იბრძოდა ქართველ თავადთა ერთი ნაწილიც. მათგან ბრძოლაში დაიღუპა პოლკოვნიკი ვახტანგ ორბელიანი, ხოლო პაულუჩის ადიუტანტი,

ალექსანდრე ჭავჭავაძე

პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე მძიმედ დაიჭრა.

ვფიქრობთ, საყურადღებოა თვით ალექსანდრე ჭავჭავაძის, როგორც ოკუპანტთა ბანაკში მყოფის აზრი აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით. იგი წერდა: „აჯანყების დროს, ტყვიით დამჭრეს ფეხში. ეს მოხდა 1812 წლის დასაწყისში... მძიმე ჭრილობამ, ცოტას გაწყდა, ჭლექად ჩამაგდო... ისე დავსუსტდი, რომ წლის ბოლომდე სამსახურის შესრულება ვერ შევიძელი. ღენერალი მარკიზ პაულუჩი ამ დროს იმყოფებოდა რიგაში და მე პეტერბურგზე გავლით წაველ მასთან 1813 წლის დასაწყისში. 13 და 14 წლების კამპანიის შემდეგ დავბრუნდი ისევ პეტერბურგში. ჩემი ჭრილობა ხელმეორედ გაიხსნა უკანასკნელი ბრძოლის შემდეგ და დიდხანს არ შეხორცებულა“.

1837 წლის 10 მაისს ალექსანდრე ჭავჭავაძემ იმპერატორ ნიკოლოზ I-ს წარუდგინა „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე“, რომელშიც 1812 წლის მოვლენების აღწერისას მიუთითებდა: „კახეთში იფეთქა საშინელმა

ალექსანდრე ორბელიანი

ამბოხებამ, რომელმაც უცბად იმსხვერპლა რამდენიმე ასეული ჯარისკაცი, ეგზეკუციად აქა-იქ გაფანტული. ძნელად დასაჯერებელია ხალხის მაშინდელი გაბოროტება; იგი სულ ახლობელსაც არ დაინდობდა, თუკი მას რუსების მომხრეობას შეამჩნევდა. მეამბოხენი შევარდნენ სიღნაღის ციხეში და ყელები დასჭრეს ყველა იქ მყოფ მოხელეს. თელავის ციხესაც ეს ბედი მოელოდა. მაიორმა უშაკოვმა თელავსა და მაიორმა, თავადმა ორბელიანოვმა სიღნაღის მაზრაში შეინარჩუნეს ორი პუნქტი და ზარალით იგერიებდნენ მეამბოხეთა იერიშებს. ორივე მაზრის ყველა დანარჩენი ნაწილი კი გაშმაგებული მდაბიო ხალხის სრულ განკარგულებაში იყო“.

ჩუმლაყთან ბრძოლაში დაღუპული ვახტანგ ორბელიანის ვაჟის ალექსანდრე ორბელიანის (რომლის დედაც იყო თეკლა ბატონიშვილი, ასული ერეკლე II-ისა) ჩანაწერების მიხედვით, ქართველ თავადთა ერთი ნაწილი პაულუჩიმ იძულებითა და დაშინებით გადაიბირა. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ალექსანდრე ორბელიანი, როგორც ღირსეული მამულიშვილი, გულწრფელად განიცდიდა მამამისის ბრძოლას დამპყრობელთა მხარდამხარ და ცდილობდა, მისი საქციელისთვის ერთგვარი გამართლება მოეძებნა. მის მოგონებაში ვკითხულობთ: „ტფილისში პირველი თავადიშვილები თავის სახლებში დაეჭირათ, ანუ დაემწყვდიათ, რომლებიცა იმ ღამესვე მთავარმართებელმა მარკიზ პაულუჩმა თავისთან მიაყვანინა სულერთიან ისინი, ხან მუქარით და ხან ალერსით იმათ ბევრი ელაპარაკა და ბოლოს ყველანი შეიფიცა ხელმწიფის ერთგულობაზე. ამასთან ყველას პირობა გამოართო, რომ იმ ღამესვე რუსის ჯარსა გაჰყვნენ კახეთისკენ და ერთგულად ემსახურნენ ხელმწიფეს, თორემ თქვენს ცოლშვილებს ცუდი საქმე მოუვათო. ამის შემდგომ რაღა უნდა ექნათ იმათ?

იმ ღამეს მამაჩემიც წაიყვანეს მთავარმართებელთან... მეც როგორღაც აღარ დამეძინა... ამასობაში მამაჩემიც მოვიდა შეწუხებული ამ სიტყვებითა:

— ბატონიშვილო, აღარა იქნება რა, სულ ხელცარიელი დავრჩით... როგორ არ ვიყო შეწუხებული? ის ერთი მამითქვენის, ჩემი მეფის ერეკლეს და მამულის ღალატი არ მეყო, რომ ახლა კიდევ უნდა ვუღალატო როგორც ბაგრატიონებს, ისე ჩემს მამულსა? უნდა წავიდე და ქართველმა კაცმა ქართველს კაცსა თოფი

თანამედროვე სიღნაღი

ვესროლო, ჩემის ხელმწიფების ბაგრატიონების შემწეთ და მამულის გამომხსნელებს, რომელთაცა კიდევ უნდათ თავისი მეფობა აღადგინონ. და თუ ჩვენ იმათ თოფსა არ ვესვრით, ცოლ-შვილით უნდა დაგვღუპონ სულ ერთიან. აბა, რა ვქნა ამის შემდეგ, თუ არ შევწუხდე?

— ჩემი რჩევა ეს არის, რომ თქვენ სულ ერთიან კახელებს მიუდგეთ, წადით, ნუღარ დაა-ყოვნებთ საქმეს. აქ ჩვენ რაც უნდა მოგვფიდეს, თქვენ ცოლ-შვილსა, თუნდა სულ ერთიან ლუკმა-ლუკმა დაგვჭრან, ერთი არაფერი არის, ოღონდ მიუდექით თქვენ ძმებს კახელებსა, — დედაჩემმა გადაწყვეტით უთხრა ესა.

— აღარ შეიძლება, ვეღარაფერს ვეღარა ვიქმთ. ქართლი სულ ერთიან გაუმაგრებიათ, აღარ მისდგომიან კახელებსა და აღარაფერს არას აპირებენ. კახელი თავადიშვილებიც შიგადაშიგ მოუბირებიათ, უთუოდ ადრე შეუტყვიათ ჩვენი ეს ანბავი რუსებს. მის შემდგომ აღარავის ნდობა არ შეიძლება.

— მაშ ყოველი ჩაიშალა, წახდა?

— სწორეთ აგრე, ჩემო ბატონიშვილო.

— ახლა რაღა გვეშველება, საუკუნოთ მონათ დარჩა საქართველო რუსებისა.

თეიმურაზ ბაგრატიონი

— დარჩა თუ არ დარჩა, ეგ ღმერთმა იცის, მე კი ვეღარ მნახავ ცოცხალს, ბატონიშვილო, ამ ჩვენს წვრილს შვილებს გაუფრთხილდი და რაც გეყოლოთ, ორსული ბრძანდებით, იმასაცა.

ამაზედ დედაჩემი ატირდა და მამაჩემმაც ვეღარ მოითმინა. მეც ჩემი ქვეშაგებიდან წამოვჯექ და ბღავილს მოვყევ: ვაი, მამავ, ვაი, მამავ-მეთქი. ამაზედ ორნივ წამოცვივდნენ, მომვარდნენ და მითხრეს: დაჩუმდი, თორემ აგერ კარზე რუსები არიან, მოვლენ და ეხლავ წაგიყვანენო. მე იმათის ხსენების შიშით მაშინვე გავჩუმდი...

ამის შემდგომ ერთს კვირის უკან ამბავი მოვიდა: საგარეჯოს მახლობლად რუსების ჯარს გაემარჯვა უბედურს ქართველებზედ... იქ რომ გაემარჯვათ, შიგნით კახეთის ქიზიყისაკენ წასულიყვნენ და ამასთან მთავარმართებელი მარკიზიც მისულიყო. რაღა უნდა გავაგრძელო, ჩუმლაყში რომ ომი მოხდა კახელებთან, იქ შეეკლა თავი მამაჩემსა ერთის მეომრის ქართველისათვის“.

უფლისწულების დავითისა და ბაგრატის უმცროსი ძმის, თეიმურაზის ცნობით, შეშინებულ პაულუჩს იმდენად სურდა მის წინააღმდეგ გმირულად მებრძოლ ქართველობასთან

დაზავება, რომ ტყეული დაპირებების გაცემასაც კი არ მოერიდა. კერძოდ, მარკიზმა ქართველებს თვით სამეფოს აღდგენაში დახმარებაც კი აღუთქვა.

თეიმურაზ ბაგრატიონი მოგვითხრობს: „გარნა იხილა რა მარკიზმან, ვინადგან ვერ ძალუძს პირისპირობაი კახთა, ეკედრა ზავსა და აუთქვა კახთა, რომელ მოგგვრიო მეფის ძეთა თქუენთა რუსეთით. ამასა ზედან მხიარულ იქმნენ კახნი და ჰყვეს ზავი და მოჰგვარეს გაღმამხრელთ უმეტეს სამასისას სალდათნი შეპყრობილნი აფიცრებითურთ, რომელნიცა შეიპყრეს ამბოხსა ამას აღპარსულნი თმათანი მით, რამეთუ კახთა აღპარსნეს ჰყრობილთა მათ თავნი კიცხეკისათვის, ვინადგან გრძელისა თმისა ქონება რუსთა ჩუეულება არს“.

გაჭირვების ჟამს, გრიგოლ ბაგრატიონმა თავი შეაფარა დაღესტანს, კერძოდ, ანწუხის თემს, სადაც იგი საკადრისი პატივით მიიღეს. მალე, პაულუჩის საგანგებო დავალებით, მისმა ნათესავმა და მამის სახლთუხუცესმა ზაზა ანდრონიკაშვილმა გრიგოლი მოტყუებით ჩამოიყვანა საქართველოში და დამპყრობლებს ჩააბარა.

ზემოთქმულის შესახებ ბაგრატ ბატონიშვილის თხზულებაში ვკითხულობთ, რომ გრიგოლი „წარვიდა ანწუხსა შინა და იყო... ლეკთა შორის. მაშინ მარკიზმან დაიპყრა სრულიად კახეთი, მოწო რომელიმე სოფლები... გრიგოლს ანწუხსა შინა მყოფსა წარუვლინა ზაზა ანდრონიკაშვილი, სახლთხუცესი მამისა მისისა“.

თეიმურაზ ბატონიშვილი გვაუწყებს: „მაშინ ზაზაცა, ძმაი ნინიასი, შეუჩინეს გრიგოლს და გრიგოლ მოცთუნა ზაზამ ანდრონიკაშვილმან“. ბაგრატ ბატონიშვილის ცნობით, პაულუჩიმ: „წარავლინა გრიგოლ რუსეთად. მისული პეტერბურგს წარავლინნა იმპერატორმა ბუნტისა გამო მისისა პატიმრად პეტრეზაოდის ციხესა შინა, რომელიცა შორავს პეტერბურგით ოთხასითა ვერსითა“.

ასე დასრულდა კახეთსა და ქართლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 1812 წლის დასაწყისში გაჩაღებული ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველი ეტაპი. აღნიშნულმა ბრძოლამ ახალი ძალით იფეთქა აპრილიდან.

1812 წლის 1-ელ სექტემბერს საქართველო-

აული დაღესტნის მთებში

ში შემოაღწია რუსთა წინააღმდეგ მებრძოლმა ალექსანდრე ბატონიშვილმა, რომელიც მანამდე სპარსეთში იმყოფებოდა. ამან დამპყრობელთა წინააღმდეგ მებრძოლ ქართველობას მორალური ძალა შეჰმატა.

სამწუხაროდ, ქართველთა თავგანწირული ბრძოლის მიუხედავად, დამპყრობელთა რიცხობრივმა უპირატესობამ და იმავდროულად შინაგამცემლობამ თავისი გაიტანა. საბოლოოდ, ვერაგმა მტერმა სძლია ქართველ მამულიშვილთა ლაშქარს და სისხლში ჩაახშო წინააღმდეგობის კერები, ხოლო დატუსაღებულნი სასტიკად დასაჯა. მიუხედავად ამისა, ეს ბრძოლა სამუდამოდ აღიბეჭდა საქართველოს ისტორიასა და ქართველთა საზოგადოებრივ აზროვნებაში, როგორც ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ხელმძღვანელობით დარაზმული ქართველი ერის ღირსეული ნაწილის სამშობლოს თავისუფლებისთვის თავგანწირული ბრძოლის კიდევ ერთი, საუკეთესო მაგალითი, გმირული ეპოპეა.

საკარაუდოა, რომ სწორედ 1812 წლის ეპოპეაში კახელთა მიერ გამოვლენილი გმირული სულისკვეთებისა და თავგანწირვისადმი (ადრინდელ დამსახურებებთან ერთად) გამოხატა თავისი დამოკიდებულება ნიკოლოზ ბარათაშვილმა, როდესაც „ბედი ქართლისა“ დაიწყო მიძღვნით **„კახთა მიმართ“:**

„ძმანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო,
მოლხინე სულით,
თქვენში აღზრდილა პატარა კახი მეფედ
და გმირად...“

კახეთის 1812 წლის გმირული ეპოპეა აისახა არა მხოლოდ XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე დიდ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ნააზრევში, არამედ მოგვიანებითაც. ამის დასადასტურებლად საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ლადო ასათიანის ერთ-ერთი მშვენიერი ლექსი, სადაც „კახური ამბოხი“ სამაგალითოდ არის მიჩნეული:

„მე ვეტრფი ძლიერ ტფილისის ჰავას,
ნიკო ფიროსმანს და საათნავას...
...მე ვეტრფი იმ თეთრჩოხიან მაყარს,
კრიმანჭულის დროს ცას რომ ახედავს,
და კახურ ამბოხს, შლეგსა და მაგარს,
შემოდგომაზე ქვევრს რომ გახეთქავს!“...

აი, ასე იქცა 1812 წლის **„კახური ამბოხი“** ქართველი ერის ღირსეული ნაწილის გაუტეხელი სულისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის სინონიმად...

ნიკო ჯავახიშვილი

XIX საუკუნის რუსეთის ჯარისკაცები სოფლად მარშით მოძრაობისას

ნიკოლოზ ბარათაშვილი



ვახუშტი ბატონიშვილის შედგენილი ქვემო ქართლის XVIII საუკუნის რუკის ფრაგმენტი

სიმონ სოლაღაშვილი
ჩუსეთში გადახვეწილი ქართველი გენერალი

სიმონ ივანოვიჩ სალაგოვს ხშირად სამწუხაროდ სომხური, უკეთეს შემთხვევაში სომხურ-ქართული წარმომავლობის გენერალთა რიცხვში თვლიან, და ამის შესახებ აქტიურად იწერება ინტერნეტსივრცეში თუ რუსულ ბეჭდვით გამოცემებში.

რუსეთის იმპერიაში მოღვაწე გენერალს, წარმოშობით ქართველს, თავად სიმონ იორამის ძე სოლოღაშვილს (Семен Иванович Салагов) საკმაოდ ნიშანდობლივი ბიოგრაფია აქვს.

სიმონი 1756 წელს თავად იორამ სოლაღაშვილის ოჯახში დაიბადა.

თავად სოლაღაშვილთა საგვარეულო ქვემო ქართლში XV საუკუნეში მესხეთიდან გადმოვიდა, სადაც მათ სათავადო ჩამოაყალიბეს და საუკუნეთა განმავლობაში ირიცხებოდნენ ქართულ წარჩინებულ საგვარეულოებს შორის.

ცნობები, როგორ მოხვდა სიმონ სოლაღაშვილი რუსეთში, არ მოგვეპოვება. საინტერესო ცნობაა დაცული ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის (1798-1800 წწ.) ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის თხზულებაში. იგი თავად ზაზა იორამის ძე სოლაღაშვილის დახასიათებისას აღნიშნავს, რომ მისი ერთი ძმა „რუსეთისა კარზე ცერემონმაისტერია“. ანუ ქართლ-კახეთში ცნობილი იყო, რომ სიმონი რუსეთის საიმპერატორო კარზე, სასახლეში იმყოფებოდა. სავარაუდოა, რომ სიმონი სწორედ ქართველ მეფეს გაეგზავნა პეტერბურგში. რუსები ხშირად ქართულ სახელებსა და გვარებს თავის ყაიდაზე წერდნენ, ალბათ სიმონის მამის სახელი იორამი მათთვის უფრო გასაგები ივანეთი, ხოლო გვარი რუსული და-

სიმონ სალაგოვის ჯილდოები (მარცხნიდან): წმინდა ალექსანდრე ნეველის ორდენი; წმინდა ვლადიმირის IV ხარისხის ორდენი; წმინდა ვლადიმირის II ხარისხის ორდენი; წმინდა ანას I ხარისხის, ალმასებიანი ორდენი; წმინდა იოანე იერუსალიმელის ორდენი

ბოლოებით ამიტომ შეცვალეს. ასე გახდა რუსეთში სიმონ იორამის ძე სოლაღაშვილი სიმონ ივანოვიჩ სალაგოვი.

საქართველოში დარჩენილმა ზაზა სოლაღაშვილმა სოფელ ბორბალოში კოშკი და სასახლე ააშენა, სადაც თავის ძმებთან — იასე, იოანე და იოსებთან ერთად ცხოვრობდა. იგი სათავადო სახლის უფროსი და კათოლიკოსის მოლარეთუხუცესი იყო. რუსეთში წასული სიმონი კი 1771 წლიდან სევსკის ქვეითთა პოლკში მსახურობდა, შემდეგ — ჩერნიგოვის მსუბუქ ცხენოსანთა პოლკში გადაიყვანეს. მეფის მდივან თუმანიშვილების ერთ-ერთი წერილიდან ჩანს, რომ ზაზა სოლაღაშვილი თავის ძმასთან 1797 წელს ჩასულა პეტერბურგში.

სიმონ სალაგოვმა თავი გამოიჩინა 1787-1791 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში, კერძოდ, 1788 წელს ხოტინის ციხის ბრძოლის მონაწილე იყო. იგი ხოტინის ციხის ჩაბარების თაობაზე ოსმალ ჰასან ფაშასთან გაგზავნეს, რასაც ბრწყინვალედ გაართვა თავი.

1789 წლიდან პოლკოვნიკი სიმონ სალაგოვი კავკასიის არმიაში, შემდგომ კი სუმის მსუბუქ ცხენოსანთა პოლკში მსახურობდა. 1796 წლის 16 ივლისს მას გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა. 1797 წლის 16 ივლისიდან 1798 წლის 22 აპრილამდე სმოლენსკის დრაგუნთა პოლკს ხელმძღვანელობდა, 1798 წლის 9 სექტემბრიდან 1800 წლის 12 იანვრამდე ლაიბგვარდიის ჰუსართა პოლკის მეთაურია.

სიმონ სალაგოვმა დიდი წვლილი შეიტანა რუსეთის იმპერიის სამხედრო იურისპრუდენციის განვითარებაში. მან თანამოაზრეებთან ერთად ჩამოაყალიბა აუდიტორული უწყება, რომელიც რუსეთის იმპერიის სამხედრო პროკურატურის წინამორბედი იყო. სალაგოვის რჩევებს ითვალისწინებდა იმპერატორი პავლე I. 1800 წლიდან იგი თადარიგში იმყოფებოდა, იმავე წლიდან გარდაცვალებამდე სენატორი გახლდათ.

სიმონ სალაგოვი დაჯილდოებული იყო: წმინდა ალექსანდრე ნეველის, წმინდა ვლადიმირის მეოთხე და მეორე ხარისხის, წმინდა ანას პირველი ხარისხის (ალმასებიანი) ორდენებით და წმინდა იოანე იერუსალიმელის ორდენის (კომანდორთა) ჯვრით.

სიმონ სალაგოვი გარდაიცვალა 1820 წლის 4 თებერვალს, დაკრძალულია სანქტ-პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ლავრის ნეკროპოლში, მეუღლის, მართა ფიოდოროვნას გვერდით.

ალექსანდრე გოშიშვილი

ლაიბგვარდიის ჰუსართა პოლკის რიგითი ჯარისკაცი. 1812 წ.

სიმონ სალაგოვისა და მისი მეუღლის საფლავი სანქტ-პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ლავრის ნეკროპოლში

საქართველოს მკვლელები

პიდევ ერთხელ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ვერსიებზე...

105 წელიწადი სრულდება ილია ჭავჭავაძის მკვლელობიდან. საუკუნის მკვლელობის ისტორიაში ბევრი რამ დღესაც ბურუსითაა მოცული. ეს მრავალი მიზეზითაა განპირობებული. 1907 წლის 30 აგვისტოდან ილიას მკვლელობის თაობაზე რამდენიმე ვერსია შეიქმნა, რომელთაგანაც ბუნებრივია, ნამდვილი მხოლოდ ერთი იყო. მოკლედ მიმოვიხილოთ ეს ვერსიები.

პირველი ვერსია — მკვლელობა ძარცვის მიზნით. ეს ვერსია შემთხვევით არ შექმნილა და მას წინასწარ, საგანგებო მიზანდასახულად ავრცელებდა ის პოლიტიკური ძალა, რომელსაც ილია ჭავჭავაძის მკვლელობა ჰქონდა განზრახული.

მეორე ვერსია — მკვლელობა აგრარულ ნიადაგზე. ეს ვერსიაც იმავე პოლიტიკურმა ძალამ შეთხზა, რომელმაც შეთხზა პირველი. მიზანიც იგივე იყო: ხელისუფლების, გამოძიებისა და საზოგადოების შეცდომაში შეყვანა.

მესამე ვერსია — მკვლელობა სომეხი ნაციონალისტების დაკვეთით. სომეხი ნაციონალისტების დაკვეთით მკვლელობის ვერსია, ანუ მკვლელობა ეროვნული შუღლის ნიადაგზე, იმავე პოლიტიკურმა ძალამ შეთხზა, რომელმაც პირველი და მეორე ვერსია. მიზანიც იგივე იყო.

მეოთხე ვერსია — მკვლელობა რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით. რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით მკვლელობის ვერსია, ანუ პოლიტიკური მკვლელობის ვერსია იმავე პოლიტიკურმა ძალამ შეთხზა, რომელმაც შეთხზა პირველი, მეორე და მესამე ვერსიები. ამ ვერსიის მიზანს შეადგენდა რუსეთის იმპერიის ხელისუფლების კომპრომეტაცია.

მეხუთე ვერსია — სოციალ-დემოკრატების მიერ ორგანიზებული მკვლელობა. ჩვენი აზრით, ჯერჯერობით სწორედ ეს ვერსიაა ყველაზე საფუძვლიანი.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ისტორიაში სადღეისოდ დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი:

პირველი. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გადაწყვეტილება მიიღო ემიგრაციაში (პარიზში, ჟენევაში) მყოფმა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობამ (იმხანად ბოლშევიკური და მენშევიკური ფრაქციები ერთ პარტიად იყო გაერთიანებული).

მეორე. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზეზი გახდა მისი არჩევა რუსეთის სახელმწიფო საბ-

ჭოს წევრად (1906 წ.), ასევე ილიას ბრძოლა საქართველოს პოლიტიკური ავტონომიისთვის, მხარდაჭერა ავტოკეფალისტთა მოძრაობისადმი და საერთოდ, ეროვნულ ძალთა გაერთიანების მცდელობა.

მესამე. რსდმპ-ის ხელმძღვანელობამ მკვლელობის დამკვეთის ვინაობის უკეთ დაფარვის მიზნით ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზება არ დაავალა რსდმპ თბილისის კომიტეტს (კომიტეტში ბოლშევიკები და მენშევიკები ერთად მუშაობდნენ), რომელსაც ძლიერი ტერორისტული ორგანიზაცია გააჩნდა. საზღვარგარეთიდან ჩამოსულმა რსდმპ-ის ხელმძღვანელობის ნდობით აღჭურვილმა პირმა (იგი ეროვნებით ქართველი არ ყოფილა) ილიას მკვლელობის ორგანიზება დაავალა ფილიპე მახარაძესა და სერგო ორჯონიკიძეს (არც ერთი მათგანი რსდმპ-ის თბილისის კომიტეტის წევრი არ იყო), რომელთაც მიღებული ინსტრუქციის თანახმად, საქმის კურსში არ ჩაუყენებიათ რსდმპ-ის თბილისის კომიტეტი.

მეოთხე. ტერორისტული აქტის განხორციელებისთვის აუცილებელი სახსრები სოციალ-დემოკრატებმა საზღვარგარეთიდან შემოიტანეს, ფული ექსპროპრიაციის გზით საქართველოში არ მოუპოვებიათ. ეს იმიტომ გაკეთდა, რომ ჟანდარმერიასა და ოხრანკას ეჭვი არ აეღო, ექსპროპრირებული ფულის კვალს არ გაჰყოლოდა და მკვლელობის ორგანიზატორები არ დაედგინა.

მეხუთე. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დამკვეთის დაფარვის მიზნით ფილიპე მახარაძემ და სერგო ორჯონიკიძემ ილიას მკვლელობამდე დაყარეს ხმები, რომ ილიას მალე მოკლავდნენ.

მეექვსე. სოციალ-დემოკრატებს ილია შეეძლოთ მოეკლათ საკუთარ სახლში (თბილისში, საგურამოში) ან გზაზე ეტლით მიმავალი. ამისთვის საკმარისი იყო ჩასაფრებული პროფესიონალი კილერის ერთი გასროლა. ამ გზით განხორციელებული ტერორისტული აქტი სოციალ-დემოკრატებს ხელს არ აძლევდათ. ილია უნდა მოეკლათ ადგილობრივ გლეხებს, აშკარა ყაჩაღური თავდასხმით, ხოლო მოკლული უნდა გაეძარცვათ. ეს მკვლელობის ორგანიზატორებს საშუალებას მისცემდა, გაევრცელებინათ ხმები, რომ ილია მოკლეს ან ძარცვის მიზნით ან აგრარულ ნიადაგზე.

მეშვიდე. დამკვეთისა და ორგანიზატორების დაფარვის მიზნით ფილიპე მახარაძემ და სერგო ორჯონიკიძემ ტერორისტული აქტი

ეტლი, რომელშიც მოკლეს ილია ჭავჭავაძე (კოფოზე სხვა მეეტლე ზის)

გიგლა ბერბიჭაშვილი

გიგოლა მოძღვრიშვილი

პავლე ფშავლიშვილი (აფციაური)

გიგლა (ლომა) ხიზანიშვილი

შემდეგნაირად განახორციელეს: ადგილობრივმა გლეხებმა **გიგლა ბერბიჭაშვილმა, გიგოლა მოძღვრიშვილმა, პავლე ფშავლიშვილმა (აფციაურმა), გიგლა (ლომა) ხიზანიშვილმა და „ვიღაც იმერელმა“** 1907 წლის 30 აგვისტოს სოფელ წიწამურსა და სოფელ საგურამოს შორის (საგურამოდან ოთხ ვერსზე) თბილისიდან მომავალი ილია ჭავჭავაძის ეტლი გააჩერეს. სოციალ-დემოკრატებს აუცილებლად სჭირდებოდათ გლეხების მიერ ეტლის გაჩერების საყოველთაოდ დადასტურებული ფაქტი (ეს ფაქტი ძიებას კიდეც დაუდასტურეს თედო ლაბაურმა და ილიას მეუღლემ). მკვლელობის ორგანიზატორებს აფიქრებდათ ერთი გარემოება — გლეხები, რომლებიც ეტლს გააჩერებდნენ, პროფესიონალი კილერები არ იყვნენ. ისინი დემორალიზებული, გადაგვარებული ადამიანები იყვნენ და მათი ნდობა არ შეიძლებოდა. 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში იყო შემთხვევები, როდესაც გლეხებმა (არაპროფესიონალმა კილერებმა) ფული აიღეს, მაგრამ ბოლო მომენტში მემამულის მკვლელობა გადაიფიქრეს და მხოლოდ ძარცვით დაკმაყოფილდნენ. იგივე შეიძლებოდა მომხდარიყო ილია ჭავჭავაძეზე თავდასხმისასაც. სწორედ ამიტომ, ილიას ეტლის გაჩერების საკარაუდო ადგილზე მკვლელობის ორგანიზატორებს მზად ჰყავდათ დამოუკიდებლად მოქმედი პროფესიონალი კილერი (იგი ეროვნებით ქართველი იყო). გიგლა ბერბიჭაშვილის ჯგუფმა ეტლი გააჩერა, ფეხზე წამომდგარ ილიას კი ზურგის მხრიდან, საკარაუდოდ, გზის მარცხენა ნაპირიდან, ჩასაფრებულმა კილერმა ესროლა. მკვლელმა ერთადერთი ტყვია გაისროლა. 1907 წლის 31 აგვისტოს დუშეთის მაზრის ექიმმა **იაშვილმა** გამომძიებელ **დილევსკის** თანდასწრებით გაკვეთა ილია ჭავჭავაძის გვამი. შედგა გვამის გაკვეთის აქტი. ამ დოკუმენტში სავსებით გარკვევითაა აღნიშნული:

„გულმკერდის არეში აღენიშნება ცეცხლნასროლი გამჭოლი ჭრილობა, რომლის ერთი ხვრელი მოთავსებულია მარჯვენა ძუძუს დვრილიდან ოდნავ შიგნით, ხოლო მეორე — მარცხენა იღლიის უკანა კიდეზე; პირველი ოვალური ფორმისაა, მისი უდიდესი ზომა კანზე სამი სანტიმეტრია, მეორის ზომა იღლიის კანზე შედარებით მცირეა, გამავალია ნეკა თითისთვის“. ესე იგი, ილიას სხეულში ტყვია შევიდა **მარცხენა იღლიის უკანა კიდესთან, ნეკნებს შორის, გაიარა გული და გამოვიდა მარჯვენა**

ძუძუს დვრილთან. ამიტომაა, რომ მარცხენა იღლიის უკანა კიდეზე (ნეკნებს შორის) ტყვიამ დატოვა მცირე დიამეტრიც ხვრელი (გამავალი ნეკა თითისთვის), ხოლო მკერდზე (მარჯვენა ძუძუს დვრილთან) — გაცილებით დიდი ზომის ხვრელი (ოვალური ფორმის, სამი სანტიმეტრის სიგრძისა). ცნობილია, რომ ტყვია სხეულში შესვლისას ტოვებს მცირე დიამეტრის ხვრელს, ხოლო სხეულიდან გამოსვლისას გაცილებით დიდს. ილია ჭავჭავაძის გვამის დათვალიერების აქტის (1907 წლის 31 აგვისტო) შესწავლის შედეგად ექსპერტი ბ. კილასონია დაასკვნის: ილიას სხეულზე ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული „ჭრილობის არხის მიმართულებაა მარცხნიდან მარჯვნივ, უკნიდან წინ, ესე იგი, ილიასთვის ტყვია ზურგიდან უსვრიათ“. ცეცხლსასროლი იარაღით (ტყვიით) მიყენებული სხვა ჭრილობა ილია ჭავჭავაძის სხეულზე არ აღმოჩნდა. კილერის ჩასაფრების შესახებ არაფერი უწყოდა გიგლა ბერბიჭაშვილის ჯგუფმა, მკვლელმა კი იცოდა, სად გაჩერებდნენ გლეხები ეტლს. გასროლის შემდეგ კილერი შეუმჩნევლად გაეცალა იქაურობას, მისი არსებობა არ შეუტყვია არც ძიებასა და არც სასამართლოს.

მერვე. ტერორისტთა მიერ ეტლის გაჩერებისთანავე, ილია ჭავჭავაძე ფეხზე წამოდგა. ილიას ტყვია რომ მკერდში ან შუბლში მოხვედროდა, მაშინ იგი უკან გადაწვებოდა იმავე სკამზე, საიდანაც წამოდგა. როგორც ცნობილია, ილია წინ გადავარდა, ესე იგი, ტყვია მას ზურგის მხრიდან მოხვდა.

1907 წლის დეკემბრიდან ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ძიების საქმე ჩიხში შევიდა, უფრო ზუსტად, შეწყდა ყარამან ფაღავას ვერსიის (სოციალ-დემოკრატების მიერ შეკვეთილი მკვლელობის) დამუშავება. ამ ვერსიის ავტორი, დუშეთის მაზრის უფროსი ყარამან ფაღავა ჯერ მაზრის უფროსის თანაშემწედ ჩამოაქვეითეს, ხოლო შემდეგ საერთოდ მოაშორეს მაზრის მმართველობას. მეტიც, ყარამან ფაღავას დაჟინებული მოთხოვნით დაპატიმრებული ეჭვმიტანილები, რომელთა საშუალებითაც ძიებას ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორები (ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე) უნდა დაედგინა, პატიმრობიდან გაათავისუფლეს. გამოძიებას ხელში შერჩა წიწამურთან ჩასაფრებული გლეხები, რომელთაც წარმოდგენაც არ ჰქონდათ არც მკვლელობის ორგანიზატორებზე და მით უმეტეს, არც მის დამკვეთზე.



ექიმ ა.იაშვილის მიერ შედგენილი ილია ჭავჭავაძის გვამის გაკვეთის აქტის პირველი გვერდი

დუშეთის მაზრის უფროსი ყარამან ფაღავა (მეორე რიგში, მარცხნიდან პირველი)

სერგო ორჯონიკიძე



ფილიპე მახარაძე

По описи № 218 1907 г. 17 апреля

№ 194 № 591

ДѢЛО

КАНЦЕЛЯРІИ

ТИФЛИССКАГО ГУБЕРНАТОРА

Объ убѣжищѣ лица Государственнаго Совѣта Илы Григорьева Чавчавадзе

Началось 7 Сентября 190 года.

Кончилось 24 апреля 190 года.

На 46 листах.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საგამომძიებლო საქმე. 1907-1908 წწ.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორები (ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე) გრძნობდნენ, რომ ძიებას შეეძლო მათი ვინაობა დაედგინა. ცხადია, მათ არ შეიძლებოდა სცოდნოდათ, რომ განსაზღვრული მოსაზრებით, ხელისუფლებამ თავად თქვა უარი სოციალ-დემოკრატების მიერ შეკვეთილი პოლიტიკური მკვლელობის ვერსიის დამუშავებაზე. ამიტომ იყო, რომ ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე თავის მხრივ ცდილობდნენ, კიდევ ერთხელ დაებნიათ გამოძიება. ასე გამოვიდა ასპარეზზე **ალექსანდრე გრეკოვი**. 1907 წლის 30 ნოემბერს ოზურგეთის რაიონის სოფელ ნაგომარის მცხოვრებმა, სოციალ-დემოკრატებთან დაკავშირებულმა ალექსანდრე გრეკოვმა გენერალ-გუბერნატორ ტოლმაჩევს მისცა შემდეგი შინაარსის ჩვენება: 1907 წლის ზაფხულში გურიაში, სოფელ ბახვში, სოციალ-დემოკრატების კრებაზე გადაწყდა ილია ჭავჭავაძის მოკვლა. ტერორისტული აქტის განხორციელება დაევალათ **ერმილე და კალისტრატე დოლიძეებსა და ვინმე ბასილეიშვილს.**

სოფელ ბახვში გამართული კრების თაობაზე გამოძიება დაიწყო, თბილისიდან და საგურამოდან ყურადღება გურიაზე გადავიდა. იქ სასწრაფოდ მიავლინეს გამომძიებელი ევტუშევსკი. შედეგი წინასწარვე იყო ცნობილი: 1908 წლის 19 აპრილს ალექსანდრე გრეკოვმა ჩვენება შეცვალა და განაცხადა, ბახვში არავითარი კრება არ გამართულა, ყველაფერი მე მოვიგონეო. **ბახვში კრება მართლაც არ მოუწყვიათ. სოციალ-დემოკრატებმა მიზანს მიაღწიეს: ძიება კვლავ აგრარულ ნიადაგზე მომხდარი მკვლელობის ვერსიის დამუშავებას დაუბრუნდა.**

კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლო ძიების მასალებს დაეყრდნო. ილია ჭავჭავაძის მკვლელობას პოლიტიკური კვალიფიკაცია არ მისცემია. რა თქმა უნდა, არც მკვლელობის დამკვეთი და მისი ორგანიზატორები დაუდგენიათ. ისიც კი არ დაუდგენიათ, უშუალოდ ვინ ხელმძღვანელობდა ტერორისტებს, ვინ ამზადებდა მათ ტერორის-

შეიძინეთ გაზეთ „ყველა სიახლესთან“
ერთად ყოველ ოთხშაბათს!

„100 ფაქტი, რომელიც უნდა იცოდე!“

წიგნების სერია ყველა ასაკის მკითხველისათვის



წაიკითხე და დაათვალიერე

1 ანტიკური რომი
2 ექსტრემალური დედამიწა
3 მსოფლიოს საოცრებები
4 ველური დასავლეთი
და სხვა საინტერესო თემები

შეამოწმე შენი ცოდნა
სახალისო გამოცანებით

7-დან 14 მარტამდე
წიგნი 1

წიგნის ფასი: 3 ლარი
გაზეთთან ერთად: 4 ლარი

გააფართოვე შენი თვალსაწიერი!

ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესზე დამსწრენი. პირველ რიგში მარცხნიდან: იოსებ გრიშაშვილი, ვარლამ ძიძიგური, ლევან ასათიანი. უკანა რიგში: აკაკი ძიძიგური, უჩა ჯაფარიძე

მოსამართლე ი. ოდიშვილი გიგლა ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესზე (1941 წლის 24 დეკემბერი — 1942 წლის 5 იანვარი)

მოწმე დარია კოპლატაძე-ჯაშისა გიგლა ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესზე

ტული აქტისთვის, ვინ მისცა გლეხებს დავალება, რომ 1907 წლის 30 აგვისტოს გზაზე უნდა დახვედროდნენ ილია ჭავჭავაძეს. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის ძიება და სასამართლო (1907-1909 წწ.) იყო არცთუ ისე კარგად დადგმული სპექტაკლი, თუმცა ეს სპექტაკლი ამით არ დასრულებულა. მის გაგრძელებას წარმოადგენდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ ორგანიზებული ძიება და 1941-1942 წლების სასამართლო პროცესი.

1934-1937 წლებში ილია ჭავჭავაძის ნააზრევისა და ნაღვაწისადმი საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულების სასიკეთოდ შეცვლამ თავისთავად დასვა კითხვა: **ვინ მოკლა ილია?** XX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებისთვის პასუხის ერთადერთი, ხელისუფლებისთვის მისაღები ვარიანტი ასეთი იყო: **ილია ჭავჭავაძე რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით მოკლა ოხრანკამ.** დაიწყო ამ ვერსიის დამადასტურებელი მასალების მოძიება. ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს იოსებ სტალინის დავალებით ლავრენტი ბერია ხელმძღვანელობდა. ილიას მკვლელობის საქმის ძიება გარკვეულწილად შეაფერხა ლავრენტი ბერიას მოსკოვში გადაყვანამ (1938 წ.). ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის ხელახალი გამოძიების თაობაზე გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმამდე (1941 წლის 22 ივნისი) მიიღეს. სასამართლო პროცესი დაიწყო 1941 წლის 25 დეკემბერს, განაჩენი გამოცხადდა 1942 წლის 5 იანვარს.

1941-1942 წლებში გამოძიებამ და სასამართლომ დადგენილად მიიჩნია:

1. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა იყო პოლიტიკური მკვლელობა, რომელიც რუსეთის იმპერიის ხელისუფლების ნებით განხორციელდა **(მკვლელობის დამკვეთი).**

2. მკვლელობა მოამზადა ოხრანკამ **(მკვლელობის ორგანიზატორი).**

3. მკვლელობას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ოხრანკის აგენტები **(მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელები).**

4. ოხრანკის აგენტებმა უიდეო, გადაგვარებული და ზნედაცემული ადამიანებისგან შეადგინეს ტერორისტული ჯგუფი, რომელიც თავს დაესხა ილიას 1907 წლის 30 აგვისტოს **(მკვლელობის უშუალო მონაწილენი).**

ამრიგად, სქემა ასეთ სახეს იღებდა: **რუსეთის იმპერიის ხელისუფლება (მკვლელობის დამკვეთი) — ოხრანკა (მკვლელობის ორგა-**

ნიზატორი) — ოხრანკის აგენტები (მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელები) — ტერორისტები (ილია ჭავჭავაძეზე თავდასხმის მონაწილენი).

იოსებ სტალინმა, ლავრენტი ბერიამ და ბევრმა სხვამაც შესანიშნავად იცოდნენ სიმართლე, რომელიც უკვე მეორედ მიიჩქმალა. იოსებ სტალინმა და ლავრენტი ბერიამ იცოდნენ, რომ ილია მოკლა არა გიგლა ბერბიჭაშვილმა, არამედ დამოუკიდებლად მოქმედმა კილერმა, რომელიც ტერორისტთა ჯგუფის ჩასაფრების ადგილზე ტერორისტთაგან ფარულად მიიყვანეს მკვლელობის ორგანიზატორებმა. ცნობილი იყო ჩასაფრების ადგილზე ტერორისტებთან ერთად მყოფი „ვიღაც იმერლის“ ვინაობაც. ილია ჭავჭავაძის მკვლელი კილერისა და „ვიღაც იმერლის“ ვინაობის დადგენა ოხრანკის ვერსიის დადასტურებისთვის სულაც არ იყო საჭირო.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის ხელახალი გამოძიება და სასამართლო დიდი დარტყმა იყო ფილიპე მახარაძისთვის. თუმცა ის ამჯერადაც გადარჩა: **გამოძიებისა და სასამართლოს მიერ ოხრანკის ვერსიის სიმართლედ აღიარებამ გამორიცხა ილიას მკვლელობის ორგანიზატორებად ფილიპე მახარაძისა და სერგო ორჯონიკიძის მიჩნევა.**

მართალია, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა გადაწყდა და დაიგეგმა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ემიგრაციულ ცენტრებში (ჟენევაში, პარიზში). მკვლელობის კვალის დაფარვაც იმავე ცენტრებში შემუშავებული გეგმის მიხედვით მოხდა, მაგრამ ეს სულაც არ ხსნის პასუხისმგებლობას ქართველ საზოგადოებას. ქართველი საზოგადოება წინ ვერ აღუდგა სოციალ-დემოკრატების მიერ ილიას გზის გმობას, ილიას დევნასა და შევიწროებას. ვერ დაიცვა ერის სულიერი მამა და უგვირგვინო მეფე. მეტიც, იმდროინდელი ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილი ვერც ილიას მკვლელობამ გამოაფხიზლა. საზოგადოება ძირითადად ისეთივე დარჩა, როგორიც იყო 1907 წლის 30 აგვისტომდე. მხოლოდ ღმერთმა უწყის ჭეშმარიტება. **იქნებ ქართველი საზოგადოების განწყობილებამაც იქონია გავლენა ჟენევასა და პარიზში მოკალათებულ უღმერთო და უსამშობლო პოლიტიკოსებზე, როცა ილიას მკვლელობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებდნენ.**

ვახტანგ გურული

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა — ანასტას მიქოიანი, ნიკიტა ხრუშჩოვი, იოსებ სტალინი, გიორგი მალენკოვი, ლავრენტი ბერია, ვიაჩესლავ მოლოტოვი.

გაბრიელ ჩაჩანიძე

ძნელბედობისას ეკლესიის პირადად განმამტკიცებელი

ერის ისტორიაში არსებობდნენ ადამიანები, რომელთა ცხოვრება, ღვაწლი და ეროვნული სულისკვეთება ხელოვნურად იჩქმალებოდა ტოტალიტარული რეჟიმის სპეცსამსახურების მიერ. ამიტომ მათი ამაგი ჯეროვნად არ არის შესწავლილი და წარმოჩინებული. შესაბამისად, ნაკლებად არიან ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის. ასეთ მოღვაწეთა შორისაა გაბრიელ ზაქარიას ძე ჩაჩანიძე, რომელმაც მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა (1901-1956 წწ.) შეძლო ღირსეული კვალი დაეტოვებინა როგორც საერო, ისე სასულიერო ცხოვრებაში.

ეპისკოპოსი გაბრიელი (ჩაჩანიძე)

„უფალო, გაამთლიანე ჩემი საქართველო!"

გაბრიელ ჩაჩანიძე დაიბადა 1901 წლის 1-ელ იანვარს გორის მაზრის სოფელ ერთაწმინდაში (ახლანდელი კასპის რაიონი). 1913 წელს შევიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, 1915 წელს 14 წლის ყმაწვილი, ჯერ კიდევ სემინარიის მსმენელი, თბილისის მიტროპოლიტ ლეონიდეს (ოქროპირიძე) კურთხევითა და უშუალო დავალებით სემინარიელ მეგობრებთან, ალექსანდრე დათუკიშვილსა და გრიგოლ ფერაძესთან (შემდგომში ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული) ერთად სათავეში ჩაუდგა მეტეხის ხიდის ქვეშ წმინდა აბო თბილელის ეკლესიის მშენებლობისთვის შემოწირულობის შეგროვებას. სამივე მათგანი გულზე ჩამოკიდებული შესაწირი ყუთებით დადიოდა დედაქალაქის ქუჩებში და მოსახლეობას აცნობდა თბილისის მფარველი წმინდანის თავგანწირვისა და მოწამეობრივი აღსასრულის ამბავს. სამწუხაროდ, ტაძრის მშენებლობას ხელი შეუშალა 1917 წლის რევოლუციამ.

1921 წელს გაბრიელ ჩაჩანიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე ჩაირიცხა ისტორიის სპეციალობით, რომლის დასრულების შემდეგ, როგორც წარჩინებული სტუდენტი, კათედრაზე ასპირანტად დატოვეს. მისი მასწავლებლები იყვნენ კორნელი კეკელიძე, ივანე ჯავახიშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი, გრიგოლ წერეთელი. 1942 წელს უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია თემაზე „ალექსანდრე მაკედონელის იბერიაში ლაშქრობის საკითხისათვის". მისი სამეცნიერო ოპონენტები იყვნენ მათე ალექსიშვილი, გიორგი გოზალიშვილი და სიმონ ყაუხჩიშვილი. სამეცნიერო საბჭომ გაბრიელ ჩაჩანიძეს მიანიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო ორი წლის შემდეგ — დოცენტის წოდება. დაჯილდოებული იყო მედლით „შრომითი მამაცობისათვის 1941-1945 წლებში".

გაბრიელ ჩაჩანიძის სტუდენტები იყვნენ

ლადო ასათიანი, ლევან სანიკიძე, გიორგი მჭედლიძე და სხვ. მას შემდეგ, რაც ქვეყანაში საგანმანათლებლო კერების რაიონებში გახსნის საკითხი დადგა, გაბრიელ ჩაჩანიძე არ მორიდებია პერიფერიაში გადასვლას. სხვადასხვა დროს მუშაობდა ქუთაისის, თელავის, გორის უმაღლეს სასწავლებლებში. არცთუ იშვიათად საკუთარი ხარჯებითვე აფინანსებდა საისტორიო-კვლევით ექსპედიციებს და აქტიურად მონაწილეობდა მათში, იღვწოდა ქართული პოლიფონიური სიმღერებისა და საგალობლების აღსადგენად და გადასარჩენად. მის სახელს უკავშირდება არაერთი მივიწყებული და დაკარგული საგალობლის აღმოჩენა-აღდგენა. ქმნიდა სამეცნიერო შრომებს, პრაქტიკულ დახმარებას უწევდა ივანე ჯავახიშვილს წიგნის „ქართლის ცხოვრების“ გამოცემაში (რაც არაერთხელაა აღნიშნული ივანე ჯავახიშვილის მემუარებსა და ოფიციალურ ჩანაწერებში), უანგაროდ მონაწილეობდა ქართული საისტორიო-ეთნოგრაფიული საზოგადოების საქმიანობაში.

XX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს, მეორე მსოფლიო ომგადახდილ საქართველოში საბჭოთა რეჟიმის მიერ შევიწროებული ქართული ეკლესია სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. რეპრესირებული ან ფიზიკურად განადგურებული იყო სასულიერო პირების უმრავლესობა, ეკლესია-მონასტრები — დანგრეული ან ფუნქციაგამოცვლილი, ხოლო ეპარქიების უმეტესობა — დახურული. წირვა-ლოცვა მხოლოდ თბილისის რამდენიმე ტაძარში ტარდებოდა და ქვეყანაში სულ ხუთიოდე მღვდელთმთავარი იყო შემორჩენილი. დედაეკლესიისთვის ასეთ რთულ პერიოდში გაბრიელ ჩაჩანიძემ ყველასთვის მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო: დატოვა უნივერსიტეტის კათედრის გამგის კაბინეტი, პერსპექტიული სამეცნიერო კარიერა და 1948 წელს ბერად აღიკვეცა. ასე ითხოვდა ქვეყნის ინტერესები და მანაც მიუხედავად მოსალოდნელი რეპრესიებისა და დევნისა (რასაც მთელი საეკლესიო ცხოვრების გზაზე მწვავედ განიცდიდა), დოცენტის პორტფელი ბერის უბრალო კაბაზე გაცვალა და უზრუნველყოფილ ცხოვრებას საეკლესიო ყოფის ურთულესი გზა არჩია.

ეპისკოპოსი ეფრემი (შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) და დოცენტი გაბრიელ ჩაჩანიძე

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს ვიზიტი სომხეთში.
მარჯვნიდან: ეპისკოპოსი გაბრიელი (ჩაჩანიძე), კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე), ეპისკოპოსი ეფრემი (სიდამონიძე), მღვდელი გაბუნია

1948 წლის აგვისტოში გაბრიელი ეკურთხა დიაკვნად, ერთი წლის შემდგომ წელიწადს აიყვანეს დეკანოზის ხარისხში და ბერად აღიკვეცა. 1951 წლის 15 თებერვალს აკურთხეს ეპისკოპოსად და დაინიშნა ალავერდის ეპისკოპოსად. პარალელურად განაგებდა ბოდბის ეპარქიას. 1953 წლის დასაწყისში ბათუმ-შემოქმედისა და ჭყონდიდის ეპისკოპოსია, ხოლო 1953 წლის 29 ოქტომბერს ქუთათელ-გაენათელ ეპისკოპოსად დაინიშნა.

თვითმხილველთა გადმოცემით, გაბრიელ ჩაჩანიძის ლექციაცა და ქადაგებაც იმ ეპოქისთვის დიდი გმირობის ტოლფასი იყო, რადგან საქართველოს ისტორიას გადმოსცემდა არა ისე, როგორც ცენზურა ითხოვდა, არამედ პირუთვნელად და ობიექტურად. ამიტომ მისი ქადაგების დროს ტაძრები მრევლს ვერ იტევდა, ისევე როგორც მის ლექციაზე სტუდენტებს — აუდიტორია. გაბრიელ ჩაჩანიძე ყოველთვის მძიმედ განიცდიდა დედასამშობლოსგან მოწყვეტილი ტაო-კლარჯეთის, ლორესა და საინგილოს ბედს, ოცნებობდა მათ დაბრუნებაზე. მისი საქმიანობა და ეროვნული სულისკვეთება პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა რეჟიმის იდეოლოგიას, ამიტომ მას მუდამ ებრძოდა პარტიული ნომენკლატურა და ე.წ. ჩეკა. ეს დაპირისპირება თუ მიტროპოლიტ გაბრიელის მხრიდან მხოლოდ იდეოლოგიით იფარგლებოდა, ჩეკა ყოველგვარ ძალისმიერ, დაუნდობელ და უღირს მეთოდებს მიმართავდა.

ცნობილია, რომ წირვის დროს მას ტაძარში შეუვარდნენ შეიარაღებული ჩეკისტები და სროლა ატეხეს, თუმცა მრევლი გადაეფარა, მეუფე საკურთხეველში შეაბრძანეს და ასე გადაარჩინეს მტრის ტყვიას. ჩეკისტები იძულებული გახდნენ, იქაურობას გასცლოდნენ. ამის შემდეგ ღამით, ტაძრიდან წამოსულ მეუფეს დაედევნა შეიარაღებული დაქირავე-

ბული მკვლელი ქალი (ვითომ ქვრივი, მათ-ხოვრებთან თავშეფარებული). მაშინაც და კი-დევ რამდენიმე თავდასხმის დროსაც გაბრი-ელი მრევლის ერთგულმა წევრებმა იხსნეს, რომლებიც საკუთარი ნებით დაყვებოდნენ თან და მოსალოდნელი თავდასხმისაგან იცავ-დნენ მოძღვარს. საშობაო წირვის დროს კი მის საცხოვრებელ სახლში ჩეკას მიგზავნი-ლი ბოშათა ჯგუფი შეიჭრა. ბოშებმა პრო-ვოკაციულად, ხალხის თვალწინ დაამტვრი-ეს ყველაფერი და სახლი გაძარცვეს.

ერთხელ, მრევლში შეგზავნილმა მოხუცმა, შვილმკვდარმა ქალმა საზიარებლად მი-ართვა შავი ღვინო და დაჟინებით სთხოვა გა-ესინჯა. მეუფემ ერთი ყლუპი დალია და ორ კვირას იავადმყოფა, ძლივს გადაარჩინა მე-გობარმა ექიმმა. ღვინო მედიცინისთვის უცნობი შხამით აღმოჩნდა მოწამლული, ხოლო ის ქალი მრევლში აღარავის უნახავს. აღსა-ნიშნავია, რომ არც ერთ ზემოთ მოყვანილ ფაქტზე რეაგირება არც ხელისუფლების, არც სამართალდამცავების მხრიდან არ ყოფილა. ყველაფერ ამას მუდამ თან სდევდა საქარ-თველოს პატრიარქისა და სინოდისადმი მი-მართული უსაფუძვლო, ცილისმწამებლური, განუწყვეტელი ანონიმური საჩივრების ნიაღ-ვარი.

მიუხედავად მუდმივი ზეწოლისა, თავდას-ხმებისა და დევნისა, გაბრიელ ჩაჩანიძემ ყველგან, სადაც თუნდაც მცირე ხნით მსა-ხურობდა, დიდი სამუშაო გასწია დედაეკ-ლესიის გასაძლიერებლად. ალავერდის ეპარქია მის ეპისკოპოსად დანიშვნამდე ფაქ-ტობრივად უმოქმედო იყო. გაბრიელმა მის-ვლისთანავე წარმართა ძირფესვიანი რე-ფორმა, აღადგინა წირვა-ლოცვა ყველა ტა-ძარში, რესტავრაცია გაუკეთა ტაძრებს, სა-კუთარი არხებით გამოძებნა ალავერდის ტაძ-რის სარესტავრაციო თანხა. ასევე მნიშვნე-ლოვანი და დიდი რეფორმები მოახდინა ცხუმ-აფხაზეთისა და ბათუმ-შემოქმედის ეპარქიებში. უშუალოდ მისი ძალისხმევითა და პარტიულ ნომენკლატურასთან დიდი დაპირისპირების შედეგად მოხერხდა მოწა-მეთის ტაძრის რესტავრაცია, მასში წირვა-ლოცვის აღდგენა და ქუთაისის მხარეთ-მცოდნეობის მუზეუმიდან წმინდა დავით და კონსტანტინე მხეიძეების ნეშთის ტაძარში გადასვენება. ამ საკითხზე ის ძალიან მწვა-ვედ დაუპირისპირდა ადგილობრივ ხელისუფ-

ალავერდის ეპარქიიდან მეუფე გაბრიელის გაცილება, 1952 წ.

კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემი (სიდამონიძე) და ეპისკოპოსი გაბრიელი (ჩაჩანიძე) ეპარქიის სასულიერო პირებსა და მრევლთან ერთად

ლებას და განსაკუთრებით მის ხელმძღვანელ გრიგოლ ნარსიას.

მიტროპოლიტმა გაბრიელმა აღკვეცა ბერად შემდგომში ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი ბერი გაბრიელ (გოდერძი) ურგებაძე. მეუფე გაბრიელს ახლო ურთიერთობა ჰქონდა რუსეთის პატრიარქ ალექსი პირველთან და სასულიერო აკადემიის რექტორ ნიკალაი კრუტიცკისთან. საქართველოს საპატრიარქოს ეგიდით მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო კონფერენციაში და საეკლესიო თავყრილობაში. მათ შორის ბულგარეთში, რუსეთსა და რუმინეთში გამართულ საეკლესიო თათბირებში. 1951 და 1952 წლებში სიტყვით გამოვიდა მოსკოვში მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო მეორე და მესამე ყრილობაზე.

არაერთი საინტერესო გადმოცემა არსებობს იმ სასწაულების შესახებ, რომლებიც მიტროპოლიტ გაბრიელის მხურვალე ლოცვის შედეგად უფალმა მრევლს მოუვლინა. ერთ-ერთი, რომელიც ქუთაისში მრევლის ხანდაზმულ წევრებს დღესაც ახსოვთ, ასეთია: იმ წელიწადს იმერეთში ძალიან გვალვიანი ზაფხული იყო. გაუჭირდა გლეხობას, გადახმა ნათესები. შეწუხებულმა ხალხმა საშველად მეუფე გაბრიელს მიმართა. მეუფემ ხალხი დაამშვიდა და მეორე დილით ელიაობის (ელია წინასწარმეტყველის ხსენების დღის) წირვაზე დაიბარა.

დილიდან მართლაც უამრავი ხალხი მოაწყდა ტაძარს. მრევლში მრავლად იყვნენ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ჩეკისტები, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ წირვის დამთავრებას, რათა გაწბილებული მრევლი აბუჩად აეგდოთ. აგვისტოს თვის დასაწყისში (2 აგვისტო) დილიდან საშინელი ხვატი იდგა და ცაზე არათუ საწვიმარი, ღრუბლის პატარა ფთილაც კი არ ჩანდა.

მეუფემ ჩვეული გულმოდგინებითა და სი-

დინჯით დაიწყო წირვა. მოხდა სასწაული... როგორც კი წირვის დამთავრებისას მრევლმა ერთხმად წარმოთქვა „ამინ“, მოწმენდილ ცაზე გაისმა ქუხილის ხმა და მოულოდნელად გაჩენილი სქელი ღრუბლებიდან მართლაც წამოვიდა წვიმა, მაგრამ ისეთი ძლიერი, რომ ადიდებულმა რიონმა ჩეკას ერთ-ერთ კანტორას ძირი გამოუთხარა და წაიღო. დაბნეულმა ჩეკისტებმა თბილისში აფრინეს საჩივარი: „მიტროპოლიტმა გაბრიელმა კანტორა დაგვინგრია, ილოცა და ისეთი წვიმა მოიყვანა, სახელმწიფო ქონება გაანადგურა. ნება მოგვეცით დავიჭიროთ და პასუხისგებაში მივცეთო“. მაგრამ დედაქალაქში დაფიქრდნენ და მიხვდნენ, რომ ეს სარჩელი ღმერთის აშკარა აღიარებამდე მიიყვანდათ და სასწრაფოდ გააუქმეს.

1956 წლის 3 ივლისს მიტროპოლიტი გაბრიელი საეჭვო სიტუაციაში გარდაიცვალა. დაკრძალულია სიონის ტაძრის ეზოში. მისი გარდაცვალება დღესაც ბურუსითაა მოცული. არქივებში მოძიებულ ცნობებში გარდაცვალების მიზეზად დასახელებულია ღვიძლის კიბო, მაგრამ ანალიზების პასუხები და პაციენტის ჩივილები რადიკალურად ეწინააღმდეგება დიაგნოზს, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს. ეჭვს აძლიერებს ისიც, რომ მეუფის გარდაცვალებისთანავე მის სახლში ჩეკამ ძირფესვიანი ჩხრეკა მოაწყო და მისი ხელნაწერები, ნაშრომები, ფოტოები, დოკუმენტები და ბიბლიოთეკაც კი, სატვირთო მანქანებით წაიღეს (სავარაუდოდ გაანადგურეს, რადგან არც ერთ არქივში, მათ შორის არც უშიშროების სამსახურის არქივში არ ინახება). გარდა ამისა, ყველგან, სადაც საარქივო მასალებია დაცული, იგრძნობა, რომ მის შესახებ თითქმის ყველა დოკუმენტი მიზანმიმართულადაა განადგურებული (სავარაუდოდ, ამაზეც სპეცსამსახურებს მიუწვდებოდათ ხელი).

ყველგან, სადაც გაბრიელ ჩაჩანიძე მოღვაწეობდა, მაღალი ინტელექტისა და ნიჭის წყალობით სწრაფად აღწევდა წარმატებას, აღიარებასა და გულწრფელ სიყვარულს. სასულიერო და სამეცნიერო წრეებში მას იცნობდნენ და პატივს სცემდნენ, როგორც განათლებულ, პრინციპულ და ამავე დროს უზომო სიკეთითა და სიყვარულით აღსავსე, საქართველოზე უზომოდ შეყვარებულ ადამიანს, რომელიც ყოველი დილა-საღამოს ლოცვებს ასე იწყებდა: „უფალო, გაამთლიანე ჩემი საქართველო!“

ანდრო ჩაჩანიძე

ეპისკოპოსი გაბრიელი 1954 წელს მოწამეთის ტაძარში არგვეთის მთავრების, დავითისა და კონსტანტინეს წმინდა ნაწილების გადაბრძანებისას

ბერიკაობა საქართველოში

ბერიკა. ლადო გუდიაშვილის ნახატი

ქართულ ტრადიციულ საზოგადოებაში გვიანობამდე შემორჩა თეატრალიზებული გართობა-სანახაობის, წარმოდგენების, ხალხური დღესასწაულების გამართვის ჩვეულება. ეს საშუალებას გვაძლევს, ქართველთა საკარნავალო მისტერიის წარსო-არქაული და სანახაობითი ბუნება გავიაზროთ, რომელიც უხვად შეიცავს უძველეს სარწმუნოებრივ ელემენტებს. ამგვარ თეატრალიზებულ წარმოდგენებში ერთ-ერთი გამოკვეთილი ადგილი უკავია ბერიკაობას.

პირველი ცნობები ბერიკაობის შესახებ ქართულ პერიოდულ პრესაში XIX საუკუნეში გაჩნდა. სამეცნიერო ლიტერატურაში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა თამაშობათა წარმომავლობის, ცალკეულ ნიღაბთა გენეზისის პრობლემას, ტერმინოლოგიის, თამაშობებში დაცული საერთო რელიგიური კონცეფციის შესწავლას, თამაშობათა სანახაობით მხარეს. როგორც ეთნოლოგი ირაკლი სურგულაძე შენიშნავს, საერთოდ აღიარებულია ამგვარ დღესასწაულთა აგრარული ბუნება, ცალკეულ პერსონაჟთა კავშირი აღდგენის უნარის მქონე და მოკვდავ ღვთაებებთან. ეს თამაშობანი, ისევე როგორც სხვა ქართული დღესასწაულები, მიწათმოქმედთა შორის აღმოცენდა და ჩამოყალიბდა და ამდენად, მათი კავშირი არქაულ სამიწათმოქმედო კოსმოგონიასა და რელიგიასთან უდავოა — მათ საფუძველში ყველგან გამოსჭვივის ბუნების ძალთა ნაყოფიერების, მისი მუდმივი განახლების იდეა. მისივე აზრით, დღესასწაულები ყოველთვის მჭიდროდ უკავშირდებოდა სამეურნეო წლის, ბუნებრივი დროის აღრიცხვას, ბუნებაში მიმდინარე პროცესების კრიზისულ, გარდატეხის მომენტს, რაც უფრო ხელმისაწვდომს ხდის მათ რელიგიურ-კოსმოგონიური ასპექტის შესწავლას.

ბერიკაობის, როგორც ხალხური დღესასწაულის შესწავლას მიეძღვნა ეთნოლოგ ჯულიეტა რუხაძის მონოგრაფია „ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში“. მან შეისწავლა ამ დღესასწაულის ძირითადი ასპექტები, მიიჩნია ბუნების აღორძინების შემადგენელ მნიშვნელოვან რიტუალად და ცალკე პრობლემებად გამოყო დღესასწაულის გამართვის დრო, სამზადისი, სანახაობა — ქორწილი და საფინალო მითოლოგემა, მოქმედ პირთა გარდაცვალებისა და აღდგენის სცენა; ამავე დროს, ყურადღება გაამახვილა დღესასწაულის მოქმედ პერსონაჟთა ჩაცმულობაზე, საკულტო ნიღბებსა და ატრიბუტიკაზე.

ბერიკაობა საყველიერო წეს-თამაშობათა რიცხვს განეკუთვნებოდა. იგი ხშირად მთელი ყველიერის განმავლობაში მიმდინარეობდა (იმერეთი, ქართლი). ზოგან ყველიერის ხუთშაბათს მართავდნენ, კახეთში ყველიერის შაბათსა და კვირას. იმერეთში დღესასწაული

თებერვლის დამლევიდან აპრილის ბოლომდე მიმდინარეობდა, კასპის რაიონში იგი აღდგომის წინ სცოდნიათ. როგორც ტრადიციული ყოფის მასალიდან ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოს მთაში: ხევსურეთში, ფშავსა და თუშეთში — ზამთრობით, ახალ წელს, ხოლო საქართველოს ბარსა და სვანეთში — გაზაფხულზე იმართებოდა.

შესაბამისად, მოძრავი დღესასწაულის, ყველიერის დროს გამართულ სანახაობასა და დროის ამ მონაკვეთს „ყველიერის კვირა“ ეწოდება, იმერეთში „ბერიკაობის კვირა“, აღმოსავლეთ საქართველოში კი უშუალოდ „ბერიკაობას“ უწოდებენ.

„ყველიერის ორშაბათს“ (ანუ ბერიკაობას) მთელი სოფელი საზეიმო განწყობილებას გამოხატავს. სოფლის ცენტრში თავშეყრილი ბავშვები და ახალგაზრდები გაზაფხულის სადიდებელი დღის აღსანიშნავად ემზადებიან. დღესასწაულში ძირითადად ახალგაზრდები მონაწილეობენ, რომელთა რიცხვი ოც-ოცდაათს აღემატება. ხალხი სანახაობის ძირითად გმირებს: ბერიკებს, თავბერიკას, დედოფალს, მაყრებსა და სხვა ნიღბოსან პირებს ირჩევს. ამ შემთხვევაში ითვალისწინებენ ინდივიდის უნარსა და წინა წლების გამოცდილებას.

სადღესასწაულო სამზადისის დროს მის მონაწილეებს მოაქვთ თხის, ცხვრის, ხარის ტყავები, ტყავკაბები, პირუტყვის კუდები, გოგრის, ნაბდის, მუყაოსა და ქაღალდის ნიღბები, ღორისა და თხის გამხმარი თავები, სხვადასხვა ცხოველის რქები, ფრინველის ბუმბული, საპატარძლო კაბა, თავსაბურავები, ნაჭრის თოჯინები, ზარები, კრიალოსანი, ხის ხმლები, ხანჯლები, ფარები, შურდულები და სხვ. იქვე მზადდება სხვადასხვა ფერის ალმები და ჩირაღდნები.

სამზადისს სახელდახელო ლხინით, სიმღერითა და ცეკვა-თამაშით ამთავრებენ. მესტვირე, რომელიც ბერიკაობის წინამძღოლად ითვლება, დღესასწაულისთვის საგანგებოდ შექმნილ, მაღალ ხმაზე შესასრულებელ „ბერიკულს“ (მესტვირულს) უკრავს.

დღესასწაული დილიდან იწყება. ბუკისა და ნაღარის ხმა სოფელს ბერიკაობის დაწყებას ამცნობს და მონაწილენიც შესაფერისად ირთვებიან — სახლში, თავლასა და იმ ადგილებში, სადაც ჩვეულებისამებრ საწესო ქმედებები სრულდება.

დღესასწაულის მთავარი მოქმედი ბერიკა ახალგაზრდა, მკვირცხლი ვაჟია, მის გარეშე არც ერთი რიტუალი არ სრულდება. თავბერიკა ანუ მთავარი ბერიკა ნიღბით არის შემოსილი. საქართველოს სხვადასხვა კუთხე-

„ყვენობის კუდი“ (მონაწილეთა შორის არის ილია ჭავჭავაძე. ჟურნალი „კვალი“, №20, 1894 წ.)

ყვენის კოცნა. ლადო გუდიაშვილის ნახატი

მოცეკვავე თხაბერიკა. ლადო გუდიაშვილის ნახატი

ში დამოწმებული მასალის მიხედვით, მისი ნიღაბი სხვადასხვაგვარია. უფრო ხშირად გამოიყენებოდა შავი ნაბდის (თექის) ნიღაბი (იგივე ორმაგად შეკერილი „ქუდნიღაბი“, ცალმაგი ანდა ნახევარნიღაბი). ტრადიციული ყოფის ამსახველი მასალიდან ცნობილია, რომ სცოდნიათ სახის შემურვა და ნიღაბზე რქების, ზარის, ფრინველის ბუმბულის დამაგრება.

ბერიკაობის სანახაობაში ყურადღებას იპყრობს დედოფლის პერსონა. მას განასახიერებს უწვერულვაშო ახალგაზრდა, ლამაზი პირისახის ვაჟი, რომლის მორთულობაც პატარძლის ჩაცმულობას ჩამოჰგავს, რასაკვირველია, თეატრალიზებული ნიღბის (ანდა მკვეთრი ფერის საღებავით სახის შეღებვის) დამატებით.

სანახაობის ამალას შეადგენენ: მაყრები, ბერიკები, ნათლია, რომლებიც იმავდროულად ნეფე-დედოფლის, ნეფე/ბერიკას მხლებლებსა და დედოფლის მცველებსაც წარმოადგენენ. დღესასწაულში მონაწილეობენ ზოომორფული ნიღბით შემოსილი პირები, მაგალითად, ტახბერიკა (კახეთში), რომელსაც მთავარ ბერიკას უწოდებენ და ღორის ნიღაბს ატარებს; მღვდელი, დიაკვანი, რომელთა მონაწილეობა საკარნავალო მისტერიის ხასიათის შემცველია და ღორის ნიღბიან ბერიკასთან ერთად, დედოფლისადმი ლტოლვის გამომხატველი.

ცალკე უნდა აღინიშნოს დღესასწაულის მოქმედებაში არაბის, თათრისა და ლეკის მონაწილეობა, რომელიც „სოფლის დამრბეველნი და ამწიოკებელნი“ და დედოფლის მოტაცების ინიციატორები არიან.

ბერიკაობის მონაწილენი მოივლიან სოფლებს, ხშირად შორეულსაც ესტუმრებიან, როგორც წესი, ასევე ესტუმრებიან შეძლებულ ოჯახებს. მსვლელობა მიმდინარეობს დღის განმავლობაში (საღამოს ანდა ზოგჯერ ღამით). ოჯახში შესულნი მართავენ სანახაობას ცეკვა-სიმღერის თანხლებით, ითხოვენ სანოვაგეს და ზოგჯერ ფულსაც. მასპინძლები აღფრთოვანებულნი ხვდებიან დღესასწაულის მონაწილეებს, უმართავენ ნადიმს, ასაჩუქრებენ მსვლელობის წევრებს. თუ წინამძღოლი ძღვენით უკმაყოფილოა, მაშინ არაბი, თათარი ან ლეკი ეზოში გაგორდება, რაც მოსახლეობის აზრით მოუსავლიანობასა და სიკვდილიანობას მოასწავებს, ამიტომაც მას სასწრაფოდ აყენებენ და ასაჩუქრებენ. ბერიკაობის, როგორც რიტუალის ძირითადი არსი მდგო-

მარეობს სურსათის ანდა ფრინველის გატაცებაში, რასაც არაბი, თათარი ან ლეკი აკეთებს. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლები არაფერს იშურებენ მონაწილეთათვის, ეს წესი, როგორც ტრადიცია, მოქმედებს და მასპინძლებიც უკმაყოფილებას არ გამოხატავენ. ამავე დროს ოჯახის წევრები ცდილობენ ბერიკებისთვის ცხოველის ბეწვის ან ფრინველის ბუმბულის მოცილებას, ამაში მათ ხელს მცველები უშლიან, თუმცა ხშირად თავბერიკა (ბერიკა) ნეფე თავად აძლევს ბეწვს ან ბუმბულს, როგორც ნაყოფიერების სიმბოლოს, რომელსაც დიასახლისი ფრინველის ან პირუტყვის სადგომში ათავსებს. იმავდროულად მიმდინარეობს ოჯახის დალოცვა.

დღესასწაულის კულმინაციას წარმოადგენს ნეფე/ბერიკას დედოფალზე დაქორწინების სცენა. იგი მიმდინარეობს სასიყვარულო დაპირებათა ფონზე, რის შემდეგაც დედოფალი თანხმდება. მას ჯვრისწერის რიტუალიც მოსდევს, რომლის დროსაც ეწყობა დედოფალზე თავდასხმა. მას იტაცებს თათარი, ლეკი ან არაბი. სანახაობის ბოლოს მცველები წარმატებით იგერიებენ იერიშს. წყვილი საყდარში მიჰყავთ. მოქმედების ყველა ეტაპი მუსიკალური ინსტრუმენტის თანხლებით მიმდინარეობს. ამავე დროს თამაშდება სასიყვარულო სცენები, შაირობა, კაფიაობა, საქანელაზე ქანაობა, რომლის დროსაც გასათხოვარი ქალები აქტიურობენ (ქანაობა საქორწინო რიტუალის

ყვენი ქართლიდან. ზაურ ფორჩხიძის ნახატი

კომპოზიცია „ბერიკაობა“. მოქანდაკე ავთანდილ მონასელიძე, არქიტექტორი გიორგი ჯანბერიძე

შემადგენელი ნაწილია და ნაყოფიერების გამოვლინებას ემსახურება).

ბერიკაობის საფინალო მითოლოგემას წარმოადგენს ბერიკას სიკვდილი და დედოფლის დატირება. ამ სიუჟეტში მონაწილეობენ მღვდელი, ბერიკები, რომელთაც „მიცვალებული“ სასაფლაოზე მიჰყავთ. მოტირალ დედოფალს თათარი, არაბი ან ლეკი „ამშვიდებს“, უკეთეს ქმარსა და მომავალს ჰპირდება, რის შემდეგაც მას იტაცებს. მცველები ვერაფერს ხდებიან და „მიცვალებულს“ ჩასძახებენ დედოფლის გატაცების ამბავს. ბერიკაც მაშინვე ცოცხლდება და დედოფალს იბრუნებს. ამის შემდეგ ასევე თამაშდება დედოფლის „გარდაცვალებისა“ და „აღდგენის“ რიტუალი.

გარდაცვალება-აღდგენის რიტუალს მოსდევს საბრძოლო შერკინება, ხელჩართული ბრძოლა, ჭიდაობა და ლხინი.

ბერიკაობის, როგორც სანახაობითი კულტურის ერთ-ერთი მთავარი მოტივი, რომლის წარმომავლობა ხაზგასმით არქაულია, არის ნაყოფიერების სიმბოლიკის უხვად წარმოჩენა, რაც თავისთავად ქართული ხალხური დღესასწაულების ერთ-ერთი უძველესი შტრიხია. ფალიკური (სქესობრივი) ნიშნით აღბეჭდილი სცენები, ატრიბუტიკა, სიმღერები და ცეკვები ხაზს უსვამენ მსოფლიოს უძველეს მიწათმოქმედ ხალხთა აზროვნების პრიორიტეტებს. ამგვარი სცენებისა და სიუჟეტური კვანძების არსებობა მიგვანიშნებს სამყაროს განახლების, ნაყოფიერების დაფარულ სიმბოლოებზე, რასაც წარმოდგენილი სცენები და შემსრულებელი პირები გამოსახავენ. საქორწინო სიუჟეტებში მიწისფრად (მიწა — სამყაროს სიმბოლო) შეღებილი, ნიღბიანი ბერიკები ყოველთვის დედოფლის თანხლებით მოქმედებენ, რაც ამ სანახაობის რიტუალური, საწესო ბუნების დასტურია. ცნობილია, რომ დედოფლის როლის შემსრულებლები ყოველთვის მამაკაცები არიან, რაც მსოფლიოს თეატრალიზებული სამყაროს გაზიარებული პრაქტიკაა.

ბერიკაობაში ერთმნიშვნელოვნად იკვეთება ამ სანახაობის რიტუალური, საწესო ბუნება.

საქორწინო სცენები, დედოფლისადმი დამსწრეთა, დათვის თუ ტახის ნიღბიანი ბერიკების ლტოლვა ბუნების ძალთა ნაყოფიერებისა და გამოღვიძების სიმბოლო-გასაღებია. იმავდროულად, გასათვალისწინებელია დღესასწაულის გამართვის პერიოდი (გაზაფხული, ანდა ზამთარი — ახალი წელი), რაც წელიწადის ციკლური მონაცვლეობის, ბუნებრივი პროცესების გარდატეხის, მიძინებული სამყაროს გამოღვიძების ერთგვარი დასტურია.

ყურადღებას იპყრობს ისტორიული ეპოქის ნაკვალევის ნაშთები, რომელიც დამპყრობელთა სახითაა რეალიზებული წარმოდგენებში. ფაქტობრივად, თათარი, არაბი, ლეკი, შაჰ-

თანამედროვე ბერიკები

აბასი, თემურ-ლენგი, რუსი გენერლები ისტორიული სურათის რეკონსტრუქციის ერთგვარი საშუალებაა, რომელიც ხალხის ცნობიერებამ დღესასწაულში, როგორც ყოფით სანახაობაში, უცვლელად გადმოიტანა.

დღესასწაულის მთავარი გმირი ბერიკაა. დღესასწაულის ახსნისას თვალსაწიერში ექცევა ტერმინ „ბერიკას“ წარმომავლობის საკითხი. მეცნიერები ტერმინ „ბერიკას“ უკავშირებენ ბერს. „ბერის“, „უფლის“, „ხევისბერის“ უფლებრივი და სოციალური მდგომარეობისა და იმავდროულად ტერმინის გათვალისწინებით, ბერიკა წარმოადგენს წინაპარს, ასაკოვან მამაკაცს როგორც რელიგიური და უფლებრივი უზენაესობის, მესვეურობის მანიშნებელ სიმბოლოს. ქრისტიანულ სარწმუნოებაში „ბერმა“ ასაკობრივი უპირატესობა ჩამოიტოვა და რელიგიური სიმბოლო გახდა (მაგალითად, ქრისტიანული სარწმუნოების „ბერი“, „მონაზონი“). აქვე შევნიშნავთ, რომ ბერიკაობის მთავარი პერსონაჟი „ბერიკა“ — ახალგაზრდა ვაჟი, „ხანშიშესულ მამაკაცს“ განასახიერებს, რომელიც ამალის მესვეური და წინამძღოლია.

დღესასწაულის მსვლელობისას, როგორც წესი, მონაწილენი სახედარზე, აქლემზე, ცხენზე ამხედრდებიან. მხედრობა სოციალური სტატუსის მიმანიშნებელი სიმბოლოც არის, რომელსაც დღესასწაულში საკარნავალო ელემენტები ერთვის და კომიკურ ხასიათს სძენს (გართობა-სანახაობაში მოქმედი პირები ცხოველებზე უკუღმა არიან ამხედრებულნი).

ბერიკაობის თეატრალიზებული სანახაობის მთავარი არსი, მითოლოგემა არის ნეფე/ბერიკას (ანდა დედოფლის) „სიკვდილისა“ და აღორძინების“ სცენა. მოკვდავი და აღდგენილი ღვთაების უნივერსალური კონცეფცია მსოფლიოს ცივილიზებული მითოსისთვის დამახასიათებელი ელემენტია, მას ერწყმის სამყაროს კვდომა-აღორძინების იდეა, ხოლო ღვთაებათა სიკვდილი საკუთარ თავშივე შეიცავს აღდგომა-განახლების პერსპექტივას. აქედან გამომდინარე, ბერიკას (დედოფლის) გარდაცვალება, დატირება, აღდგომა ქართული სანახაობითი კულტურის უძველესი შრეა. მოცემულ შემთხვევაში მითოსი გადმოგვცემს, ხოლო რიტუალური დღესასწაული — კომიკურ-სანახაობითი სახით წარმოგვიდგენს იმ ტრადიციას, რომელიც სიმბოლურად სამყაროს განახლებას ემსახურება.

მაია ზურაშვილი

ფრაგმენტი ნიკოლოზ იგნატოვის პანოდან „ბერიკაობა“. კინოს სახლი, თბილისი

ბერიკაობა. გიორგი ოჩიაურის ნახატი

როდის დასახლდნენ ოსები საქართველოში

ნეკროპოლი სოფელ დარგავსთან, ყველაზე დიდი ჩრდილოეთ კავკასიაში

ვინ ამახინჯებს ისტორიას

საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ოსებს ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეჭირათ. სამწუხაროდ, პოსტსაბჭოთა პერიოდში ქართველებსა და ოსებს შორის ეგრეთ წოდებულმა ეთნიკურმა დაპირისპირებამ იჩინა თავი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ეთნიკურ ერთეულებთან შედარებით, ოსები ყველაზე მეტად იყვნენ ქართველებთან ინტეგრირებული (ქართული ენის ცოდნა, საქორწინო ურთიერთობები, ნათელმირონობა...).

როდის დასახლდნენ ოსები საქართველოში? ინტერესი ოსთა საქართველოში მიგრაციის შესახებ განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც ოსებმა რუსეთის ძალით საქართველოს ძირძველი მიწა-წყალი მიიტაცეს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო ორი-სამი ათეული წლის განმავლობაში მიზანმიმართულად ხდებოდა საქართველოში ოსთა გადმოსახლების ისტორიის დამახინჯება. ოსებს ბავშვობიდან აგონებდნენ, რომ „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორია მათი განსახლების უძველესი არეალია და რომ თურმე ქართველი ფეოდალები ოსებს ბატონებად მოევლინნენ. ქართველ თავად-აზნაურთა შემდეგ ოს მეცნიერთა სალანძღავად ქართველი სოციალ-დემოკრატები იქცნენ, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიას ბოლშევიკთა მიერ წაქეზებული აჯანყებული ოსებისგან იცავდნენ.

ბოლო წლებში ოსმა ისტორიკოსებმა დაასახელეს საქართველოში მათი გადმოსახლების სხვადასხვა თარიღი. ერთნი „ამტკიცებენ“, რომ ეს მოხდა ხუთი ათასი წლის წინ (ნაფი ჯუსოითი), ხოლო უფრო ზომიერნი მიგრაციის პერიოდად XIII-XIV საუკუნეებს ასახელებდნენ, მესამენი კი ამ ორ ძალიან დაშორებულ პერიოდს შორის სხვადასხვა ქრონოლოგიურ თარიღს გვთავაზობდნენ. ბოლო წლებში მითოლოგემების შექმნით განსაკუთრებით გამოიჩინა თავი საბჭოთა ისტორიკოსმა მარკ ბლიევმა, რომლისთვისაც შეიძლება ითქვას, საისტორიო წყარო არც არსებობს ან თუ არსებობს, იმ ინტერპრეტაციით, როგორც თავად წარმოუდგენია. მარკ ბლიევის მიხედვით, თურმე ადრე შუა საუკუნეების ქართლის

(იბერიის) სამეფო სხვა არაფერი იყო, თუ არა ქართულ-ოსური კონფედერაცია.

ბუნებრივია, ეთნიკური კონფლიქტების მოსაგვარებლად ისტორიას მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს: ხალხი, რომელიც ცხოვრობს განსაზღვრული ეთნოსის ტერიტორიაზე, ქვეყნის სრულუფლებიანი წევრი უნდა იყოს (ასეც იყვნენ ოსები საქართველოში ცხოვრების პერიოდში). პოსტსაბჭოთა სივრცეში წარმოქმნილი ქართულ-ოსური დაპირისპირება რომ სინამდვილეში კლასიკური ეთნიკური კონფლიქტი არ ყოფილა და რომ ის პროვოცირებული და მართული იყო იმპერიულ ძალთა მიერ, ეს კარგად წარმოაჩინა სწორედ ისტორიული თემატიკის ზედმეტმა შემოტანამ, რისი დამაგვირგვინებელი გახლდათ ჯერ 2004 წელს რუსეთის დუმის განცხადება და ბოლოს მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირების განცხადებები, რომელთა შინაარსიც ასეთია: რუსეთმა ჩრდილოეთი და სამხრეთ ოსეთი ერთად შეიერთა 1774 წელს, ე. ი. „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოს შემადგენელი ნაწილი არ ყოფილა. მიზანი ცხადია: იმპერიულ ძალებს სურთ, „საფუძვლიანი“ გახადონ საქართველოს ტერიტორიების მიტაცება. ამ შემთხვევაში ოსები მხოლოდ იარაღად არიან გამოყენებული, არც ეთნიკური ოსისა და არც ეთნიკური ქართველის ბედი მათ არ აღელვებთ.

ვინ არიან ოსები?

ოსები ირანულენოვანი ალანების უშუალო შთამომავლები არიან; ალან-ოსთა ეთნოგენეზი, როგორც საბჭოთა მეცნიერები აღნიშნავდნენ, მოხდა არა კავკასიაში ადგილობრივ კავკასიელებთან შერევის შედეგად, არამედ შუა აზიაში — არალისპირეთში. პირველად ისინი ძვ. წ. II საუკუნის ჩინურ წყაროებში არიან მოხსენიებული. ამ წყაროთა თვალსაწიერი კი კასპიის ზღვის აღმოსავლეთ მონაკვეთს არ სცილდებოდა. კლასიკურ ავტორთა თვალსაწიერში ალანები ახ. წ. I საუკუნეში ჩნდებიან, მას შემდეგ, რაც ევრაზიის სივრცის ევროპულ მონაკვეთში დაიწყეს მომთაბარეობა და გამოცალკევდნენ აზიელი ალანებისგან. ოსთა წინაპარი ალანების შესახებ მოთხრობილია კატალონიელ მეცნიერ აუგუსტ ალემანის წიგნში, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს სიახლოვეს მთელი ადრე შუა საუკუნეების განმავლობაში ალანები (ოსები) არ მკვიდრობდნენ. მათი სამომთაბარო არეალი ევრაზიის სივრცე იყო. ვოლგასა და აზოვის ზღვის მონაკვეთში მომთაბარე ალანები IV საუკუნის 70-იან წლებში ჰუნებმა გაანადგურეს, გადარჩენილთა ნაწილი ჰუნებს დასავლეთში გაჰყვა, ხოლო ნაწილმა ჩრდილოეთ კავკასიის ველებში ჩამოინაცვლა, სადაც ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდნენ, შექმნეს სახელმწიფო და ამ დროიდან ალანებთან (ოსებთან) ქართულ სახელმწიფოს ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა.

ალან-ოსების ისტორიაში მეორე, სამწუხარო ეტაპი იწყება XIII საუკუნიდან. მონღოლთა შემოსევების შემდეგ, ხანგრძლივი წინააღმდეგობის მიუხედავად, დამარცხებულმა ალან-ოსებმა დაკარგეს არა მარტო სახელმწიფოებრიობა, არამედ განსახლების არეალიც. XIII-XIV საუკუნეებში სტეპებში მცხოვრები ალან-ოსები მთიელებად იქცნენ.

ოსი მამაკაცი ჩრდილოეთ კავკასიიდან, XVIII საუკუნის კოსტიუმში

თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ალანთა ნაწილი მთიელებად უფრო ადრეც — ადრე შუა საუკუნეების შემდეგაც იქცა. ჰუნთა შემოსევების შემდეგ ისინი არა მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის ბარის მკვიდრნი გახდნენ, არამედ დასახლდნენ კავკასიის მთიანეთის დასავლეთ ნაწილში — თანამედროვე ყარაჩაისა და ბალყარეთის ტერიტორიაზეც. გვიანი შუა საუკუნეების დიგორის ხეობაში მცხოვრები ოსები სწორედ ძველი შემოსახლებული ალანების შთამომავლები არიან. XIII-XIV საუკუნეებიდან ალან-ოსები სწორედ აღნიშნულ სამ ხეობაში (ალაგირში, ქურთაულსა და თაგაურში) სახლდებიან.

ოსებს XX საუკუნემდე ერთიანი თვითსახელწოდება (ენდოეთნონიმი) არც ჰქონიათ. აღმოსავლეთ ოსეთის სამ ხეობაში მცხოვრები ოსები თავიანთ თავს „ირონს“ უწოდებდნენ, ხოლო დასავლეთით, დიგორის ხეობაში მცხოვრებნი — „დიგორონს“. მონღოლთა შემოსევებამდე ოსები აღმოსავლეთ ოსეთში (ალაგირი, ქურთაული, თაგაური) არ ცხოვრობდნენ. მათ სახელმწიფო ჩრდილოეთ კავკასიის ბარის დასავლეთ ნაწილში ჰქონდათ შექმნილი და არა თანამედროვე ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე. რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიის მთას, ისინი აქ დიგორიაში და მის დასავლეთით, დღევანდელი ბალყარეთისა და ყარაჩაის ტერიტორიაზე ადრე შუა საუკუნეებიდან, VI-VII საუკუნეებიდან მკვიდრობდნენ.

ვლადიკავკაზი — ინგუშური სოფლის ადგილას

XIII-XIV საუკუნეებში, როგორც აღვნიშნეთ, ხდება ალან-ოსების ბინადრობის ადგილის კიდევ ერთხელ შეცვლა. ისინი ჩრდილოეთ კავკასიის მთებში, შემდეგდროინდელ ალაგირის, ქურთაულისა და თაგაურის ხეობებში დასახლდნენ. ოსების ადრინდელი საცხოვრისი ჩრდილოეთ კავკასიის ბარში ყაბარდოელებმა დაიკავეს და მთიდან ბარში გამოსასვლელ ადგილებში შექმნეს მტკიცე სიმაგრეები, რათა მთებში შერეკილი ოსები ჩრდილოეთ კავკასიის ბარში საცხოვრებლად აღარ გასულიყვნენ. XIII-XIV საუკუნეებიდან მოყოლებული, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ოსებს რაიმე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი არ ჰქონიათ. ისინი აქ ხეობებში ერთმანეთისგან განცალკევებით ტერიტორიული თემების სახით ცხოვრობდნენ.

XVIII საუკუნის ბოლოს კავკასიაში შემოსულმა რუსებმა ოსებს ჩრდილოეთით, კავკასიის დაბლობში გადასახლების საშუალება მისცეს. უფრო ადრე, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ოსებმა ეთნიკური საზღვარი აღმოსავლეთითაც გაიფართოვეს. აქ, მდინარე თერგის მარცხენა ნაპირზე, XVIII საუკუნის

20-იან წლებში დასახლდნენ დარიალის ხეობის სოფლებში — ლარსში, ჩმისსა და ბალთაში. რუსული წყაროების ცნობებით, XVI-XVII საუკუნეებში ლარსის მიდამოებში, მდინარე თერგის მარცხენა სანაპიროზე ინგუშური მოსახლეობა მკვიდრობდა. დადგენილია, რომ თანამედროვე ოსეთის დედაქალაქი — ვლადიკავკაზი 1774 წლისთვის, როდესაც აქ რუსებმა ციხესიმაგრე ააშენეს, ინგუშურ სოფელს წარმოადგენდა და მას ზაურეგი ერქვა, სადაც ზაუროვების გვარის ინგუშები ცხოვრობდნენ.

მიცვალებულის პატივსაცემი ტრადიციული რბოლა. მაკარბეგ ტუგანოვი (1946 წ.)

შიდა ქართლში დასამკვიდრებლად...

ყოველგვარ არგუმენტებსა და ფაქტებსაა მოკლებული და მხოლოდ ზოგიერთი ავტორის ახირებას ემყარება თეზისები ოსების საქართველოში ძველი დროიდანვე მკვიდრობის შესახებ. არც ერთი საისტორიო წყაროთი, საბუთით არ დასტურდება ოსების საქართველოში მიგრაცია და აქ საბინადროდ გადმოსვლა ძველი წელთაღრიცხვის სხვადასხვა მონაკვეთში, არც ახ. წ. IV საუკუნეში მოჰყოლია ჰუნების შემოსევას ალან-ოსების საქართველოში დასახლკარება, არც VII და არც XIII საუკუნეებში, როგორც ეს ზოგიერთ ავტორს წარმოუდგენია. XIII საუკუნეში ოსებმა მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის მთიან ხეობებში დაიწყეს შესვლა, რაც კარგა ხანს გაგრძელდა და დასრულდა ეს მიგრაციული პროცესი XV საუკუნის დასაწყისში. XIII საუკუნის მეორე ნახევარში მხოლოდ ოსების ერთმა ჯგუფმა სცადა შიდა ქართლში დასახლება, რომლებიც დარუბანდის გზით იყვნენ შემოსული. მათი სამხედრო რაზმი ილხანთა მონღოლური სახელმწიფოს ბრძანებით მოქმედებდა. 1292 წელს უმეფობის პერიოდში „იწყეს ოვსთა ოხრებად, ხოცვად და რბევად და ტყევნად ქართლისა და ქალაქი გორი წარტყუენეს და თვისად დაიჭირეს ოვსთა“. ოსებმა ისარგებლეს საქართველოს დასუსტებით და მონღოლთა მხარდაჭერით ცდილობდნენ შიდა ქართლში სამოსახლო ადგილების მოპოვებას. ეს ფაქტობრივად „საპოლიციო რაზმები“, განსაზღვრული პერიოდის შემდეგ, მეფე გიორგი V ბრწყინვალემ გააძევა საქართველოდან („განასხნა და აღფხურნა“). ამის შემდგომ საქართველოს სახელმწიფოს მესვეურებმა კარგა ხნით მტკიცედ ჩაკეტეს ოსეთის ხეობებიდან საქართველოში შემოსასვლელი ორივე კარი (დარიალი, კასრის-კარი) და განსაზღვრული დროით შეაჩერეს ოსთა საქართველოში მიგრაცია. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ოსებს უფრო ადრეც ჰქონდათ მცდელობა საქართველოში დამკვიდრებისა. მაშინაც ისინი უცხო ძალას ეყრდნობოდნენ, მაგალითად, IX საუკუნის შუა ხანებში არაბმა მხედართმთავარმა ბუღა თურქმა დარიალის გადმოსასვლელით 100 ოჯახი ოსი შემოიყვანა და ქვემო ქართლში — დმანისში დაასახლა. წყაროებით არ ჩანს, შემდგომში რა ბედი ეწია ეთნიკური ოსების ამ 100 ოჯახს. სავარაუდოდ ისინი ან მალევე ასიმილირდნენ ქართველთაგან, ან გავიდნენ საქართველოდან. XIII საუკუნის შუა ხანებში მონღოლთა ხანის ბრძანებით მეფე დავით VII-მ მიიღო მონღოლთა მოკავშირე ოსთა სამხედრო რაზმები და საცხოვრებლად დმანისი და ჟინვანი მისცა. არც ამ სამხედრო რაზმების შემდგომი ბედია ცნობილი. ყოველ შემთხვევაში, არავითარი ოსური ეთნიკური ანკლავი ქართული წყაროებით ამ ქალაქებში არ ჩანს.

კავკასიის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარე ისტორიული საქართველოს პროვინციაში — დვალეთში ოსების შემოსახლება XV საუკუნის ბოლოდან იწყება. ეს პროცესი აქ ძირითადად მიმდინარეობდა XVI საუკუნეში, XVII საუკუნეში კი დვალეთში დასრულდა ადგილობრივ ქართველთა ეთნოგრაფიული

ჯგუფის — დვალების ასიმილაცია ოსების მიერ. ოსების დვალეთში დასახლებამდე, ოსების თარეშისა და ლაშქრობების გამო დვალების მნიშვნელოვანი ნაწილი ქართლში, იმერეთსა და რაჭაში განსახლდა. ადგილზე დარჩენილი დვალები, ოსთა ეთნიკურ-ენობრივ გარემოში ამ უკანასკნელთა აქ ჯგუფური შემოსახლებისა და სწრაფი გამრავლების შედეგად ასიმილირდნენ. ქართველი მთიელი დვალები იყვნენ წარმოშობით: ხადურები, ჩიფჩიურები, ბიგულები, თვაურები, ჩოჩოურები (იგივე ჩოჩიშვილები), ბეღელურები, გუდიაურები, ბაგაურები, გერგაულები, თაბაურები, ხერხეულიძეები, ქესაურები, ფარუხაულები, ბიგანები (ბიგანიშვილები), ხაბარელები, ხეთერელები, ხაჩიურები...

ოსური გადმოცემებიც ადასტურებენ, რომ ოსური ეთნოსი დვალეთში ბრძოლით არის მოსული. დვალეთში ფეხის მოკიდების შემდეგ ოსებმა შიდა ქართლის მთიანეთში გადმოინაცვლეს.

ოსების შიდა ქართლში მიგრაცია ძირითადად დვალეთის გზით ხორციელდებოდა. დვალეთში მოსახლეობის ეთნიკურ ცვლილებას ამ პროვინციის საქართველოდან ჩამოცილება არ მოჰყოლია. საქართველოს სახელმწიფოებრიობის მთელ პერიოდში და რუსეთის კოლონიად გადაქცევის შემდეგაც დვალეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. კავკასიის მეფისნაცვლის ალექსანდრ ბარიატინსკის 1858 წლის 3 აპრილის ბრძანებით დვალეთი, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ ნარას უბანი (შედიოდა თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში), რომლის ფართობიც 3 581 კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა, ჩრდილოეთ კავკასიის თერგის ოლქის „ოსეთის სამხედრო ოლქს“ შეუერთდა.

ოსთა პირველი დასახლებები საქართველოში

დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა პირველი დასახლებები ჩნდება თრუსოსა (მდინარე თერგის სათავე) და მაღრან-დვალეთში (მდინარე დიდი ლიახვის ხეობის სათავე). ოსების აქ დასახლება ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან XVII საუკუნის პირველ ნახევარში მოხდა. XVII საუკუნის პირველ ნახევარში ოსებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დაკავებული შიდა ქართლის მთიანეთის მნიშვნელოვანი ნაწილი. ისინი აქ მხოლოდ დიდი ლიახვის ხეობის სათავეში (მაღრან-დვალეთში, რომელიც ცხრა „მთური სოფლის“ ერთობლიობას წარმოადგენდა) იყვნენ მიგრირებული. მთელი რიგი საისტორიო მონაცემებით, XVII საუკუნის პირველ ნახევარში შიდა ქართლის მთიანეთი (დიდი და პატარა ლიახვის ხეობები) ნასოფლარებით იყო მოფენილი. ადგილობრივი ქართული მოსახლეობა აქედან აიყარა და ბარში ჩასახლდა. ვახუშტი ბაგრატიონი ხაზგასმით წერდა, რომ დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში ოსები ქართველთა ნასახლარებზე დაფუძნდნენ: „ხოლო რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომთა მეპატრონეთა მათგან გარდმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბარსა შინა ჩამოსულან, ვინაითგან მტერთაგან ბარსა შინა კაცნი შემსირებულან“.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

როლანდ თოფჩიშვილი

ძიგვისის ციხესიმაგრე ჩრდილოეთ კავკასიაში

ჯუხა ნადირაძე და საუჯუნის აღმოჩენები ყვირილის ხეობაში

გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან, ვანის ცნობილი არქეოლოგიური აღმოჩენების პარალელურად, ქართველი და მსოფლიო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო ყვირილის ხეობის არქეოლოგიურმა სამუშაოებმა, რომელსაც ინტენსიური ხასიათი მიეცა სამოციანი წლებიდან. გათხრებს თითქმის 30 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი არქეოლოგი, პროფესორი ჯურხა ნადირაძე, რომელიც რამდენიმე წლის წინ გამოაკლდა ქართველ არქეოლოგთა რიგებს. გათხრებს შედეგად მოჰყვა უბრწყინვალესი კულტურის აღმოჩენა, რომელმაც დაასაბუთა, შეკრა და გაამყარა ცალკეული დებულება თუ საგარაუდო მოსაზრება საქართველოს კულტურის უძველესობისა და ორიგინალობის შესახებ.

ვესაუბრებით ამ ექსპედიციის ერთ-ერთ მონაწილეს, ისტორიის დოქტორს, ბატონ **ელდარ ნადირაძეს**, რომელიც წლების განმავლობაში ედგა მხარში ჯურხას, როგორც ძმა, მეგობარი და იმავდროულად, ქართული ეთნოკულტურის მკვლევარი.

— ბატონო ელდარ, მოგუთხროთ მკითხველს ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლების მნიშვნელობის შესახებ.

— მდინარე ყვირილის ზემო წელი, რომელიც მოიცავს დღევანდელი ჭიათურა-საჩხერის რაიონებს, ფეოდალურ ხანაში წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოს ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი სამთავროს — არგვეთის დიდ ნაწილს. ელინისტურ ხანაში აქ გადიოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მომავალი უძველესი სავაჭრო სატრანზიტო გზა. ყვირილის ხეობაში ადამიანმა ბინა დაიდო ჯერ კიდევ ქვის ხანაში და შესაბამისად, ამ პერიოდის მასალა, ყველა თვალსაზრისით, მსოფლიო მნიშვნელობის მონაპოვრადაა მიჩნეული. თავის დროზე ბატონიშვილმა ვახუშტიმ აღწერა ზემო იმერეთის ეს ნაწილი და წარმოადგინა მისი ისტორიული ძეგლების დახასიათება. შემდგომ არაერთი მოგზაური მიანიშნებდა აქ დიდი კულტურული მემკვიდრეობის არსებობაზე. 1910 წელს დაბა საჩხერეში ყორღანული ტიპის სამარხის გათხრას თვით დიდი ექვთიმე თაყაიშვილი ხელმძღვანელობდა. პირველ საყურადღებო აღმოჩენათა საფუძველზე, გამოჩენილმა მეცნიერმა ბორის კუფტინმა განაგრძო არქეოლოგიური გათხრები 1936-1939 წლებში. კუფტინის აზრით, საჩხერის გორასამარხებში მიკვლეული ლითონის ნაწარმი ეკუთვნოდა ძ.წ. III ათასწლეულს. ამ აღმოჩენებმა მთლიანად შეცვალა მანამდე მიღებული ქრონოლოგიური ჩარჩო, რომელიც მეტალურგიის განვი-

საირხე, ოქროს საყურეები, ძვ.წ. V საუკუნე

საირხეში საკულტო ტაძრის სვეტის ულამაზეს ბაზისს შემთხვევით მიაკვლიეს

თარებას საქართველოში II-I ათასწლეულების მიჯნაზე უდებდა სათავეს.

შემდეგ ყვირილის ხეობაში არქეოლოგიურ გათხრებს პროფესორი ოთარ ჯაფარიძე წარმართავდა. მან საჩხერეში, ნაჩერქეზევსა და სოფელ ქორეთში მოპოვებული მასალით დაასაბუთა ამ რეგიონის ლითონწარმოების მაღალი კულტურა, რომელიც ადრეული ბრინჯაოს ხანაში იღებდა სათავეს. რაც შეეხება გვიანი პერიოდის არქეოლოგიურ ძეგლებს, მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევით აღმოჩენილი ნივთიერი მასალა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო, იგი საგანგებო კვლევის საგანი არ გამხდარა.

— ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლების გამოკვლევის მომდევნო ეტაპი დაკავშირებულია ბატონი ჯურხას სახელთან, რომელმაც მიაკვლია სწორედ ამ „გვიანი“ მასალის (ანტიკური ხანის) უბრწყინვალეს ნიმუშებს, რითაც სრულიად ახალი ფურცელი გადაიშალა ქართული არქეოლოგიის ისტორიაში. როგორ მოვიდა ჯურხა ნადირაძე არქეოლოგიაში?

— გეტყვით, რომ საჩხერის რაიონის სოფელ ჭორვილიდან ვართ. ჭორვილას მიბმულია საირხე, ხოლო საირხეს — საჩხერე. არქეოლოგიური ინტერესის გასაღვიძებლად მგონი ეს ცოტა არ არის. მით უმეტეს, რომ საირხისა და საჩხერის აღმოჩენებზე ბავშვობიდანვე ვიყავით მიყურადებული. ჯურხამ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და პირველ არქეოლოგიურ ექსპედიციაში პროფესორ ოთარ ჯაფარიძესთან მოხვდა ქვემო ქართლში. იმ დროისთვის საირხეში შემთხვევით მიაკვლიეს საკულტო ტაძრის სვეტის ულამაზეს ბაზისს, რომელიც იქაურ კაცს, რომანოზ ნადირაძეს, მარნის ბოძის საყრდენად გამოუყენებია. ამ ბაზისის დახვეწილმა არქიტექტურულმა ფორმებმა აღტაცებაში მოიყვანა ხელოვნებათმცოდნეები და არქეოლოგები. გაჩნდა ბუნებრივი ვარაუდი, რომ სადღაც აქვე უნდა ყოფილიყო ტაძარი, რომელიც ამ დეტალით იქნებოდა დამშვენებული. რა უნდა ყოფილიყო ახალგაზრდა არქეოლოგისთვის უფრო საოცნებო, თუ არა ამ კულტურის ძიება. ჯურხა ამ დროს უკვე მუშაობდა ხელოვნების მუზეუმში, რომლის დირექტორი, აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი თავადაც მოწადინებული გახლდათ, საირხეში არქეოლოგიური ექსპედიცია მოეწყოთ. და აი, სამოციანი წლე-

ბის დასაწყისში, საჩხერის ჩრდილოეთით, მოდინახეს ფერდობზე, გზის გაყვანისას მუშები შემთხვევით წააწყდნენ სამაროვანსა და ნამოსახლარს. ამ აღმოჩენამ მთავრობის გულიც მოალბო და ხელოვნების მუზეუმის ექსპედიცია საჩხერეში გაემგზავრა. ექსპედიციას ოფიციალურად ბატონი შალვა ედგა სათავეში, მაგრამ პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება მთლიანად მიანდო ჯურხას. 1967 წელს მოდინახეს სამხრეთ ფერდობზე ექსპედიციამ პირველი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლი აღმოაჩინა.

— როგორც ბრძანეთ, საჩხერეში აღმოჩენილია ადრეული ბრინჯაოს ხანის ანუ მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები. რა კავშირი არსებობს ამ მასალასა და მოდინახეს ძეგლებს შორის. კულტურის უწყვეტობის პროცესს ვგულისხმობ...

— კულტურის უწყვეტობა გარკვეულწილად უკავშირდება მისი შემქმნელი ხალხის ეთნიკური ერთობის დინამიკური განვითარების პროცესს. მოდინახეს გათხრები ამ მხრივაც განსაკუთრებულია, რადგან აქ აღმოჩენილი, ერთმანეთის თანამიმდევრული სამი ეპოქის — ბრინჯაოს, ადრეანტიკური და ელინისტური ხანის მასალები ამ ერთიანობის მანიშნებელია. მოდინახეს არქეოლოგიურმა გათხრებმა სავსებით დაასაბუთა, რომ ამ რეგიონში, ადრეული ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული, ვიდრე გვიან ანტიკური ხანის დასასრულამდე, ცხოვრობდა ქართველური მოდგმის ხალხთა ერთიანი კულტურის ნიშნის მქონე მოდგმა.

მოდინახეზე III ათასწლეულის შუა ხანების კულტურულ ფენაში აღნუსხული მასალა იდენტური აღმოჩნდა ბორის კუფტინისა და ოთარ ჯაფარიძის მიერ მიკვლეული მასალებისა. ეს კულტურა ენათესავება მახლობელი აღმოსავლეთის ცივილიზაციას და კიდევ ერთხელ ათვალსაჩინოებს ქართული და ძველაღმოსავლური სამყაროს კულტურულ-ისტორიულ ნათესაობას.

— ჯურხა ნადირაძის სამეცნიერო და სამწერლო მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ადრეანტიკურ კულტურას. მკითხველს შევახსენებთ, რომ ჯურხა ნადირაძე არქეოლოგიაში მხატვრული თხრობის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად მიიჩნევა. ბრინჯაოსა და რკინის ხანის შემდგომი, ე.წ. გვიანი კულტურა ანუ ანტიკური, ფაქტობრივად მსოფლიო ცივილიზაციის გვირგვინია და მასთან ზიარება, მისი კულტურული ნაკადების გადმოდინება უძველესი ქართული საზოგადოების მაღალი კულტურის მაჩვენებელია...

— ანტიკური კულტურა მართლაც უნივერსალურია. ქართველებს იმით უფრო უნდა მოგვწონდეს თავი, თუ სად ვიდექით ჩვენი არსებობის განმავლობაში. ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში ჩამოყალიბებულ საერთოქართველური ენის მქონე ეთნიკურმა ერთობამ დაამყარა კულტურული კავშირი მახლობელი აღმოსავლეთის არეალში მცხოვრებ ხალხებთან, რომლებიც მაშინდელი ცივილიზაციის სათავეში იდგნენ. შემდგომ პერიოდში მსოფლიო ცივილიზაციის ნიშანსვეტად ბერძნები იქცნენ. ანტიკურმა კულტურამ, რომელმაც შემოქმედებითად აითვისა მახლობელი აღმოსავლეთის კულტურული მემკვიდრეობა, წარმოქმნა მანამდე არარსებული კულტურა, რომლის ესთეტიკა, ადამიანურობის განცდა და დემოკრატიზმი, სრულიად ახალი ფორმა იყო კაცობრიობის ისტორიაში. მოდინახეს არქეოლოგიურმა გათხრებმა წარ-

საირხე, ვერცხლის დოქი მცენარეული ორნამენტით, ძვ.წ. IV საუკუნე

დიდი აღმოჩენა საირხეში

მოაჩინა ადრეანტიკური კულტურის უბრწყინვალესი ნიმუშები, რომლის ღირსება ჩვენთვის იმით უფროა საინტერესო, რომ მათში ადგილობრივი მოსახლეობის ინდივიდუალიზმია გამოხატული. არქეოლოგისთვის ნებისმიერი აღმოჩენა მნიშვნელოვანია, მაგრამ თითოეულს მაინც აქვს მონიშნული თავისი მოქმედების ასპარეზი, თავისი მოწოდების სფერო. ვფიქრობ, ჯურხასთვის ასეთი იყო ადრეანტიკური ელინისტური და გვიანანტიკური პერიოდი. ის, როგორც არქეოლოგი, ეძებდა ყველაფერს ამდაგვარს, რაც მიწის ქვეშ იყო დამარხული, მაგრამ თუ მეცნიერული სიხარული და გამართლება არსებობს, მისთვის ეს ქართულ მიწაში ბერძნული ცივილიზაციების არტეფაქტების გამოვლინება იყო. სხვათა შორის, ჯურხა იმითაც არის ცნობილი, რომ მუდამ უმართლებდა — კარგი ძეგლები არგუნა განგებამ გამოსაკვლევად. დიდი აღმოჩენები ჰქონდა და მის კოლეგებს მიაჩნდათ, რომ ამ მხრივ მას ფორტუნა სწყალობდა.

კარგად მახსოვს: ჩვენ ორნი დავდიოდით საირხეში — ენუქიძეების, კურტანიძეების, შუკაკიძეებისა და ნადირაძეების სიმინდის ყანებში და კერამიკის ჭურჭლის ნამტვრევებს ვეძებდით. ჯურხა გულდაგულ ჩამჩიჩინებდა: „შავლაქიანი კერამიკა“, „ბერძნული ჭურჭელი“... მე ვპოულობდი ათასგვარ ნამსხვრევს, მათ შორის ქოთნის ზოომორფულ სახელურებს, ვარდისფერსარჩულიან ნატეხებს, ყურმილიან ფრაგმენტებს, თუმცა არსად ჩანდა ის ნანატრი შავლაქიანი კერამიკა. მაგრამ ჯურხას არასდროს დასტყობია უიმედობა, სულ მიაჩნდა, რომ აქ, სადღაც, უნდა ყოფილიყო იმ ხალხის ნაკვალევი, ვინც განაგებდა ამ ზენა სოფელს, ვინც ფლობდა ძალაუფლებას, ვისაც ჰქონდა მოთხოვნილება დამტკბარიყო როგორც ბერძნული კერამიკის, ასევე აქემენიდური მინის ჭურჭლის სიმშვენიერით. გაუმართლა კიდეც. საირხემდე ამის ნიშნები მოდინახეზე გამოჩნდა პირველად. თავად ჯურხა ასე იგონებს ამ უძვირფასეს წუთს: „გათხრების სეზონი დასასრულს უახლოვდებოდა, მეოთხე თხრილს ვათვალიერებდი და შევნიშნე, მიწის ფერი შეცვლილიყო, რაც კულტურული ფენის არსებობას ადასტურებდა. აქ ადრე საირხელი გლეხი ილიკო გრძელიშვილი მუშაობდა. ახლაც მას ვთხოვე ორმოს ამოწმენდა, მე კი სხვა თხრილზე გადავინაცვლე. ნახევარი საათიც არ იქნებოდა

საირხე, ოქროს ფირფიტა, ძვ.წ. V საუკუნე

გასული, ილიკო ჯიქურ წამომადგა თავზე. მის გაფითრებულ ოფლიან სახეზე გაოცება და იდუმალება აღბეჭდილიყო. თხილის ბუჩქებისკენ გამიხმო, როდესაც დარწმუნდა, არავინ გვიყურებდა, ბარძაყის უკან ამოფარებული მარჯვენა ხელი მკერდთან მომიტანა და თითები გაშალა. მის დაკოჟრილ ხელისგულზე ძოწის თვლებით მოოჭვილი და გავარსით შემკული ბაჯაღლო ოქროს საყურე ბრწყინავდა“.

ამრიგად, მოდინახეზე აღმოჩნდა ბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული, ადრეფეოდალური ხანით დასრულებული მატერიალური კულტურის უძვირფასესი ნიმუშები, რომელთაგან ზოგიერთი ადამიანის აქ დასახლებას ხუთი ათასი წლის წინანდელ ეპოქაში უდებენ სათავეს. საგულისხმოა, რომ აქამდე ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ამ ხნოვანების ძეგლებში ლითონი არსად ისე უხვად არ ყოფილა მოპოვებული, როგორც საჩხერეში. ამან მეცნიერებს საშუალება მისცა, ყვირილის ზემო წელი მსოფლიოში მეტალურგიის ერთ-ერთ უძველეს კერად მიეჩნიათ.

მოდინახეს მასალებში ყურადღებას იქცევს საბრძოლო იარაღის მრავალფეროვნება. ეს არის ბრინჯაოს მახვილები, ორლესული სატევრები, მასრიანი შუბები, ფარის ნაწილები, ასევე კერამიკული ნაწარმი, საიუველირო ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშები: ბეჭდები, საყურეები, ქამრის ბალთები, დიადემები, გლიპტიკის (ფერადი და ძვირფასი ქვების კვეთის ხელოვნების) დახვეწილი ეგზემპლარები, ძვ.წ. V საუკუნის კოლხური თეთრი, იმპორტული ჭურჭელი, ქსოვილების მოსართავი კილიტები, მრავალფეროვანი მძივები, ვერცხლის თასები და დოქები. საყოფაცხოვრებო დანიშნულების ჭურჭელი და ბევრი სხვა ისეთი საგანი, რომელიც საჭირო ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მოდინახესა და საჩხერის არქეოლოგიურმა ძეგლებმა სავსებით ცხადად დაადასტურა, რომ ამ ადგილას, ოდნავ გვიანდელი — იბერიისა და კოლხეთის საზღვარზე, სულ ცოტა, ხუთი ათასი წელიწადია, ქართველი ხალხის წინაპრები ცხოვრობდნენ. აქვე უნდა ყოფილიყო ამ ქვეყნის გამგებელთა რეზიდენცია და ასევე, აქვე უნდა ყოფილიყო მათი ნეკროპოლი, რომელიც უფრო მდიდრული სახით იქნებოდა წარმოდგენილი.

— ძნელად გამოსაცნობი არ უნდა იყოს, რომ ასეთ ადგილად ჯურხა ნადირაძეს ალ-

მოდინახე, მახვილი, ახ. წ. IV საუკუნე

საირხე, კილიკი, ძვ.წ. V საუკუნე

საირხე, საბეჭდავი, ძვ.წ. V საუკუნე

ბათ საირხე მიაჩნდა, რომელიც მოდინახეს არქეოლოგიური ძეგლიდან ოთხიოდე კილომეტრზეა. ვფიქრობ, საირხის ტაძრის სვეტის ბაზისი და სხვადასხვა დროს მიკვლეული ძვირფასი ნივთები მას აქეთკენ ეწეოდა...

— გეთანხმებით, საირხე ჯურხასთვის პირველი სამიზნე იყო, მაგრამ მას არჩევანი არ ჰქონია. მოგეხსენებათ, გათხრებს დაფინანსება ესაჭიროება და პირველი ფულიც მოდინახესთვის მთავრობამ გაიღო. როგორც გითხარით, იქ პირველი არქეოლოგიური ძეგლი გზის მშენებლობისას აღმოჩნდა, მაშინდელი კანონმდებლობის (და ახლაც ასეა) მიხედვით, ნებისმიერი სახის მშენებლობისას ტერიტორია

საირხე, ზარი, ძვ.წ. V საუკუნე

საირხე, დიადემის ფრაგმენტი, ძვ.წ. V საუკუნე

არქეოლოგიურად (თუკი იქ ამის რამე ნიშანი არსებობს) უნდა შეისწავლონ. ამიტომ დაგვიანდა საირხის ფართომასშტაბიანი შესწავლა. თუმცა იქ არქეოლოგიური დაზვერვითი სამუშაოების შედეგად „ლომინაურზე“, სადაც ტაძრის სვეტის კვარცხლბეკი იპოვეს თავდაპირველად, აღმოჩნდა სხვადასხვა სახის მასალა, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ფალიკურ კულტთან დაკავშირებული საგნები, რომელთა ერთობლიობა ძვ.წ. VI-I საუკუნეებით დათარიღდა.

1966 წელს მართალია შეიქმნა ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია, მაგრამ მცირე დაფინანსების გამო ისევ და ისევ ფრაგმენტული ძიება მიმდინარეობდა. ორი წლის შემდეგ კი ჯურხამ, რომელიც მაშინ ხელოვნების მუზეუმის წინაფეოდალურ ხანის არქეოლოგიურ განყოფილებას ხელმძღვანელობდა, მოახერხა ექსპედიციისთვის საჭირო სახსრების მოძიება და საირხეში, „საბადურის“ გორაზე გათხრები დაიწყო.

ეს უცნაური სახელი „საბადური“ აქაურმა ენუქიძეებმა შეარქვეს გორას, რადგან იქ ხშირად პოულობდნენ ოქროს ნივთებსა და სპილენძის ჭურჭელს. ერთი ასეთი მპოვნელი, მოხუცი ნინა ქველაძე ჯურხას გორაზე აუყვანია და უთხოვია იმ ადგილის ჩვენება, სადაც ქალბატონ ნინას ნახევარგირვანქიანი ოქროს ბრასლეტი უპოვია და „ტორგსინში“ ჩაუბარებია ფართლის საყიდელი ფულისთვის. იქვე უთქვამს მოხუცს, — სპილენძის ქვაბებიც ვიპოვეთ, რომელთაგან ერთი ბუხრის ყელს ჩამოვაცვით ქარისგან დასაცავად. ბუნებრივია, გასათხრელი ადგილის ძებნა მეტად აღარ გაუგრძელებიათ...

თავდაპირველად, მიწის ზედა ფენებში გამოიკვეთა სხვადასხვა ხასიათის ნაგებობათა ნაშთები, ხოლო მოგვიანებით, 5-6 მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა საკულტო მოედანი, ორმო და მდიდრული აკლდამები. ეს იყო ნახევარმეტრიანი რკინის მძლავრი ლურსმნებით დაჭედილი ძელებით შეკრული აკლდამები, რომლებსაც ორმეტრიანი ქვაყრილი ფარავდა. ერთ-ერთ სამარხში, რომლის საერთო ფართობი 20 კვადრატულ მეტრს უდრიდა, დაკრძალული იყო ხუთი ქალი, ერთი მამაკაცი და ხუთი ცხენი. სამარხის გაწმენდისას თანდათანობით ჩნდებოდა ადგილობრივი და შემოტანილი კერამიკა, ჯავშნის ნაწილები, ძველბერძნული ლეკითოსის (ზეითუნის ზეთის ჭურჭლის) ფრაგმენტები, პალმეტით (მცენარეული ორნამენტით) შემკული შავლაქიანი ანტიკური ჯამი და უბრწყინვალესი ხელოვნებით შესრულებული საიუველირო ნაწარმი, ვერცხლის დიადემა, ოქროს საყურეები, სამაჯურები, ვერძისთავიანი ყელსაბამი, მინიქანდაკებები, იმპორტული ჭურჭელი. შეწირულ ცხენებს ბრინჯაოს ლაგამთან ერთად ასხმული ჰქონდათ ტახის ეშვის ფორმის ოქროს სამშვენისები, ოქროს საყბეური და ბრინჯაოს ეჟვანი. აკლდამაში დამარხულ მიცვალებულთა შორის აშკარად შეიმჩნეოდა ქონებრივი დიფერენციაცია, რაც ცხენების მორთულობაშიც ჩანდა, მანიშნებელი იმისა, რომ დიდებულები აქ განისვე-

ნებდნენ თავიანთ მონა-მხევლებთან ერთად.

საბადურის გორაზე გაითხარა ორ ათეულზე მეტი სამარხი და აქ აღმოჩენილი არტეფაქტები უცილობლად ადასტურებენ, რომ საქმე გვაქვს ძველი კოლხეთის საზოგადოების მაღალი წრის წარმომადგენლებთან. ეს კომპლექსები მნიშვნელოვნად ამდიდრებს და აფართოებს ჩვენს წარმოდგენას ანტიკური ხანის ქართულ კულტურაზე.

— იქნებ მოკლედ წარმოგედგინათ საირხეში აღმოჩენილი ნივთიერი მასალა...

— დავიწყებ ვერცხლის დიადემებით, რომლებიც საქართველოში აღმოჩენილ მსგავს სამკაულთაგანაც კი განირჩევიან თავიანთი ფორმით, ხოლო უცხოურ მასალაში მათ ანალოგი არ მოეპოვებათ. გამორჩეულია სხვადასხვა ტიპის ოქროსა და ვერცხლის საყურეები, რომლებიც ადრეანტიკური ხანის ქართული ოქრომჭედლობის შედევრებს განეკუთვნებიან და ეჭვმიუტანლად ადასტურებენ მათ ორიგინალობას. ამავე ნიშნების მატარებელია ვერძის თავით შემკული ოქროს ყელსაბამი, ტანსაცმელზე დასაკერებელი ფრინველისა და ყვავილების გამოსახულებიანი ფირფიტები, უნატიფესი ოქროს ბეჭდები, ოქროს მედალიონები შემკული სხვადასხვა სიუჟეტით, მასიური ოქროს სამაჯურები, რომელთა დაბოლოებებს ვერძის გამოსახულებიანი თავები ამკობენ, მონეტები, საბეჭდავები, ცხენის შესანიშნავი აღკაზმულობა, რომელთა ერთი ნაწილი ფირფიტებით იყო გაწყობილი, ოქროს მძივები და კიდევ მრავალი სხვა. გარდა ორიგინალური მასალისა, საირხეში აღმოჩნდა ბერძნულ-ირანული კულტურისთვის

საირხე, ყელსაბამის დეტალი, ძვ.წ. V საუკუნე

დამახასიათებელი ხელოვნების ნიმუშები, რაც ქართული კულტურის აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციებთან მჭიდრო ურთიერთობას ააშკარავებს. კოლხური საიუველირო ხელოვნების ავტონომიურობის კიდევ ერთ დადასტურებას წარმოადგენს საბადურის სამარხებში ნაპოვნი ოთხკუთხედგანივკვეთიანი ოქროს ზოდი, რომელიც გადაჭრილია და გამზადებულია დასამუშავებლად. ჯურხას სიტყვებით რომ მოგახსენოთ, „ვანის შემდეგ, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსად ასე უხვად, მრავალფეროვნად და მხატვრულად არ გამომზეურებულა ქართული ოქრომჭედლობის სიძლიერე, როგორც საირხეში“.

სალომე ზოზიტაშვილი

საირხე, ყელსაბამი, ძვ.წ. V საუკუნე

კლანის 40-ათასიანი დემონსტრაცია ვაშინგტონში. 1925 წ.

კუ-კლუქს-კლანის მეორედ მოსვლა

„უხილავი იმპერიის“ აღმასვლა და დაცემა XX საუკუნეში

ბევრს კუ-კლუქს-კლანი მხოლოდ ზანგების დასწიოკებლად და დასაშინებლად შექმნილი ორგანიზაცია ჰგონია და ნაწილობრივ ასეც არის, მაგრამ ეს მედალის მხოლოდ ერთი მხარეა. კლანი გაცილებით უფრო მრავალფეროვანი და რთული მოვლენა იყო. კუ-კლუქს-კლანი, როგორც ორგანიზაცია, 1866 წელს ჩამოაყალიბეს კონფედერაციის არმიის ვეტერანებმა. საინტერესოა, რომ დასაწყისში იგი შეიქმნა როგორც იუმორისტული სოციალური კლუბი და შექმნილ ვითარებაზე იუმორითა და ბუნდოვანი რიტუალებით რეაგირებდა, თუმცა სულ მალე დაუნდობელი ტერორის სიმბოლოდ იქცა და მიზნად დაისახა ზანგების დაშინება, დასჯა და მათი ჩამოცილება ყოველგვარი პოლიტიკური აქტიურობისგან. ორგანიზაციის დასახელება, კუ-კლუქს-კლანი, წარმოდგება ბერძნული სიტყვის „კუკლოსისა“ (რაც წრეს ნიშნავს) და ინგლისური (უფრო სწორად, შოტლანდიურ-ირლანდიური) „კლანის“ ერთიანობისგან.

სამოქალაქო ომში დამარცხებულმა სამხრეთელებმა კლანის მეშვეობით მინიმუმამდე დაიყვანეს ხმების მიცემა რესპუბლიკური პარტიისთვის. კლანელებმა ათასობით ზანგი გამოასალმეს სიცოცხლეს, მარტო ფლორიდაში 150 ზანგი მოკლეს. მაგრამ 1870 წლისთვის კლანის გავლენა შესუსტდა, ხოლო 1871 წელს, პრეზიდენტ გრანტის უდიდესი ძალისხმევის შედეგად მიღებული 1871 წლის სამოქალაქო უფლებების კანონის მეშვეობით (რომელიც ასევე ცნობილია, როგორც კუ-კლუქს-კლანის კანონი), კლანი საერთოდ განადგურდა. ამ კანონის თანახმად, კლანის წინააღმდეგ შტატის მილიცია კი აღარ იბრძოდა, რომელიც უეფექტო იყო და ზოგჯერ თანაუგრძნობდა კიდეც საკუთარი შტატის მკვიდრთ, არამედ ფედერალური ჯარი. კლანის წევრებს კი არა ადგილობრივი, არამედ ფედერალური სასამართლოები ასამართლებდნენ, სადაც ნაფიცი მსაჯულები ძირითადად ზანგები იყვნენ.

კლანის აღორძინება, უფრო სწორად კი მისი მეორედ შექმნა, 1915 წელს მოხდა ჯორჯიის შტატში უილიამ ჯოზეფ სიმონსის ინიციატი-

ვით. რაოდენ საკვირველიც უნდა ჩანდეს, კლანის აღორძინებას ხელი შეუწყო გამოჩენილი ამერიკელი კინორეჟისორის, დევიდ გრიფიტსის ფილმმა „ერის დაბადება“, რომელიც დღესაც ერთ-ერთ საუკეთესო და ნოვატორულ ამერიკულ ფილმად მიიჩნევა. ფილმი დაიდგა თომას დიკსონის რომან „კლანსმენის“ საფუძველზე, რომელშიც აღწერილი იყო ე.წ. ძველი სამხრეთის შელამაზებული ცხოვრება სამოქალაქო ომისა და რეკონსტრუქციის პერიოდში. ამერიკული კინემატოგრაფის ამ შედევრში კლანი კეთილშობილ და რაინდული სულისკვეთების ძალად იყო დახატული. ფილმმა გასაოცარი აჟიოტაჟი გამოიწვია და აშკარად ნოყიერ ნიადაგზე მოხვდა. ლოს-ანჟელესში გამართულ პრემიერაზე რეკლამის მიზნით, კლანის ბალახონებში ჩაცმული მსახიობები დაჯირითობდნენ კინოდარბაზის წინ, მაგრამ ატლანტის კინოთეატრების წინ უკვე ნამდვილი კლანსმენები ჯირითობდნენ, ხოლო ზოგიერთი ეგზალტირებული მაყურებელი ეკრანს რევოლვერიდანაც კი ესროდა. ფილმი თვით პრეზიდენტმა ვილსონმაც შეაქო. როგორც ისტორიკოსმა, მან დადებითად შეაფასა მისი ისტორიული დამაჯერებლობა, მით უმეტეს, რომ თვითონაც სამხრეთიდან იყო და მისი წინაპრები სამხრეთელთა ჯარში იბრძოდნენ. პრეზიდენტს არც უფიქრია რასიზმის ქება-დიდება, მაგრამ პრეზიდენტის სიტყვები ყველამ თავისებურად გაიგო და გამოიყენა.

ბუნებრივია, ერთი ფილმი, როგორი გენიალურიც უნდა ყოფილიყო, ვერ გამოიწვევდა ამ ემოციებს, მაგრამ რასიზმის ტრადიცია ჯერ კიდევ მეტად ძლიერი იყო და ბევრს ზანგების ცხოვრების ოდნავი გაუმჯობესებაც კი აღიზიანებდა. ქვეყანაში იზრდებოდა მტრული განწყობილება ახალი ემიგრანტების მიმართაც. კლანის იდეის გარშემო მრავალი თეთრი პროტესტანტი გაერთიანდა, რომელთაც თეთრკანიანი ადამიანის, ე.წ. ასპროცენტიანი ამერიკელის ბატონობის იდეა იზიდავდათ.

ახალ კლანს, გარდა ანტიზანგურისა, ჰქონდა ანტიებრაული, ანტიკათოლიკური, ანტიკომუნისტური და ანტიემიგრანტული განწყობა.

ყველაფერი ცუდი ამერიკაში შავებისა და ებრაელი ბანკირების ბრალიაო, გაიძახოდნენ კლანსმენები. საინტერესოა, რომ რადიკალური კონსერვატიზმის საფუძველზე რეორგანიზებული კლანი არა მარტო სამხრეთის შტატებში, ე.წ. ბიბლიურ ზოლში, არამედ შუა და-

ამერიკელი კინორეჟისორი დევიდ გრიფიტსი

კადრი ფილმიდან „ერის დაბადება“

უილიამ ჯოზეფ სიმონსი

„კარგი მოქალაქე“. კონგრეგაცია „ეკლესიის ცეცხლის სვეტის“ მიერ 1926 წელს გამოქვეყნებული პოსტერი

კუ-კლუქს-კლანი დღესაც არსებობს

სავლეთში, ჩრდილოეთ შტატებსა და კანადაშიც კი გაიფურჩქნა. ზოგიერთ შტატში თეთრი მამაკაცების 20%, ზოგან 40%-ც კი კლანის წევრები იყვნენ. კლანმა მორალის დამცველობაც დაიჩემა და მის იდეოლოგიას რასობრივი, რელიგიური და ეროვნული ფაქტორების გარდა, ე.წ. მორალური ცენზორის იდეაც დაემატა. კლანის წევრები თავის უბანსა თუ სამეზობლოში თვალყურს ადევნებდნენ მეზობლების მორალურ სახეს, განიხილავდნენ ამას თავიანთ შეკრებებზე და დამნაშავის დასჯის მეთოდებსაც ერთად შეიმუშავებდნენ. ჯერ გაჰკიცხავდნენ „ცოდვილს“, თუ ეს არ კმაროდა, პოლიციასაც ატყობინებდნენ. თუ ესეც არ ჭრიდა, მაშინ უფრო მკაცრ ზომას — ოსტრაკიზმს (საზოგადოებისგან მოკვეთას, განდევნას) მიმართავდნენ. ზოგჯერ კიდევ უფრო რადიკალურად მოქმედებდნენ. მაგალითად, ბირმინჰემში საროსკიპოები დაარბიეს. ალაბამის შტატის ქალაქ ტროაში კლანსმენებმა მშობლებს შეატყობინეს მანქანებში მათი შვილების უმსგავსო ქმედების შესახებ. ერთგან კლანსმენებმა განათხოვარი ქალი ხეს მიაბეს, გააშიშვლეს და საჯაროდ გაწკეპლეს.

როგორც ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსები დევიდ კენედი და თომას ბეილი აღნიშნავდნენ, კლანი უფრო „ანტიუცხოელთა, ანტიკათოლიკეთა, ანტიებრაელთა, ანტიფაციპისტთა, ანტიკომუნისტთა, ანტიინტერნაციონალისტთა, ანტიევოლუციონისტთა, ანტიბუტლეგერთა, ანტიაზარტულ თამაშთა, ანტიშობადობის კონტროლისა და ანტიადიულტერის მოძრაობას წარმოადგენდა“.

კლანის გავლენა ოციან წლებში იმდენად გაიზარდა, რომ მას „უხილავ იმპერიასაც“ უწოდებდნენ. ის ძირითადად პატარა ქალაქებისა და დაბების ფენომენი იყო, სადაც ნაკლებად შეაღწია ინდუსტრიალიზაციამ, ემიგრაციამ და ლიბერალურმა მსოფლმხედველობამ. თუმცა ოციან წლებში კლანი დიდ ქალაქებშიც საკმაოდ პოპულარული გახდა. ბევრისთვის წევრობა მოსაწყენი ყოველდღიურობიდან უჩვეულო, რომანტიკული და ეგზოტიკური რიტუალებით აღსავსე ცხოვრებაში შესვლას ნიშნავდა. დღისით იგი ჩვეულებრივი კლერკი იყო, ხოლო ღამით — რომანტიკულ, ერთიან საძმოში გაერთიანებულ რაინდად წარმოიდგენდა თავს. ტანსაცმელიც თავისებურად მისტერიული ეცვათ. კლანსმენთა აღლუმებიც, ჩირაღდნებითა და ჯვრებით, დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა პატარა ქალაქების მოსახლეობაზე.

კლანის ერთ-ერთ შეკრებაზე

კლანის წევრობის აუცილებელი პირობები იყო: ადრეული, 1866 წელს შექმნილი, კლანის პატივისცემა და ხსოვნა; თეთრი რასის უპირატესობის იდეის აღიარება; ანტისემიტიზმი; უარყოფითი დამოკიდებულება ახალჩამოსულებისადმი; ანტიკათოლიციზმი; ე.წ. წმინდა ამერიკელობა, პროტესტანტიზმი, ზნეობრიობა.

კლანის უხილავ იმპერიას უფროსობდა „დიდი მაგი". იმპერიაში იყო სამეფოებიც, რომელთაც „დიდი დრაკონები" მართავდნენ, პროვინციებს კი „დიდი ციკლოპები" ხელმძღვანელობდნენ, ციკლოპების მოადგილეებს „საშინელებებს" უწოდებენ და ა.შ.

კლანის „დიდი მაგი" ევანსი ჟურნალ „ნორთ ამერიკენ რევიუსთვის" მიცემულ ინტერვიუში ამბობდა: „მომავალი და ცივილიზაცია დამოკიდებულია თეთრი რასის უპირატესობაზე. სხვა რასებსაც ჰქონდათ თავიანთი შანსი, მაგრამ ისინი დამარცხდნენ". ევანსის აზრით, „ზანგებს არ ძალუძთ ანგლოსაქსონური დონის მიღწევა... უღირსი წინაპრების დაბალი გონებრივი განვითარება, ჯუნგლებიდან გამოსულ ფერადკანიან ამერიკელთა სისხლი არავითარ ახალ გარემოს არ შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს. ეს ძველი, შთამომავლობითი ჩამორჩენაა".

ებრაელებისადმი ევანსს სხვა პრეტენზია ჰქონდა. ამბობდა, რომ „მათი რასობრივი კარჩაკეტილობა და მხოლოდ თავისიანებზე ქორწინება შეუძლებელს ხდის მათ სრულ ასიმილაციას სხვა საზოგადოებაში. ათას წელიწადსაც რომ იცხოვრონ ერთ ადგილას, ადგილობრივ საზოგადოებაში ვერ ჩაეწერებიან, სხვა ემიგრანტი კი ამას ერთ წელიწადში შეძლებს. ებრაელი არასოდეს უკავშირებს თავს იმ მიწას, სადაც ცხოვრობს. მათ არ შეუძლიათ დიდხანს იყვნენ თავისუფალი ამერიკის გარემოში".

კათოლიკეებზე ამბობდა, რომ „მათთან ასიმილაცია უდიდეს საშიშროებას წარმოადგენს ამერიკის სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის, ვინაიდან ისინი რომის პაპს უფრო ექვემდებარებიან, ვიდრე ამერიკის მთავრობას. მათ სურთ, ბავშვებმა ისწავლონ არა საზოგადოებრივ სკოლებში, არამედ იმ ეკლესიის კონტროლქვეშ გაიზარდონ, რომელიც ამერიკაშიც კი არ არის დაფუძნებული. კათოლიციზმისადმი ნამდვილი პრეტენზია რელიგიაში კი არ გამოიხატება, არამედ იმაში, რომ კათოლიკური ეკლესია პოლიტიკაშია ჩართული, კარგად ორგანიზებულია, დისციპლინირებული და ძლევამოსილი მეტოქეა ყოველი პოლიტიკური მთავრობისთვის".

უცხოეთში დაბადებულებისადმი ის პრეტენზია ჰქონდათ, რომ მათ არ შეეძლოთ ბოლომდე აღექვათ ამერიკის შეერთებული შტატების დამფუძნებელ მამათა იდეები და შესა-

ბამისად, არ უნდა მისცემოდათ ამერიკელთა ყოფის შეცვლის საშუალება. შესაბამისად, კლანი აქტიურად უჭერდა მხარს ანტიემიგრანტულ კანონებს. მას არც ქალთა თანასწორობა ეხატებოდა გულზე.

1920-იან წლებში კლანის პოლიტიკური გავლენა ძალიან გაიზარდა, თუმცა კლანსმენები თავს რომელიმე პარტიასთან არ აიგივებდნენ. როგორც ერთ-ერთი კენტუკელი წევრი აცხადებდა, „კლანი არ არის პოლიტიკური პარტია. ჩვენ გვჯერა, რომ კლანის გაიგივება რომელიმე პარტიასთან დამღუპველი იქნებოდა ჩვენი ორგანიზაციისთვის და ჩვენი ჯვაროსნული ლაშქრობისთვის. მიუხედავად ამისა, კლანი ძალიან აქტიურია პოლიტიკურად და ყოველი კლანსმენი პოლიტიკოსია ამ სიტყვის უმაღლესი გაგებით“. თავისი სოციალურ-ეკონომიკური ხედვით, კლანი საკმაოდ ახლოს იყო რესპუბლიკელთა კონსერვატიზმთან, ამავე დროს, რასიზმი ზანგებისადმი მას სამხრეთის შტატების დემოკრატებთან, ე.წ. დიქსიკრატებთანაც აკავშირებდა და ოციან წლებში უხილავი იმპერია საკმაოდ დიდ გავლენას ახდენდა ეროვნულ პოლიტიკაზე.

თუმცა კონკრეტული ქმედებები უფრო ადგილობრივ დონეზე ჩანდა.

ფაქტობრივად, კლანმა რამდენიმე სენატორი და გუბერნატორი აირჩია. თავის მომხრეთა მეშვეობით კლანი აკონტროლებდა ტენესის, ოკლაჰომას, ინდიანასა და ორეგონის მთავრობებს. ინდიანაში კლანსმენი, რესპუბლიკური პარტიის წევრი ედვარდ ჯეკსონი გუბერნატორად აირჩიეს. ტრადიციულად რესპუბლიკურ ორეგონში შტატის გუბერნატორად კლანსმენი დემოკრატი უ. პირსი აირჩიეს. 1923 წელს კლანსმენებმა ოკლაჰომის გუბერნატორის დ. უოლტონის იმპიჩმენტს მიაღწიეს.

კლანის ერთ-ერთი მთავარი ლოზუნგი „ამერიკა ამერიკელთათვის“, ინტერპრეტაციის ფართო საშუალებას იძლეოდა.

1920-იანი წლების შუახანისთვის, როცა კლანის პოპულარობამ მწვერვალს მიაღწია, წევრების რიცხვი 5 მილიონს აღემატებოდა.

1925 წლის 8 აგვისტოს კლანის 40-ათასიანმა დემონსტრაციამ ვაშინგტონში განსაკუთრებული, ზოგადეროვნული ყურადღება მიიპყრო. ეს არ ყოფილა კლანის იდეოლოგიისა და ძალის დემონსტრაცია სამხრეთის ან შუა დასავლეთის რომელიმე პროვინციულ დაბასა თუ ქალაქში. ამჯერად კლანი ქვეყნის დედაქალაქში, მთელ ამერიკას და შეიძლება ითქვას, მთელ მსოფლიოს აუწყებდა თავის სიძულვილსა და უპირატესობის გრძნობას შავკანიანების, ებრაელების, კათოლიკეებისა და ემიგრანტებისადმი. ეს უკვე სერიოზული და პირქუში გამოწვევა იყო. ვაშინგტონის კანონმდებლობით იკრძალებოდა ნიღბების ტარება დედაქალაქში გამართულ ცერემონიალებზე და კლანსმენებს არ მიეცათ საშუალება, ტრადიციული ნიღბებით დაეფარათ თავიანთი სახეები, თუმცა სხვა მხრივ ფორმა — თეთრჯვრიანი მოსასხამები და თეთრივე მაღალი ქუდები ძალაში დარჩა, მით უმეტეს,

კუ-კლუქს-კლანელთა რიტუალი

კლანსმენები ვინაობას სულაც არ მალავდნენ.

ასეთ გამოწვევაზე კელვინ კულიჯის მსგავს ინდიფერენტულ პრეზიდენტსაც კი უნდა მოეხდინა რეაგირება. ამერიკული ლეგიონის (აშშ-ის ომის ვეტერანთა ორგანიზაცია) წინაშე გამოსვლისას მან მკაცრად გააკრიტიკა რასიზმი და განაცხადა, რომ ღმერთს არც ერთი რასისთვის არ მიუნიჭებია მონოპოლია პატრიოტიზმზე. „ზოგი თავის ამერიკელობას სამი საუკუნის წინ „მეიფლაუერით“ იწყებს, ზოგიც სამი წლის წინ, მაგრამ დღეს ყველა ერთ ნავში ვართ“. ეს ფრაზა თითქოს სავსებით ბუნებრივად ჟღერდა ამერიკის პრეზიდენტისგან, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ სწორედ კულიჯის წინამორბედის, უორენ ჰარდინგისა და კულიჯის მმართველობის პერიოდში მიიღეს უმკაცრესი და გარკვეულწილად, რასისტული ანტიემიგრაციული კანონები, განსაკუთრებით აზიური წარმოშობის ემიგრანტებისადმი. თან არც ჰარდინგი და არც კულიჯი არ გამოირჩეოდნენ კლანისადმი განსაკუთრებულად უარყოფითი დამოკიდებულებით, შეიძლება ითქვას, არავითარი როლი არ უთამაშიათ მისი გავლენის შესამცირებლად. ეს დრომ და თვით კლანსმენების ქმედებამ მოიტანა.

კლანის პოპულარობის დაცემა მნიშვნელოვანწილად „დიდი დრაკონის“, დევიდ სტეფენსონის სკანდალთან იყო დაკავშირებული. იგი მილიონერი გახლდათ, უყვარდა დროს ტარება და ლამაზ ქალთა საზოგადოება. მაგრამ 1925 წლის 15 მარტს ამ ლამაზმანთა მოტრფიალემ ერთი გარეგნობით არცთუ გამორჩეული, შინაბერა ქალბატონი მეჯ ობერჰოლცერი გააუპატიურა. გაოგნებულმა ქალმა თავი მოიწამლა. როგორც ამბობენ, შეშინებული „დრაკონი“ მას ფულსა და ქმრობასაც ჰპირდებოდა, მაგრამ უარი მიიღო. ობერჰოლცერის დატოვებული ჩანაწერის თანახმად, გაუპატიურების შემდეგ სტეფენსონმა ის გასართობად გუბერნატორს მიუგდო. სასამართლომ სტეფენსონს მეორე ხარისხის მკვლელობაში დასდო ბრალი და მიუხედავად მისი დიდი გავლენისა, სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

სკანდალმა უდიდესი გავლენა მოახდინა კლანელებსა და მთელ ამერიკაზე. ზოგიერთი მკვლევარი იმასაც ამბობდა, რომ ამ მოვლენამ საერთოდ მოსპო კლანი. საზოგადოების აღშფოთება იმან გამოიწვია, რომ კლანი მხოლოდ რასიზმს კი არ ქადაგებდა, არამედ მაღალი მორალურ-ეთიკური ნორმების დამცველადაც აცხადებდა თავს და ბევრი ამერიკელი

„დიდი დრაკონი“ დევიდ სტეფენსონი

სწორედ ამიტომაც ემხრობოდა. შინაბერა ქალის შეცდენა, მოტყუება და ღირსებააყრილი თეთრი ქალის სიკვდილი უკვე მეტისმეტი იყო პურიტანი ამერიკელებისთვის. ამ შემაძრწუნებელ ამბავს კლანის სხვა, ცნობილი ლიდერების ფინანსური სკანდალებიც მოჰყვა, რომელთა გამოძიებაც საბოლოოდ კონგრესმაც დაიწყო. ამერიკელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სულ უფრო უარყოფითად ეკიდებოდა კლანის კაცთმოძულე იდეოლოგიას და მის, ხშირ შემთხვევაში, კრიმინალურ მეთოდებს. ალბათ კეთილდღეობამაც ბევრს დაავიწყა პრობლემები და კლანის მხარდაჭერაც ნაკლებად სჭირდებოდათ. 1930 წლისათვის კლანი სულ რაღაც 30 ათას წევრს ითვლიდა...

კუ-კლუქს-კლანი დღესაც არსებობს, მაგრამ მის გავლენას აღარასოდეს მიუღწევია 1920-იანი წლების დონემდე. ამაში დიდი როლი ითამაშა მეორე მსოფლიო ომმა. საერთო მტრის წინაშე ამერიკელები გაერთიანდნენ და ასეთი კაცთმოძულე იდეოლოგიის ორგანიზაცია მასობრივი ვეღარ იქნებოდა, მით უმეტეს, კლანის რასისტული იდეოლოგია ძალიან წაგავდა ნაცისტების მსოფლმხედველობას და ალბათ ცოტა ვინმეს თუ უნდოდა მასთან საკუთარი თავის გაიგივება.

2000 წლისთვის კუ-კლუქს-კლანის სახელით მოქმედი სხვადასხვა ორგანიზაცია სულ 3 ათას წევრს ითვლიდა, მაგრამ, როგორც ცნობილია, რასიზმიცა და ნაციონალიზმიც მეტად სახიფათო ცნებებია და როდის და რა ფორმით გამოვლინდება, ძნელი სათქმელია. ამას XXI საუკუნეში განვითარებული მოვლენებიც კარგად ადასტურებს.

ვასილ კაჭარავა

სიძულვილი ამერიკულად

საუკუნის რინგის მტრები

მუჰამედ ალი – ჯო ფრეზერი

მსოფლიო სპორტის ისტორიაში ყოფილან ისეთი მონუმენტური მასშტაბის სპორტსმენები, რომელთა პირადი დაპირისპირება სპორტის ამა თუ იმ სახეობაში კლასიკური ბრძოლის მაგალითად ქცეულა. ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითად ორი უდიდესი მძიმეწონიანი მოკრივის რინგსა და რინგს მიღმა მტრობის მოყვანა შეიძლება, რომელთა გზები 1970-იან წლებში გადაიკვეთა.
ლეგენდარული მუჰამედ ალისა და ჯო ფრეზერის დაპირისპირებაზე გიამბობთ.

მედალი და კანის ფერი

1960 წელს რომის ოლიმპიურ თამაშებზე ახალგაზრდა ნიჭიერმა მოკრივემ კასიუს მარსელიუს კლეი-უმცროსმა ნახევრად მძიმე წონაში ოქროს მედალი მოიპოვა. კლეი ისე შთამბეჭდავად იბრძოდა და იმდენად ქარიზმატული იყო, რომ მასმედიამ უმალ კერპად აქცია.

და აი, მორიგ პრესკონფერენციაზე საბჭოთა ჟურნალისტმა, რომლისთვისაც სპორტიცა და ოლიმპიადაც, როგორც ყველა საბჭოელისთვის, დასავლურ სამყაროსთან იდეოლოგიური ომის „ფრონტის ხაზიც“ იყო, ფერადკანიან მოკრივეს ასეთი შეკითხვა დაუსვა:

„ამხანაგო კლეი, თქვენ, ვინც ასე ასახელეთ საკუთარი სამშობლო, რას იტყვით იმაზე, რომ კანის ფერის გამო არ შეგიძლიათ ამერიკის ზოგიერთ რესტორანში შესვლა?..“

აქვე ვთქვათ, 1960-იანი წლები ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში გარდამტეხი იყო. ეს იყო სისხლით შეღებილი მძიმე პერიოდი, მაგრამ მაინც სამუდამოდ გამყოფი „მონური“ წარსულისგან. ქვეყნის სამხრეთში ჯერ კიდევ მოქმედებდა „ჯიმ კროუს კანონები“, რომლებიც რასობრივ სეგრეგაციას (ფერადკანიანთა იძულებითი გამოყოფა თეთრკანიანებისგან) უშვებდა: რესტორნები, კინოთეატრები, სკოლები, ადგილები საზოგადოებრივ ტრანსპორტში გამიჯნული იყო მხოლოდ

შექმენი შენი არსენალი „არსენალთან" ერთად

ოთ ეკიპაჟში ერთხელ, შეიძინეთ ჟურნალთან ერთად საბრძოლო ტექნიკის თითო ასანყობი მოდელი

ააწყვე და შეაგროვე საბრძოლო ტექნიკის მოდელების კოლექცია საკუთარი ხელით მაკრატლისა და წებოს გარეშე.

თითოეული 3D მოდელის ფასი: 3,5 ლარი
ჟურნალთან ერთად 5 ლარი.

მალე!



„ისლამის ერის“ გავლენის ქვეშ მოქცეულმა კასიუს მარსელიუს კლეი-უმცროსმა ისლამი მიიღო და მუჰამედ ალი დაირქვა

თეთრებისა და მხოლოდ შავებისთვის. რასისტული წესის დამრღვევი შავკანიანი შეიძლებოდა ადგილზევე, სახალხოდ, ლინჩის წესით გაესამართლებინათ...

საბჭოთა ჟურნალისტის კითხვის ქვეტექსტი გასაგები იყო, თუმცა აღმოჩნდა, რომ კასიუს მარსელიუს კლეი-უფროსს თავისი ვაჟი კუნთმაგარ, მაგრამ უტვინო მოჩხუბრად არ გაუზრდია. ამერიკელმა მოკრივემ შეკითხვას ღირსეულად უპასუხა.

„ჩვენთან, შტატებში, მრავლადაა რესტორანი, სადაც შემიძლია შევიდე, — უპასუხა კასიუსმა, — ასეთი კი გაცილებით მეტია, ვიდრე ისეთი, სადაც ეს მეკრძალება. ამ პრობლემაზე ჭკვიანი ადამიანები მუშაობენ, რომლებიც ჩვენთან ასევე მრავლად არიან... გაიგე ეს და კარგად დაიმახსოვრე, რუსო პროვოკატორო!“

ამ ამბიდან კარგა ხნის შემდეგ, მშობლიურ ქალაქ ლუისვილში ყოფნისას, კასიუსი ერთ-ერთ ბარს მიადგა, რომელსაც კარზე წარწერა ჰქონდა: „მხოლოდ თეთრებისთვის“. ოლიმპიური ჩემპიონი ბარში არ შეუშვეს.

— მაგრამ მე ხომ კასიუს კლეი ვარ?! — შესძახა მოკრივემ და თან რომში მოპოვებული ოქროს მედალი გამოაჩინა, რომელსაც ყელზე ჩამოკიდებულს მუდამ თან ატარებდა. ბარის მეპატრონემ ამრეზით მიუგო: — ფეხზე მკიდია შენი მედალი, ზანგებს არ ვემსახურები, მოუსვი აქედან!

ამბობენ, კასიუსის პატრიოტული იდეალები საბოლოოდ სწორედ მაშინ, გამოდევნებულ ბაიკერთა ბანდასთან საქმის გარჩევამ დაამსხვრია, რომლებიც ბარიდან გაბრუნებულ მოკრივეს მდინარე ოჰაიოს ხიდზე დაეწივნენ და „სამხრეთული პურისჭამის წესების“ გაკვეთილის ჩატარება დაუპირეს. რა გასაკვირია, რომ მოკრივის მუშტებმა „ჭკუის მასწავლებელთა“ შეხედულებები რასობრივ უპირატესობაზე გვარიანად „გააცამტვერა“, მაგრამ კლეიმ, მწარე სიმართლით შეძრწუნებულმა, ოლიმპიური ოქრო მკერდიდან მოიგლიჯა და მდინარეში გადაუძახა.

იმ დღიდან ახალგაზრდა კასიუს კლეი სრულებით შეიცვალა. ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პატრიოტი რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაერთო, თუმცა ამისთვის ის არა მარტინ ლუთერ კინგის პაციფისტურ გზას გაჰყვა, არამედ რადიკალურად განწყობილი მალკოლმ იქსის, ილაიჯა მუჰამედისა და მათი „ისლამის ერის“ გავლენის ქვეშ მოექცა. კლეიმ ისლამი მიიღო და შეიცვალა სახელი — მუჰამედ ალი დაირქვა. ამის შესახებ მოკრივემ სამყაროს პროფესიულ რინგზე მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში სანი ლისტონის ნოკაუტით დამარცხების შემდეგ ამცნო.

ამერიკულმა საზოგადოებამ სახელის, შეხედულებისა და რწმენის შეცვლა მოკრივეს არ მოუწონა. მით უმეტეს, ექსტრემისტული იდეოლოგია „ისლამის ერი“ სხვა არაფერი იყო, თუ არა „რასიზმი რასიზმის წილ“.

ვიეტნამის ომი — სხვისი ომი

რა გასაკვირია, 1967 წელს, როცა ალის ვიეტნამში საბრძოლველად გაწვევა დაუპირეს, ჩემპიონმა იუარა. მაშინ მან ლეგენდარული ფრაზა წარმოთქვა: „მე ვიეტკონგელებთან პრეტენზიები არ მაქვს. არც ერთ ვიეტკონგელს არ უწოდებია ჩემთვის ზანგი!“

ალის ჩემპიონის ტიტული ჩამოართვეს. მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. საქმე ჯერ სააპელაციო სასამართლოში გაიწელა, შემდეგ უზენაესში. ამასობაში ამერიკაში ომისდამი დამოკიდებულება შეიცვა-

ლა, ალის კი უამრავი, განსხვავებული კანის ფერის დამცველიც გამოუჩნდა. ყველაფერი დასრულდა 1971 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელმაც მოკრივე გაამართლა. თუმცა დიდ სპორტში დაბრუნების ნება ალის მანამდე დართეს.

და ის დაბრუნდა, რათა დაებრუნებინა ყველა ის ტიტული, რაც მისი რწმენით, სამართლიანად სწორედ მას ეკუთვნოდა.

„ბიძია თომას“ კომპლექსი

ისე გამოვიდა, რომ მუჰამედ ალის მოცილე ასევე ჯანიანი მოკრივე, თუმცა უფრო მშვიდობისმოყვარე ჯო ფრეზერი აღმოჩნდა. ეს იყო არცთუ დიდად განათლებული და სიტყვა-პასუხით გამორჩეული შავკანიანი ყმაწვილი ფილადელფიიდან, რომელმაც რინგზე ალის არყოფნისას ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა. ფრეზერი ყველაზე ნაკლებად განასახიერებდა მუჰამედისთვის მტრად ქცეულ თეთრ ისტებლიშმენტს, თუმცა ალის შურისძიების ობიექტად სწორედ ის იქცა...

ვის არ ახსოვს ამერიკელი მწერლის, ჰარიეტ ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხი“. ამ წიგნმა ამერიკაში არა მხოლოდ თეთრკანიანებს ადინა სინანულის ცრემლი, სახელმწიფოს ისტორიაზეც იქონია გავლენა. თუმცა ამერიკელი შავკანიანებისთვის თეთრკანიანი ქალის ხელით თეთრკანიანებისთვის დაწერილი წიგნი ვერაფერი საამებელია, ბიძია თომა კი მათთვის მონობის, დაბეჩავებისა და ბოროტებისადმი ქედის მოხრის სიმბოლოა და არც სიმპათიას იწვევს. ანუ, ერთი შავკანიანი მეორეს „ბიძია თომას“ თუ უწოდებს, მისთვის უფრო შეურაცხმყოფელს ვერაფერს მოიფიქრებს...

იგივე უწოდა მუჰამედ ალიმ მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ ჯო ფრეზერს და იცით, რატომ? იმიტომ, რომ მაშინ, როცა ის, სამი წლით კრივს ჩამოშორებული, თეთრკანიანებთან შეუპოვარი წინააღმდეგობისთვის სასამართლო დარბაზებში დაიარებოდა, ფრეზერი, რომელსაც პოლიტიკა არასდროს აინტერესებდა, პრეზიდენტ ნიქსონთან მიღებებს არ აცდენდა. თუკი ალი სეგრეგაციასთან ბრძოლისას აქტიურ პოზიციას იჭერდა, ფრეზერს არაფერი ახსოვდა, გარდა კრივისა.

ერთი სიტყვით, ისინი ისე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, როგორც ცა და დედამიწა... მაგრამ ფრეზერის ხელში იყო ჩემპიონის



1971 წლის 8 მარტი. ნიუ-იორკი. ჯო ფრეზერის ძლიერმა მუშტმა მუჰამედ ალის ნოკდაუნი და რინგზე პირველი მარცხი აგემა

ქამარი, რომელიც, როგორც ალი მიიჩნევდა, სამართლიანად სწორედ მას ეკუთვნოდა.

სიძულვილის შოუ

იმჟამინდელ და ყოფილ ჩემპიონს შორის შერკინება 1971 წელს მოეწყო. მას დღემდე „საუკუნის ბრძოლად“ მოიხსენიებენ. თუმცა ამავე ეპითეტით შეიძლება შევამკოთ ალის სხვა ბრძოლა-შედევრებიც: „თრილერი მანილაში“ და „აურზაური ჯუნგლებში“. მაგრამ ჩვენ არა ბრძოლის ესთეტიკურ მხარეზე, არამედ იმ სიძულვილზე ვსაუბრობთ, რომელიც ალიმ თვითონვე დათესა და აღმოაცენა. საამისოდ თუნდაც ფრეზერის ბიძია თომად მოხსენიება გამოდგა.

— სწორედ თეთრკანიანმა ადვოკატმა იხსნა ის ციხისგან, — იხსენებდა შემდგომ ფრეზერი, — და მე მიწოდებდა ბიძია თომას?!

ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. შემდეგ ალი ფილადელფიაში ჩავიდა, სადაც ფრეზერი ვარჯიშობდა და სპორტდარბაზის კარზე აბრახუნა დამამცირებელი შეძახილებით. მუჰამედი ჯოს საჩხუბრად სკვერში იწვევდა, ჟურნალისტების თანდასწრებით ლანძღავდა და აბუჩად იგდებდა ჩემპიონს.

მართლა ასე სძულდა ალის ფრეზერი? ალბათ, არა. ალი ხომ შოუმენიც იყო იმავდროულად.

მოგვიანებით ფრეზერს უთქვამს: „დიდი ნაწილი იმ ყველაფრისა, რაც შერკინებას წინ უძღოდა, წინასწარ გვქონდა მოფიქრებული და შეთანხმებული. სინამდვილეში საქმე არც ისე იყო, როგორც ამას პუბლიკა ხედავდა. გახსოვთ ფოტოსურათი, სადაც ალი სპორტდარბაზის შუშის კართან დგას და მეღრიჯება? ეს სცენა დადგმული იყო... ის არშემდგარი ჩხუბიც პარკში... ჰო, მუჰამედი ყველაფერს აკეთებდა, რათა მისი სახელი გაზეთებში მოხვედრილიყო“.

ასე იყო თუ ისე, ფრეზერს ალის გამოწვევა არასდროს დავიწყებია და არც უპასუხოდ დაუტოვებია.

საუკუნის ბრძოლები

და აი, 1971 წლის 8 მარტი. არც მეტი, არც ნაკლები — საუკუნის ბრძოლა „მედისონ სკვერ გარდენში“!

ალისა და ფრეზერის პირველი შერკინება იდეოლოგიათა ბრძოლად, რასისტულ ჯიჰადადაც კი მონათლეს. არადა, შეფასებები უცნაური ჩანდა, რამდენადაც ორივე მოკრივე შავკანიანი იყო და ამასთან, ერთ-ერთს (ფრეზერს) არანაირ იდეოლოგიასთან არ ჰქონია რამე საერთო, მაგრამ აქ სწორედ მუჰამედმა ააგიზგიზა ვნებათაღელვა, რომელიც პრესამ მთელ ქვეყანას გადასდო...

...ალიმ ხომ ვიეტნამში ბრძოლაზე უარი განაცხადა! არც ფრეზერს უომია (როგორც დაოჯახებული, არ გაიწვიეს), მაგრამ ის სახელმწიფოს ერთგულებას ეფიცება! ალიმ ფრეზერს „ბიძია თომა“ უწოდა!

ამერიკა ამ ბრძოლის მოლოდინით ცხოვრობდა. ქაოსმა მოიცვა რამდენიმე ქალაქი, სადაც ასპარეზობის ჩვენებას დაჰპირდნენ, მაგ-



მეტოქეების ბოლო, 1975 წელს გამართული შერკინება

ძველი მეტოქეების შეხვედრა NBA-ს საკალათბურთო მატჩის დროს

რამ ტრანსლაცია ვერ მოეწყო. „გარდენის“ დასაცავად ნიუ-იორკის პოლიციას ისეთი მობილიზება დასჭირდა, მანამდე არც ერთ სპორტულ ღონისძიებას რომ არ ღირსებია.

რინგზე წარმოდგენილმა სანახაობამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა. მე-15 რაუნდში ფრეზერმა ალის ნეკნებსა და ყბაში მაგრად მოსდო და მეტოქე ნოკდაუნში გაუშვა. ეს მუჰამედის პირველი მარცხი იყო რინგზე.

რინგიდან ორივე პირდაპირ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ერთხანს ხმა დაირხა, ფრეზერი ტრავმებისგან გარდაიცვალაო. მაშინ ალიმ დიდსულოვნად განაცხადა, თუკი ეს მართალია, კრივიდან წავალო.

ალისა და ფრეზერს შორის მატჩი-რევანში 1974 წელს გაიმართა. ალიმ ქულებით დამსახურებულად გაიმარჯვა, თუმცა ბევრი მიიჩნევს, რომ ეს ბრძოლა ჩაწყობილი იყო...

მთავარი ფეიერვერკი წინ იყო. მომდევნო ბრძოლა 1975 წლის ოქტომბერში, მანილაში დაიგეგმა. მუჰამედი ჯოს ისევ დასცინოდა, ლანძღავდა, ახლა უკვე გორილას ეძახდა, პრესკონფერენციაზე სათამაშო მაიმუნითაც კი წარდგა.

ოღონდ ალი უკვე მსოფლიოს ჩემპიონი გახლდათ — ერთი წლით ადრე ტიტული ფორმენს დაუვიწყარ ბრძოლაში („აურზაური ჯუნგლებში“) წაჰგლიჯა. მისი ბრძოლის ე.წ. პეპლისა და ფუტკრის ტაქტიკა მნახველს აოცებდა. ის დიდების ზენიტში იყო და ერთადერთი, რაც მის აღიარებას აკლდა, ძველი, შეურიგებელი მტრისთვის, ფრეზერისთვის ცხვირ-პირის დანაყვა იყო.

გულანთებული გახლდათ ფრეზერიც.

ორივემ ბოლომდე, ლამის სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნამდე იბრძოლა. თუკი ალი თვალგახელილი კვდებოდა, ფრეზერი, პრაქტიკულად, ბრმა იყო. ჯოს მენეჯერმა აღარ გარისკა მოკრივის სიცოცხლით და რინგზე პირსახოცი ისროლა. იმავდროულად მოუთხოვია მუჰამედს თავისი მენეჯერისთვის ხელთათმანის მოძრობა – ბრძოლის გაგრძელება აღარც მას შეეძლო.

* * *

ამ „თრილერის“ შემდეგ ორი უდიდესი მოკრივის ურთიერთობა შეიცვალა. ალი აღარ აძაგებდა და აღარც დასცინოდა ფრეზერს, პირიქით, მის წინაშე ქედს იხრიდა. ძველი გამოხდომებისთვის მუჰამედმა ჯოს სახალხოდ ბოდიშიც კი მოუხადა. „ბოდიში მან გაზეთს მოუხადა, მე კი არა“, — განაცხადა ჯომ.

...ჯო ფრეზერი 2011 წლის 7 ნოემბერს, ღვიძლის კიბოთი, 67 წლის ასაკში გარდაიცვალა.

„ის ჩემი მეგობარი იყო“, — თქვა მუჰამედ ალიმ, რომელსაც 17 ინვარს 70 წელი შეუსრულდა. თვით ალი, კარგა ხანია, პარკინსონის მძიმე სენს ებრძვის.

გელა უშარიძე

საკუთარ თავზე გამმარჯვებელი კაცი

ასაკს არ ჰქონია მნიშვნელობა. ნულიანის წინ რა რიცხვიც უნდა გეწეროს, სიცოცხლე ერთნაირად სასურველია... იმიტომ, რომ გიყვარს! თანამდებობასა და რეგალიებსაც არ ჰქონია მნიშვნელობა. რომელ სავარძელშიც უნდა იჯდე, მაინც ალალ ბიჭად დარჩები, თუკი გიყვარს! ჭაღარასაც არ ჰქონია მნიშვნელობა. შეიძლება 30 წლისას თმა გაგითეთრდეს, ისე, როგორც გიზო ჟორდანიას თავის დროზე, მაგრამ არავისთვის იქნები ჭაღარა კაცი, იმიტომ, რომ გიყვარს!
და როცა გიყვარს, ყოველთვის ახალგაზრდა და ალალი ხარ, მაშინ შენს თავსაც კი სჯობნი, საკუთარ თავზეც კი იმარჯვებ... მხოლოდ სიყვარულით, ცხადია...
***გიზო ჟორდანიასთვის** ასაკს, თანამდებობასა და ჭაღარას მნიშვნელობა არ აქვს, რადგან საკუთარ თავზე გამმარჯვებელი კაცია. მისი ცხოვრება ამით კიდევ უფრო საინტერესოა...*

გიზო ჟორდანია

— ჩემი ბავშვობის ყველაზე ადრინდელი მოგონება სევდიან ამბავს უკავშირდება. მახსოვს სახლ-კარი ლანჩხუთში, რომელიც მერე ფიცარ-ფიცარ გაიყიდა. ჯერ მილიცია იყო იმ შენობაში, მერე — საავადმყოფო... ახლა იმ ადგილას რაღაც სამედიცინო ცენტრია. მითხრეს, ერთ ფიცარზე აღნიშნულია სამი სიმაღლე წითელი ფანქრით. ერთი, ორი წლისა რომ ყოფილხართ, მეორე — ორწლინახევრისა, ხოლო მესამე — სამი წლისო. თქვენი სახელი აწერიაო. კი ვიფიქრე წასვლა, მაგრამ ვერ წავედი, გულმა არ მომცა წასვლის ნება...

მახსოვს შავი მანქანა, რომლითაც დედა დაჰყავდათ ჩეკაში. ძაღლი, რომელიც მოგვიწამლეს... ძროხა, რომელიც მოკვდა — სწორედ მაშინ, როცა მამა დაიჭირეს, 1936 წელს.

მამა — კოკი ჟორდანია ექიმი იყო. ამბობენ, ერთმა ხელისუფალმა რომ ნახა მისი აშენებული საავადმყოფო ლანჩხუთში, იკითხა: ჟორდანიები ისევ ცოცხლები არიანო?.. მეორე ღამით წაიყვანეს მამა. დედასთან დავრჩით მე და უმცროსი და — ნანა. ის ოცი დღისა იყო. დედას რძე გაუშრა. მეზობელი კიკა კანდელაკის დედა, პუპი აწოვებდა. ერთ დღესაც აღარ მოვიდა. ბავშვი ჩხაოდა... თურმე დაუბარებიათ ის ქალი და აუკრძალავთ — მავნებლის შვილს არ აჭამოო. შეაშინეს საწყალი. გამოსავალს ვერ პოულობდა დედა. მაშინ მოვიდნენ ნათესავები და გადაწყდა, ჩემი და უშვილო ბიძაჩემსა და ბიცოლაჩემს ეშვილათ, ჩვენ კი თბილისში გამოვიქეცით, ავლაბარში დავსახლდით.

ერთ ოთახში ვცხოვრობდით. მეზობლები სულ სომხები გვყავდა. ამიტომ სომხური კარგად ვიცი. მახსოვს, ქართველი ინტელიგენციისადმი როგორ აგრესიულად იყვნენ განწყობილი ავლაბარში. თუ ვინმეს შლაპა ეხურა ან ყელზე ბაფთა ეკეთა, უკვე კლასობრივი მტერი იყო. ასეთ კაცს უყვიროდნენ: პრაფესორ! კოწია!

მამაჩემის ამბავი ცალკე მოსაყოლია, და ამას სხვა დროს გიამბობთ. ახლა მოკლედ გეტყვით, რომ მამა დახვრეტას გადაურჩა. შუა აზიაში, ბაიაიუთში იყო გადასახლებული. პატიმრები საშინელ პირობებში ჰყავდათ. ბამბის პლანტაციებში ამუშავებდნენ. ვადაზე ადრე გაათავისუფლეს, რადგან დიდი ჩინოსნის ქალიშვილი გადაარჩინა სიკვდილს... პირველი ინფარქტი მაშინ დაემართა, როცა უთხრეს, თავისუფალი ხარო.

მძიმე დღეები გადავიტანეთ. ჩემმა დამ 14 წლისამ გაიგო, რომ მისი ნამდვილი დედა დედაჩემი იყო. მანამდე ნანა დადიოდა ჩვენთან, ოღონდ ისე, როგორც ნათესავი. დაიწყო გაორებული ცხოვრება... ერთი მხრივ, აღმზრდელი მშობლები ჰყავდა — ვახტანგ ჟორდანია და ანია იოსავა, მეორე მხრივ — ნამდვილი მშობლები. ეს დიდი ტრაგედია იყო.

ცელქი ვიყავი და მოჩხუბარი... მახსოვს, ერთხელ ვნახე, სომეხი მეზობლის დიდმა ბიჭმა პატარას დაარტყა. მივედი და თავი ჩავარტყი. გამოვარდა მამამისი: — რაზე ურტყამ, ბიჭოო! — დამიჭირა ყურით.

— ვურტყამ...

— რაზე?

— პატარას დაარტყა-მეთქი.

მამამისმა გამიშვა ხელი და საღოლო, მითხრა. თავის შვილს მიუბრუნდა და პატარას რაზე ურტყამო, ახლა იმას დაუწყო ჩხუბი.

მახსოვს, მამამ გერმანულის მასწავლებელი მიქირავა. ვმაიმუნობდი გაკვეთილზე. მამასთან დაიჩივლა მასწავლებელმა: რა ვქნა, გერმანულს ვასწავლი, არ უნდა და სომხურს კი სწავლობსო.

სკოლაში კარგად ვსწავლობდი. მედალი მაინც არ მომცეს. მიღებული არ იყო ჩვენი ოჯახი...

მამა არ ლაპარაკობდა კომუნისტებზე. დედას თუ წამოსცდებოდა ძვირი, მამა ეტყოდა, — ჩუმად! ამასთან ნუ ამბობ! ეს პიონერია, კომკავშირელი გახდება, წავა და რაიკომში დაგვაბეზღებსო. ამაზე ვგიჟდებოდი, ვბრაზობდი, ვტირობდი... მამას ეღიმებოდა. ინსტიტუტში უკვე კარგად ვიყავი გარკვეული, რა უნდა მეთქვა და რა არა...

თეატრალურში რომ განვაგრძე სწავლა, მამა ამბობდა, — მასხარაობა უნდოდა და წავიდა კიდეც ამ გზაზეო... ინსტიტუტში ვსწავლობდი. მოსკოვში გვგზავნიდნენ ხოლმე პრაქტიკაზე. იქ უმაღლესი დონის თეატრები იყო. მეორე კურსზე ვიყავი, ტრიფონოვკაზე ვცხოვრობდით სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში. გოგონები გავიცანით. მათი წასვლის დრო რომ დადგა, გავაცილე ტრამვაის გაჩერებაზე. შევამჩნიე, რამდენიმე ბიჭი გვითვალთვალებდა, უკან მოგვყვებოდნენ... დავაკვირდი — სამი ტრაქტორივით ბიჭია, მათთან ჩხუბი ჩემს მტერს. ჩასხდნენ გოგონები ტრამვაიში და წავიდნენ. ამ ბიჭებმა დამიძახეს: — დრუგ, კ ტებე დელა! გავჩერდი, სხვა რა გზა იყო. მომიახლოვდნენ. ვდგავარ მესერთან. ერთი მაინც ისეთი იყო, რუსები რომ იტყვიან: მორდა ტრებუეტ კირპიჩა. ამ დროს ვხედავ, მოდის რეჟისორი ლევან მირცხულავა. ეს ის პერიოდია, როცა ძალიან პოპულარული იყო ფილმი „ჯარისკაცის ბედი ამერიკაში“ და მისი გმირი ედი ბარტლეტი, რომელიც მუშტს ხმარობდა ძალიან კარგად. რეზოს ისე ეცვა და ისე მოდიოდა, ედის პროტოტიპი გეგონებოდათ. ისიც ავლაბარში, ყაზარმის უბანში იყო გაზრდილი და ვმეგობრობდით. სომხური მანაც იცოდა. რომ დამინახა, — გიზო, რა მოხდაო. — წეწუმენ, — ვუთხარი სომხურად, ვითომ ქართულად რომ მეთქვა, გაიგებდნენ. გადმოვიდა რეზო და გაითამაშა ედი ბარტლეტის გმირი, უცებ ხია შუაში მდგომს. მას ფეხი დაუცურდა ყინულზე და დავარდა. მე ზემოდან დავახტი. ატყდა ერთი ამბავი. დაიწყეს ყვირილი, მილიციაო! რეზო ტრამვაის შეახტა და გაიქცა. მე საერთო საცხოვრებელში შევვარდი.

ცელქი ვიყავი და მოჩხუბარი...

„მამა — კოკი ჟორდანია ექიმი იყო. ამბობენ, ერთმა ხელისუფალმა რომ ნახა მისი აშენებული საავადმყოფო ლანჩხუთში, იკითხა: ჟორდანიები ისევ ცოცხლები არიანო?.. მეორე დამით წაიყვანეს მამა“

ცოტა ხანში მილიცია მოვიდა. მეძებენ. სამზარეულოდან გამოვარდა ერთი ქალი, გამიღო ხორცის მაცივრის კარი და შემაგდო შიგ. პირველი წუთი არაფერი, მაგრამ მერე და მერე გავლურჯდი. მილიცია რომ წავიდა, გამომიღეს მაცივრიდან.

მილიციაში თუ მოვხვედრილვარ? ყოფილა ასეთი შემთხვევებიც. ერთხელ ტრამვაიდან გადმოვხტით ბიჭები. ჩვენი გართობა ხომ ეგ იყო. დაგვიჭირეს. სხვები გაუშვეს, მე — არა. გვარი არ მოეწონათ! ერთხელ კი სულ ტყუილად დამიჭირეს. ბარათაშვილის ხიდთან მილიციელმა ხელი მტაცა და განყოფილებაში წამიყვანეს. ვხედავ, ზის ერთი სომეხი კაცი და მლანძღავს. — აი, ეს იყო უფროსო, ჩხუბი გაკეთა, მილიციას ჩაარტყაო. შემოიყვანა მეორე მილიციელი, მოიტანა უშველებელი ქვა — ეს მესროლაო. ენა გადავყლაპე გაოგნებისგან. მართლა არაფერ შუაში ვიყავი. ეტყობა მიხვდნენ, არაფერ შუაში ვიყავი. მეორედ არ ქნაო, — მითხრეს, შემაგინეს და გამომიშვეს. მას მერე არ მიყვარდა მილიცია.

საერთოდ სიცილი ვიცოდი. ამის გამო სულ მიბრაზდებოდნენ უფროსები. ეგონათ, დავცინოდი...

ჩემი დიდი ტრაგედია იყო, როცა მამა ხელში ჩამაკვდა. V კურსის სტუდენტი ვიყავი. რეპეტიცია მქონდა საღამოს. ორი საათი მქონდა შუალედი, რუსთაველზე ვიდექი და ვფიქრობდი, რა მინდა, შინ რომ წავიდე-მეთქი. რაღაც ძალამ გამწია და წავედი. ვიდრე დედა სუფრას შლიდა, მამას გავხედე. აივანზე იდგა. შევამჩნიე, არაბუნებრივად იდგა... გახევებული იყო და მოაჯირს ეჭიდებოდა. მივედი, შევხედე. ორი შუშა დავინახე თვალების მაგივრად, მოვკიდე ხელი და მოეშვა... ხელში ჩამაკვდა კაცი...

პროფესიას ლილი იოსელიანი და ვასო ყუშიტაშვილი მასწავლიდნენ. პირველი სპექტაკლი რომ უნდა დამედგა, სიმბოლისტური დრამა მივიტანე. ბატონმა ვასომ მითხრა: ბიჭო, შენ ეგ როგორ უნდა დადგა, მე ვერა ვდგამ. შენ ცოტა მსუბუქი ბავშვი ხარ და ეგ რად გინდაო. ცოტა არ იყოს, მეწყინა. მომიტანა პიესა — ანატოლ ფრანსის „მუნჯი ცოლი“. წავიკითხე, მომეწონა და ნანა მჭედლიძესთან ერთად დავდგი. ეგეთი კომედია არ დამიდგამს. აქედან დაიწყო ჩემი სათეატრო ცხოვრება.

პრემიერაზე თუ ვინერვიულე? რა გითხრათ...

მე სხვა რამ მახსოვს, რაზეც მართლა ბევრი ვინერვიულე. პატრონი არავინ მყოლია... კოტე მეღვინეთუხუცესმა მუსკომედიის თეატრში დირექტორთან — აკაკი შანიძესთან შემიყვანა. მოვეწონე, მაგრამ უცნაური იყო, რომ დირექტორი თვალს მიკრავდა. ვერ მივხვდი, რას მანიშნებდა. კიდევ ერთხელ ჩამიკრა თვალი და მეც ჩავუკარი. შეეატყვე, ეწყინა. თურმე თვალის ჩაკვრის ტიკი ჰქონია მე კი გავსულელდი!

თეატრში მიმიღო. დასადგმელად ავირჩიე „ცირკის პრინცესა“. დეკორაცია მოამზადა გენიალურმა მხატვარმა დიმა თაყაიშვილმა. ორკესტრი ქვემოთ კი არ უნდა მჯდარიყო, არამედ მაღლა... ნება არ მომცეს. თეატრში მომიხსნეს ეს დეკორაცია. ამაზე ძალიან ვი-

ნერვიულე. გავიდა ათი წელიწადი და ამერიკაში დაიდგა „დონ კიხოტი“, სადაც მაღლა დასვეს ორკესტრი. დრომ აჩვენა, რომ შესაძლებელი იყო ასეთი გადაწყვეტა. პრემიერის შემდეგ ვუთხარი დირექტორს, — თქვენს თეატრში აღარასდროს დავდგამ-მეთქი. სასაცილო იყო. ვინ მეძახდა, რომ დამედგა! მაგრამ გავჯიქდი და კომპრომისზე არ წავედი. ახლა დათო დოიაშვილმა დამპატიჟა და მასთან კი მივედი...

ბოლო კურსიდან პედაგოგადაც ვმუშაობდი. ჯერ აკაკი ხორავას ასისტენტი ვიყავი აფხაზების ჯგუფთან. ამ ჯგუფის გახსნის თავი და თავი ბატონი აკაკი იყო. საერთოდ, მთელი კავკასია ჩვენთან სწავლობდა...

მუსკომედიის ფაკულტეტი რომ გაიხსნა, ამიყვანეს ინსტიტუტში. ველოდები, პედაგოგი ვიქნები-მეთქი. პრეპარატორად არ დამნიშნეს! ეს ლაბორანტზე დაბალი თანამდებობაა, მაგრამ საქმით ვპედაგოგობდი. იმავე წელს მომცეს სპექტაკლი დასადგმელად.

ძალიან უნდა გიყვარდეს სტუდენტი, უნდა გქონდეს უნარი, გაიხარო შენი სტუდენტის წარმატებით. მაშინ ყველაფერი გამოგივა.

სტუდენტები ჩემთან ახლოს ყოფილან? მართლაც ასე იყო. ზოგჯერ საიდუმლოსაც მანდობდნენ. სტუდენტს ყველაფერს ვაძლევდი, რომ პროფესიონალად მექცია. ყველაფერი უნდა სცოდნოდა — ბრეხტიცა და სტანისლავსკიც, მაგრამ მთავარი მაინც იმის ცოდნაა, რომ ის ეროვნული თეატრის მსახიობია. ვისაც ეს სისხლსა და გონებაში აქვს, წარმატებას მიაღწევს, ვისაც არ აქვს და რა უნდა, ვერ გაიგებ, სულ ტყუილად იგრიხება სცენაზე.

„სტუდენტი პირდაპირ პრაღაში და ვაშინგტონში კი არ უნდა გარბოდეს, სოფელი უნდა ნახოს. საქართველოში ყველაფერი შემოვლილი მაქვს. უცხოეთშიც ვყოფილვარ, მაგრამ ისეთ სიყვარულს, როგორსაც საქართველოში ვიღებდი, სხვაგან ვერსად ვპოულობდი“.

რეპეტიციაზე ზედმეტად მკაცრი ვიყავი პირველ ათწლეულში. ეს აუტანელი იყო. მერე მივხვდი და შევიცვალე. თეატრს გარეთ კი იმ სიმკაცრეს ყოველთვის ვიშორებდი...

ახლა უკვე ჩემი ცხოვრების მიმწუხრია, მა რა არი! დაღლილი არ ვარ, მაგრამ ხანდახან

„რეპეტიციაზე ზედმეტად მკაცრი ვიყავი პირველ ათწლეულში. ეს აუტანელი იყო. მერე მივხვდი და შევიცვალე. თეატრს გარეთ კი იმ სიმკაცრეს ყოველთვის ვიშორებდი...“

საქართველოში სტუმრად ჩამოსულ კოლეგასთან ერთად

მიკვირს, რომ ამდენი დრო გასულა...

როცა ახალგაზრდა ვიყავი, მაშინაც ასე ვფიქრობდი და ახლაც ასე ვფიქრობ: თეატრშიც და ოჯახშიც უნდა იყოს მოხუციც, ჭარმაგიც, ახალგაზრდაც... მხოლოდ ასე გრძელდება სიცოცხლე. სხვათა შორის, მე დღესაც ვსწავლობ. თუ სტუდენტისგან ვერაფერი გავიგე და ვისწავლე, ეგეთი მუშაობა არც მომწონს და არც მიმაჩნია ღირებულად.

მყავს ორი შვილი და ორი შვილიშვილი. უფროსი ზედმეტად ჭკვიანი ბიჭია. პატარა გოგონა კი ძალიან ცელქია. ბიჭი სულ კომპიუტერთან ზის. მე თუ ვჯდები კომპიუტერთან? ვინ მიშვებს რო? ისე კი დავჯდებოდი, რომ მიმიშვან.

ოპტიმისტი ვარ... უფრო სწორად, ასე მიცნობენ. რა აზრი აქვს ტკივილზე ლაპარაკს, როცა ბოლოს ყველა მარტო ვრჩებით? რა აზრი აქვს ამ დაუსრულებელ ომს? საკუთარ თავთან ომი შეიძლება, ხოლო თუ საკუთარ თავზე გამმარჯვებელი კაცი ხარ, შენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

ერთმანეთთან ქიშპობა, ერთმანეთის დასამარება საშინელებაა. ერთ მშვენიერ დღეს ხომ ყველა გავსწორდებით და დიდ სოფელში წავალთ.

მთავარია კაცს შეგეძლოს, რაღაც მოიკლო, სხვას დაეხმარო. ზოგი ამბობს, ეგ პოზაաo... მისთვის უცხოა ალბათ და იმიტომ. მე კი ეს ბედნიერებად მიმაჩნია.

და კიდევ: დაუსრულებელი სევდა და დაუსრულებელი ლტოლვა მაქვს მიწისადმი... მაგრამ სოფელი არ მაქვს... მიმაჩნია, რომ სტუდენტი პირდაპირ პრაღაში და ვაშინგტონში კი არ უნდა გარბოდეს, სოფელი უნდა ნახოს. საქართველოში ყველაფერი შემოვლილი მაქვს. უცხოეთშიც ვყოფილვარ, მაგრამ ისეთ სიყვარულს, როგორსაც საქართველოში ვიღებდი, სხვაგან ვერსად ვპოულობდი.

ლელა ჯიყაშვილი

საქართველოს ისტორია ოთხ ტომად

უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე

იქონიე საქართველოს ისტორია შენს თაროზე!

წიგნის ავტორები

მარიკა ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი
ანდრია აფაქიძე, დავით მუსხელიშვილი

და სხვები.

ლამაზად ილუსტრირებული, უნიკალური ფოტო მასალით

სასაჩუქრე გამოცემა

გამომცემლობა „პალიტრა L“

ფასი
59.99

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში!

ეთერ თათარაიძე:

სამშობლოს ისტორიის სიყვარული ჩემმა წინაპრებმა ჩამინერგეს...

„ისტორიანი“ ძალიან მომეწონა, ჩემს შვილებს ვუთხარი, აუცილებლად უნდა წაიკითხოთ-მეთქი. მასში ბევრი საინტერესო მასალა იბეჭდება, „ერუდიტსაც“ გავეცანი. რაღა დაგიმალოთ და ვღელავ, არ ვიცი, კითხვარს თავს როგორ გავართმევ“, — მეუბნება ფოლკლორისტი ეთერ თათარაიძე და თან სტუდენტობის პერიოდს იხსენებს: „ისტორიას უნივერსიტეტში აკადემიკოსი როინ მეტრეველი მასწავლიდა. ცუდი სტუდენტი ნამდვილად არ ვყოფილვარ, ამ საგანში უმაღლეს შეფასებას ტყუილად არ მიწერდნენ“. სამშობლოს ისტორიის სიყვარული ჩემმა წინაპრებმა ჩამინერგესო, ამბობს. მოხუცების გარემოცვაში იზრდებოდა, რომლებიც საქართველოს სახელოვან მეფეებზე ხშირად უამბობდნენ. ბევრი რამ მოუსმენია თამარ მეფეზე, წინაპრებისგან იცის, რატომ დაერქვა მის სოფელს ალვანი, ლალისყურს — ლალისყური და სხვ.

— ქალბატონო ეთერ, ეს ამბები მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება...

— მოხუცები მიამბობდნენ, ერთ ღამეს, თამარ მეფე ამალით, თელავიდან ზემოთ წამოსულა. დღევანდელი სოფლის ტერიტორიაზე მოსულს ძალიან მოსწონებია აქაურობა და ეტლი შეუჩერებიაო. ამ დროს შეუმჩნევია, რომ ცალ ყურზე საყურე აღარ ეკეთა თურმე. მსახურებისთვის უთქვამს, ჩემი ლალისყური დავკარგეო. ბევრი უძებნიათ, მაგრამ ვერ უპოვიათ, იმ ადგილს კი ლალისყური შერჩენია სახელად. ამალას გზა გაუგრძელებია. სოფელში რომ ასულან, უნათია კიდეც. მეფეს უთქვამს, როგორი ალიონიაო, ოდნავ მაღლა ასულს კი აღტაცებით წამოუძახია, — ეს უკვე ნამდვილი ალიონიაო. ასე დაერქვა ამ ორ სოფელს ქვემო და ზემო ალვანი...

— საინტერესო ლეგენდაა, ახლა კი კითხვარზე გადავიდეთ.

— აბა, დავიწყოთ.

— თავდაპირველად ხევსურეთი ლეონტი მროველის თხზულების არშიაზე გვხვდება, მანამდე როგორ იხსენიებოდა ხევსურეთი ფშავითურთ?

— ფხოვი.

— დაასახელეთ ზემო იმერეთის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში, საჩხერის რაიონში მდებარე X-XI საუკუნეში დაარსებული წმინდა გიორგის სახელობის მონასტერი.

— სავარაუდო პასუხი მაქვს, მაგრამ არ მინდა შემეშალოს.

— „ისტორიანის“ წინა ნომერში ამ მონასტრის შესახებ საინტერესო სტატია დაიბეჭდა.

— გამახსენდა, ეს ხომ ჯრუჭის მონასტერია.

— დიახ, ჯრუჭის მონასტერი. რომელ ცნობილ საზოგადო მოღვაწეს მიუძღვის დიდი როლი და განსაკუთრებული დამსახურება ამ მონასტრის, მისი ხელნაწერების შესწავლასა და დაცვაში?

— ექვთიმეს, არა?

— დიახ, წმინდა ექვთიმე ღვთისკაცს. ვინ იყო ერთიანი საქართველოს პირველი მეფე?

— ბაგრატ III.

— რომელ ტაძარში იყო შემონახული ამ მეფის ერთადერთი გამოსახულება, რომელიც ახლახან განადგურდა?

— ბედიის მონასტერში.

— „თუ ღვთის სჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძოლებთ, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკსაც ადვილად დავამარცხებთ“... — ვინ მიმართა ამ სიტყვებით ჯარს ბრძოლის წინ?

— თუ შეიძლება დავაზუსტებ, რომელ პერიოდში მეფობდა?

— შუა საუკუნეებში.

— დავით აღმაშენებელი.

— დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ისტორიაში ვინ იყო პირველი ქალი პრემიერ-მინისტრი?

— მარგარეტ თეტჩერი.

— საფრანგეთში მან 72 წელიწადს იმეფა, მისი მეფობის დასასრულს დასაწყისი აღარც ახსოვდათ. რომელ მეფეზეა ლაპარაკი?

— ვერ გიპასუხებთ.

— ლუი XIV-ზე, მას მეფე მზესაც უწოდებდნენ. რომელ ცნობილ ფილოსოფოსს ეკუთვნის გამონათქვამი: „თავისუფალი რომ იყო, უნდა იყო მონა კანონისა“?

— ზუსტად ვერ გეტყვით. მგონი ციცერონს.

— დიახ, ციცერონს. 1922 წელს გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე ქართველი ერის სატკივარი მსოფლიოსთვის გახდა ცნობილი. ვინ აღიმაღლა ხმა რუსეთის წინააღმდეგ?

— იქნებ მინიშნება მითხრათ.

— მან გენუის კონფერენციას მემორანდუმით მიმართა და საქართველოდან რუსეთის საოკუპაციო ჯარის დაუყოვნებლივ გაყვანა მოითხოვა. ის დააპატიმრეს და შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

— მივხვდი, ამბროსი ხელაიაზეა ლაპარაკი.

— სად არის იგი დაკრძალული?

— ეს კი ნამდვილად ვიცი, სიონში.

— რომელი ქართველი დიდებულის თავგანწირვამ იხსნა კოხტასთავის შეთქმულება?

— ცოტნე დადიანის.

— 1626 წელს ერთმანეთს ორი ლაშქარი დაუპირისპირდა. ერთს გიორგი სააკაძე მეთაურობდა, მეორეს — თეიმურაზ I. სად გაიმართა ეს ბრძოლა?

— ბაზალეთის ტბასთან და მას ქართველების სირცხვილი უწოდეს.

— რომელმა ისტორიკოსმა აღწერა „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“?

— ვერ ვიხსენებ.

— ჯუანშერმა.

— მართალია, ვნანობ, რომ ვერ გავიხსენე.

— ყინწვისი, დავით-გარეჯი, ვარძია, უფლისციხე — ამ ძეგლთაგან რომელი არ მიეკუთვნება კლდეში ნაკვეთ გამოქვაბულთა კომპლექსს?

— ყინწვისი.

— თბილისში მდებარე ეს უძველესი ბაზილიკური ეკლესია ვახტანგ გორგასლის ვაჟის, დაჩის ბრძანებით აშენდა. რომელ ეკლესიაზეა ლაპარაკი?

— ანჩისხატის ტაძარზე, ხომ არ მეშლება?

— ნამდვილად ასეა. ახლა კი დაალაგეთ ომები თარიღების მიხედვით: დიდგორი, ბაზალეთი, კრწანისი, გარნისი.

— ჯერ დიდგორის ბრძოლა იყო, შემდეგ — გარნისის, ბაზალეთის და ბოლოს — კრწანისის.

— რა ერქვა ბიბლიური ისააკის მამას?

— აბრაამი.

— ზესტაფონი, ქუთაისი, თბილისი, გორი — საქართველოს ამ ქალაქებიდან, რომელია უძველესი?

— ქუთაისი.

— რა ერქვა თამარ მეფის დედას?

— ვიცოდი, მაგრამ ვეღარ ვიხსენებ.

— ბურდუხანი. არჩილი, ბაგრატ III, დემეტრე I, გიორგი II — ამ მეფეთაგან, რომელი არ არის დაკრძალული გელათის ტაძარში?

— არჩილი, სწორად ვამბობ?

— დიახ. ცნობილია, რომ თავისუფლების ქანდაკება ფრანგი ხალხის საჩუქარია ამერიკის შეერთებული შტატების ხალხისადმი. იგი მოქანდაკე ფრედერიკ-ოგიუსტ ბართოლდიმ შექმნა. ვინ გამოიყენა მოდელად მოქანდაკემ?

— არ ვიცი.

— თავისივე დედა. ქართული ლიტერატურის რომელი გმირი „შეეწირა“ 1804 წლის მთიულთა აჯანყებას?

— მადროვე, და გიპასუხებ (*პაუზის შემდეგ*), ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობის გმირია?

— დიახ, თქვენ იგი აუცილებლად უნდა დაასახელოთ.

— ელგუჯა...

— 1709 წელს ავღანეთში ღალატით მოკლეს ერთ-ერთი უმამაცესი ქართველთაგანი, მან თავისი სიმამაცე სხვა ქვეყნის სამსახურს შეალია. გამაჰმადიანებულს მკერდზე ჯვარი აღმოუჩინეს. ვინ იყო ეს ტრაგიკული ბედის მქონე ქართველი?

— გიორგი XI.

— ამ ქართველ მწერალს მამა დაუხვრიტეს, დედა გადაუსახლეს. 1943 წელს ისიც დაატიმრეს და შეიარაღებული აჯანყების მზადებისთვის 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მალე სასჯელი დახვრეტით შეუცვალეს, სამ-ნახევარ თვეს სიკვდილმისჯილთა საკანში იჯდა. რომელ მწერალზეა ლაპარაკი?

— ჭაბუა ამირეჯიბზე.

— „შენ სამშობლოში შენი ოჯახის დესპანი უნდა იყო და სამშობლოს გარეთ — შენი ერის დესპანი, რადგან შენი საქციელი შინ შენი ოჯახის სახეა და გარეთ — შენი ერის“, — მის რომელ ნაწარმოებში ვკითხულობთ ამ სიტყვებს?

— „დათა თუთაშხიაში“.

— რომელ ქრისტიანულ ტაძარშია შემონახული შოთა რუსთაველის ფრესკა?

— იერუსალიმის ჯვრის მონასტერში.

— რამდენ ხანს გრძელდებოდა ტროას ომი?

— მგონი ათ წელიწადს, სწორად მახსოვს?

— დიახ, რომელ ნაწარმოებშია აღწერილი ბოლო 54 დღე?

— ჰომეროსის „ილიადაში“. ოდისევსის სამშობლოში დაბრუნებას კი „ოდისეა“ ეძღვნება...

— „რუსეთისთვის კავკასიის პრობლემა, ფაქტობრივად, საქართველოს პრობლემაა, არ იქნება საქართველო, არ გვექნება კავკასიის პრობლემაც“, — რომელ რუს გენერალს ეკუთვნის ეს სიტყვები?

— არ მახსოვს...

— ერმოლოვს. „აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს — / ეს კაცია, ალბათ, თურქის თემის... / და მე ვყვირი: — ჩემს სისხლს დალევს უწინამც! / და მე ვმღერი: — აფხაზეთი ჩემი!..“ — ვინ არის ამ ლექსის ავტორი?

— მურმან ლებანიძე.

— რა ეწოდება სახელმწიფოს ერთპიროვნულ მმართველს, რომელიც შეუზღუდავი ძალაუფლებითაა აღჭურვილი?

— დიქტატორი.

— რომელ მეფეზე წერდა ლეონტი მროველი: „ამან განავრცო ენა ქართული და შექმნა მწიგნობრობა ქართული“?

— ფარნავაზზე.

— ვინ იყვნენ სუფრაჟისტები?

— არ ვიცი, ეს სიტყვა არ მეცნობა.

— სუფრაჟისტები იყვნენ ქალთა მოძრაობის წარმომადგენლები საფრანგეთში, რომლებიც ქალებისთვის საარჩევნო და სხვა პოლიტიკური უფლებების მინიჭებას მოითხოვდნენ.

— საინტერესოა, აუცილებლად დავიმახსოვრებ.

— რომელი პროფესიის ადამიანებს უწოდებდნენ ძველი ბერძნები „დროის გადამცემებს“?

— ალბათ ისტორიკოსებს, არა?

— გამოიცანით. ამ ქვეყანაში ექიმებს ჩვეულებრივ კარგ ხელფასს უხდიდნენ, მაგრამ თუ იმპერატორი ავად გახდებოდა, მკურნალს მის გამოჯანმრთელებამდე ფული არ ეძლეოდა. რომელ ქვეყანაში ხდებოდა ასე?

— არ ვიცი.

— ჩინეთში. სამხედრო გზა, რომელიც საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიასთან აერთებს, ჯვრის უღელტეხილზე გადის. რომელ მდინარეთა ხეობებს შორის მდებარეობს ჯვრის უღელტეხილი?

— არაგვისა და თერგის.

— რომელ ისტორიულ მოვლენას მიუძღვნა აკაკი წერეთელმა მოთხრობა „ბაში-აჩუკი“?

— კახეთის აჯანყებას.

— 1662 წლის 18 სექტემბერს ეს ქართველი მამულიშვილები, რომლებიც ბახტრიონის გმირულ ბრძოლას მეთაურობდნენ, თურქმანებმა წამებით მოკლეს, შემდეგ იკორთაში გადმოასვენეს და წმინდანებად შერაცხეს. რომელ გმირებზეა ლაპარაკი?

— შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებსა და ბიძინა ჩოლოყაშვილზე.

— დაასრულეთ ფრანსუა ვოლტერის ცნობილი გამონათქვამი: „ადამიანის შესახებ მსჯელობენ მხოლოდ მისი მთავარი საქმეებისა და არა მისი...

— ვერ დავასრულებ.

— „... და არა მისი შეცდომების მიხედვით“.

თამარ კვინიკაძე

თამაშები იწყება!

149 **რომაელები აღფრთოვანებული იყვნენ გლადიატორების მამაცობითა და სიმარჯვით.** გლადიატორთა სიცოცხლე ხანმოკლე იყო, სიკვდილი კი — საზარელი. მათ არენაზე საბრძოლველად და განსაცდელთან შესახვედრად უშვებდნენ მანამ, ვიდრე სული არ ამოხდებოდათ.



▲ **კოლიზეუმი უდიდესი ამფითეატრი იყო რომის იმპერიაში**

150 **გლადიატორთა უმეტესობისთვის ბრძოლა თავისუფალი არჩევანი არ ყოფილა.** ომში ტყვედ აყვანილებს ან ციხეების პატიმრებს ჰყიდდნენ საბრძოლო მწვრთნელებზე, რომლებიც გლადიატორთა სანახაობებს უწევდნენ ორგანიზებას. ზოგიერთი ისე იყო გაწვრთნილი, რომ არენაზე დიდხანს ძლებდა და მაყურებელს ეს ძალიან მოსწონდა.

151 **გლადიატორები მხეცებსაც ერკინებოდნენ.** ცხოველები რომაული იმპერიის შორეული კუთხეებიდან ჩამოჰყავდათ. ჩრდილოეთ აფრიკიდან იმდენი ლომი წამოიყვანეს, რომ იქ სულ მალე თითქმის გადაშენდნენ.



152 **კოლიზეუმი განსაცვიფრებელი ნაგებობა იყო.** თავდაპირველად მას ფლავიუსების ამფითეატრს უწოდებდნენ. კოლიზეუმი იყო უზარმაზარი, ოვალური ფორმის არენა რომის ცენტრში. აქ იმართებოდა გლადიატორთა, აგრეთვე მოჩვენებითი საზღვაო ბრძოლები.

კოლიზეუმი ახ. წ. 80 წელს გაიხსნა, 50 ათას მაყურებელს იტევდა და აშენებული იყო ქვის, ბეტონისა და მარმარილოსგან. მას 80 შესასვლელი ჰქონდა და გმირების ქანდაკებებით იყო დამშვენებული.

გაგრძელება. დასაწყისი „ისტორიანი“ №№7-14 ● ნაწყვეტი წიგნიდან „500 ფაქტი ისტორიიდან“



154 **ეტლები ერთმანეთს ხშირად ეჯახებოდნენ და ყირავდებოდნენ.** ამიტომ ყველა მონაწილეს თან ჰქონდა ბასრი დანა — ფალქსი, რომლითაც ხელზე გადახვეულ სადავეებს გადაჭრიდნენ ხოლმე. მიუხედავად ამისა, მაინც ბევრი ცხენი და მეეტლე იღუპებოდა.

153 **ზოგიერთ რომაელს ერჩივნა ცხენების რბოლას დასწრებოდა.** ცხენები ეტლებს მიაქროლებდნენ სარბენ ბილიკებზე, რომელთაც ცირკუსები ეწოდებოდა. ყველაზე ცნობილი იყო მაქსიმუსის ცირკუსი, ანუ დიდი ცირკი (იპოდრომი) რომში, რომელიც 250 ათას მაყურებელს იტევდა. ყოველდღე აქ 24 რბოლა იმართებოდა. თითოეულში 12 ეტლი მონაწილეობდა, რომლებიც შვიდჯერ შემოურბენდნენ ოვალურ ბილიკს, რომლის სიგრძე 8 კილომეტრს შეადგენდა.

„დიდი ცირკი“ ანუ იპოდრომი

155 **შეჯიბრება ხშირად არეულობაში გადაიზრდებოდა.** რბოლას ოთხი გუნდი აწყობდა: წითლები, ლურჯები, მწვანეები და თეთრები. ყველა მონაწილეს თავისი გუნდის შესაბამისი ფერის ტუნიკა ეცვა და გულშემატკივართა თავაშვებული ჯგუფიც ჰყავდა.

© Miles Kelly © გამომცემლობა პალიტრა L, 2012

მმართველობა რომში

156 **რომს ადრე მეფეები მართავდნენ.** ლეგენდის თანახმად, პირველი მეფე იყო რომულუსი, რომელიც ძვ.წ. 753 წელს გამეფდა. მას შემდეგ კიდევ ექვსი მეფე ავიდა რომის ტახტზე და ექვსივე ბოროტი და უსამართლო იყო. უკანასკნელი მათგანი, ტარკვინიუს ამაყი ტახტიდან ჩამოაგდეს ძვ.წ. 509 წელს და რომი რესპუბლიკა გახდა, ანუ სახელმწიფო, რომელსაც მეფე აღარ მართავდა. ყოველ წელს ხალხი ირჩევდა აღმასრულებელი ხელისუფლების ორ წარმომადგენელს, რომელთაც კონსულები ეწოდებოდათ და მთავრობას ედგნენ სათავეში. ხალხი ირჩევდა სხვა ოფიციალურ პირებსაც. რესპუბლიკური მმართველობა 400 წელიწადს გაგრძელდა.

▲ **მონეტა იმპერატორ კონსტანტინეს გამოსახულებით**

▼ **სენატორები იყვნენ ცნობილი ოჯახების წარმომადგენლები, რომლებიც რომის რესპუბლიკაში მოსამართლეებად ან სახელმწიფო მოხელეებად მსახურობდნენ. ისინი ქმნიდნენ კანონებს და განიხილავდნენ მთავრობის გეგმებს.**

157 **ძვ.წ. 47 წელს ნიჭიერმა მხედართმთავარმა იულიუს კეისარმა თავი დიქტატორად გამოაცხადა.** ეს ნიშნავდა, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში იქნებოდა ხელისუფლების სათავეში. მისი მოწინააღმდეგენი ფიქრობდნენ, რომ ის ბოლოს მოუღებდა რესპუბლიკას და სხვა მეფეებივით იმეფებდა. კეისარი ძვ.წ. 44 წელს მოკლეს, სამოქალაქო ომი მრავალ წელიწადს გაგრძელდა.



იულიუს კეისარი

158 **ძვ. წ. 27 წელს მხედართმთავარმა ოქტავიანემ ხელთ იგდო ძალაუფლება.** მან თავი „პირველ მოქალაქედ“ გამოაცხადა და განაცხადა, რომ მშვიდობას მოუტანდა რომს. ოქტავიანემ ბოლო მოუღო სამოქალაქო ომს და ბევრი კარგი კანონი შემოიღო. ოქტავიანემ სამუდამოდ შეცვალა რომაული მმართველობის სტილი, სახელად ავგუსტუსი დაირქვა და რომის პირველი იმპერატორი გახდა.



ოქტავიანე



◄ **რომაული სასამართლო მუდამ ხალხით იყო სავსე. აქ იყო საზოგადოებრივი გალერეა, სადაც ხალხს შეეძლო თვალყური ედევნებინა იმ პროცესისთვის, რომელიც აინტერესებდა. ვინც დანაშაულში იყო მხილებული და უარს ამბობდა სასამართლოში გამოცხადებაზე, იძულებით წარადგენდნენ სასამართლოს წინაშე. ადვოკატები მათ დასაცავად სიტყვით გამოდიოდნენ სასამართლო პროცესზე.**

159 რომაელები თავიანთი კანონებით ამაყობდნენ. რომში ყველა — დაწყებული იმპერატორით და დამთავრებული მათხოვრით — ვალდებული იყო კანონს დამორჩილებოდა. პირველი რომაული კანონები ძვ.წ. 450 წელს ჩაიწერა დოკუმენტში, რომელსაც თორმეტი ტაბულის კანონი ეწოდა. რომაული კანონები მკაცრი, მაგრამ სამართლიანი იყო. ყველა მოქალაქე უდანაშაულოდ ითვლებოდა მანამდე, სანამ ღია სასამართლო პროცესზე არ დამტკიცდებოდა მისი დანაშაული. რომაულ სამართალს დღეს ბევრი ქვეყნის სასამართლო სისტემა ემყარება.

დაუჯერებელია!

ზოგი რომაელი იმპერატორი გიჟი და საზოგადოებისთვის საშიში იყო. მაგალითად, ნერონი, რომელსაც თავი დიდ პოეტად და მუსიკოსად მიაჩნდა. მან გადაწვა რომი — ხანძარმა ქალაქის უდიდესი ნაწილი განადგურა.

არმიაში

160 **არმიაში სამსახური კარგი კარიერა იყო, თუ, ცხადია, ჯარისკაცი სიკვდილს გადაურჩებოდა!** ჯარისკაცებს დიდ გასამრჯელოს უხდიდნენ და კარგადაც უვლიდნენ. იმპერიას ძლიერი არმია სჭირდებოდა, რომ მტრისგან დაეცვა თავი. ჯარისკაცებს საგანგებოდ წვრთნიდნენ. გამორჩეულ მეომრებს აწინაურებდნენ და გასამრჯელოსაც უზრდიდნენ. 20-25-წლიანი სამსახურის შემდეგ ჯარისკაცს ათავისუფლებდნენ და ფულსა და მიწას აძლევდნენ მეურნეობის ან სხვა საქმის დასაწყებად.

161 **რომაულ ჯარში მოქალაქეები და ე.წ. „დამხმარეები“ მსახურობდნენ.** მოქალაქეები რეგულარულ არმიას უერთდებოდნენ, რომელიც ლეგიონებად იყო დაყოფილი და თითოეული 5000 კაცს ითვლიდა, „დამხმარეები“ კი (ის მამაკაცები, რომლებიც რომის მოქალაქეები არ იყვნენ, მაგრამ შეეძლოთ, რომისთვის ეომათ) — სპეციალურ ლეგიონებში.

162 **რომაულ ჯარს სამი ძირითადი იარაღი ჰქონდა.** ეს იყო ხელშუბი, მახვილი და ხანჯალი. იარაღი ყველა ჯარისკაცს თავად უნდა ეყიდა. ამიტომაც თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ, რადგან ჯარისკაცის სიცოცხლე მასზე იყო დამოკიდებული.

▼ ჯარისკაცები ფარებს იმისთვის იყენებდნენ, რომ საბრძოლო წყობა, ე.წ. ბაკნები გაეკეთებინათ. მას „ტესტუდო“, ანუ კუ ეწოდებოდა.

▼ **რომაული არმია იმპერიას მტრის თავდასხმისგან იცავდა; ყველა ჯარისკაცს კარგ გასამრჯელოს უხდიდნენ, მაგრამ არმიაში სამსახური ძალიან საშიში საქმე იყო.**

163 **ჯარისკაცებს საბრძოლო ხელოვნების ზედმიწევნით ცოდნა ევალებოდათ.** მტრის ტერიტორიაზე მათ უამრავი დაბრკოლების დაძლევა უწევდათ, რათა თავი გადაერჩინათ. დაპყრობილ მიწაზე თავდაპირველად ბანაკებს აწყობდნენ, ცოტა ხნის შემდეგ კი აშენებდნენ ციხესიმაგრეებს, რომელთაც გარს მტკიცე გალავნები ერტყა. თითოეულ ლეგიონს ჰყავდა თავისი მზარეულები, მშენებლები, ხუროები, ექიმები, მჭედლები და ინჟინრები. ყველა მათგანი ვალდებული იყო, ბრძოლაში მიეღო მონაწილეობა.

დაუჯერებელია!

რომაელ ჯარისკაცებს, რომლებიც ბრიტანეთის ჩრდილოეთ საზღვრებთან იყვნენ დაბანაკებული, სიცივისგან თავდასაცავად ტუნიკის ქვემოთ შალის მოკლე შარვლები ეცვათ!

164 **ჯარი ყოველდღე 30 კილომეტრით მიიწევდა წინ.** როცა რომაელი ჯარისკაცები აჯანყების ჩასაქრობად მიდიოდნენ ან ერთი ციხესიმაგრიდან მეორეში გადადიოდნენ, მკვირცხლი, ქვეითი მარშით მიუყვებოდნენ სწორ, კარგად ნაგებ სამხედრო გზას. თითოეულს უნდა ეტარებინა მძიმე ბარგი: იარაღი, საჭურველი, ბანაკის გასაშლელი ხელსაწყოები, საჭმლის მოსამზადებელი ქოთნები, მშრალი საკვები და ტანსაცმელი.

165 **ჯარისკაცებს თავიანთი ღმერთი ჰყავდათ.** ციხესიმაგრეებსა და ბანაკებში მოწყობილ სამლოცველოებში პატივს მიაგებდნენ გამარჯვების ღმერთ მითრას. სჯეროდათ, რომ იგი იცავდა ჯარისკაცებს და სიკვდილის შემდგომ სიცოცხლეს უბრუნებდა.



რომის ბატონობა

166 **რომაელთა გამგებლობაში 50 მილიონზე მეტი ადამიანი იყო.** დაპყრობილ ტერიტორიებზე ცხოვრობდნენ კელტები, გერმანელები, იბერიელები, დაკები და მრავალი სხვა ხალხი. ისინი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ და განსხვავებული წესჩვეულებები და რწმენა-წარმოდგენები ჰქონდათ. რომაელი მმართველები ჯარს აგზავნიდნენ მათი მიწების დასაპყრობად და ადგილობრივ მმართველებად თავიანთ წარმომადგენელს ნიშნავდნენ. დაპყრობილ ხალხებს აიძულებდნენ, გადასახადები ეხადათ და რომაულ კანონებს დამორჩილებოდნენ.

▲ გადასახადების ამკრეფი გლეხს ავჯარიმებს

▼ ერთ-ერთი ტომის, იცენთა დედოფალი ბოუდიკა სათავეში ჩაუდგა რომაელთა წინააღმდეგ ავჯანყებას

167 **ზოგიერთი დაპყრობილი ქვეყნის მმართველი არ დაემორჩილა რომაელთა ბატონობას.** ახ. წ. 60 წელს აღმოსავლეთ ინგლისში მობინადრე იცენთა ტომის დედოფალი ბოუდიკა რომაელებს აუჯანყდა. დედოფლის ჯარმა ლონდონზე გაილაშქრა და ცეცხლი წაუკიდა ქალაქს, სანამ რომაელი ჯარისკაცები მას დამარცხებას აგემებდნენ. ბოუდიკა ბრძოლას გადაურჩა, მაგრამ თავი მოიწამლა, რათა რომაელებს ხელთ არ ჩავარდნოდა.

168 **კლეოპატრამ სილამაზე და მომხიბვლელობა გამოიყენა, რათა ქვეყანაში რომაელთა შეჭრა შეეჩერებინა.** აფრიკის ჩრდილოეთში, ეგვიპტის დედოფალმა კლეოპატრამ იცოდა, რომ ეგვიპტელთა ჯარი რომაელებს ვერ გაუმკლავდებოდა. დედოფალი ორ რომაელ სარდალს, იულიუს კეისარსა და მარკუს ანტონიუსს შეუყვარდათ. ამის წყალობით მან რამდენიმე წლით აიცილა თავიდან რომაელთა ბატონობა, მაგრამ საბოლოოდ ეგვიპტე რომაელებმა მაინც დაიპყრეს.

დედოფალი კლეოპატრა

ტრაიანეს სვეტის კომპოზიციის ფრაგმენტი — რომაელი ლეგიონერები ხომალდში სხდებიან

ტრაიანეს სვეტი

169 რომაელი დამპყრობლები გამარჯვების აღსანიშნავად აგებდნენ მონუმენტებს. ტრაიანე, რომელიც ახ.წ. 98-117 წლებში განაგებდა რომს, სახელგანთქმული და მამაცი ჯარისკაცი იყო. მოგვიანებით ის რომის იმპერატორი გახდა. 106 წელს სწორედ მისი წინამძღოლობით მოიგო რომაელთა არმიამ ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი ომი დაკიაში (ახლანდელი რუმინეთი). ამ გამარჯვების უკვდავსაყოფად ტრაიანემ ბრძანა, აეგოთ ქვის მაღალი სვეტი (ცნობილია ტრაიანეს სვეტის სახელით) რომში, ქალაქის მთავარ მოედანზე. სვეტის სიმაღლე 30 მეტრს აღწევდა და მასზე ამოკვეთილი იყო იმ 2500 რომაელი ჯარისკაცის ფიგურა, რომლებმაც არაერთი ბრძოლა მოიგეს.

მოიხატე სახე კელტი მეომარივით!

რომაელი მწერლები გადმოგვცემენ, როგორ იხატავდნენ კელტი მეომრები სახეს ბრძოლის წინ. მათ სჯეროდათ, რომ საღებავს მაგიური ძალა ჰქონდა. მუქლურჯ საღებავს იღებდნენ მცენარისგან, რომელსაც საღებავი მათრახა ეწოდება. თუ გრიმის მასალა გაქვს (შეგიძლია უფროსებსაც სთხოვო), მაშინ ისე მოიხატე სახე, რომ შემზარავი სანახავი იყო!

ტრაიანეს სვეტის კომპოზიციის ფრაგმენტი — რომაელი ჯარისკაცები ციხესიმაგრის კედელს აშენებენ

შეადგინა ვანო კაჭახიძემ

1 რუსეთის გლეხთა ომის წინამძღოლი

2 ძველი ქვეყანა ახლო აღმოსავლეთში

3 დიპლომატიური წერილი

4 ... ხრუშჩოვი

5 ქვითკირის სამარე

6 სირიის პრეზიდენტი

7 უდიდესი მხედართმთავარი ალექსანდრე ...

8 ერთი და იმავე გვარის მეფეები

9 ყურანის ცალკეული თავი

10 საფრანგეთის პრეზიდენტი

11 სანდინავიური თქმულება

12 გამარჯვების ქალღმერთი ბერძნ. მით.

13 ბოლივიის პრეზიდენტი

14 ერაყის დედაქალაქი

15 ერნესტო ჩეგეგარას მეტსახელი

16 მსხვილი მემამულე შუა საუკუნეების ევროპაში

17 ქალბატონი გერმანიაში

18 ნავსადგური

19 ქალაქი ჰოლანდიაში

20 საქართველოს მეფე დავით VII

21 მარტინ ლუთერ ...

22 საფრანგეთის მეფეთა სახელი

23 მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მდინარე

24 ... დოლგორუკი

25 ებრაელთა ისრაელში იმიგრაცია

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:
1. ვარძია; 2. რახსის; 3. გიული; 4. ცახალი; 5. ჰამასი; 6. განძი; 7. იგრიკა; 8. გურჯაანი; 9. კარე; 10. სპა; 11. ნალჩიკი; 12. ჰერეთი; 13. სემი; 14. მითრიდატე; 15. მაჰარაჯა; 16. მეფე; 17. კაბალა; 18. ეგა; 19. ყადი; 20. გალიონი; 21. იორი; 22. იო; 23. ნატო; 24. კიი; 25. ეშაფოტი. სურათზე: ვაცლავ ჰაველი